სამეცნიერო ჟურნალი
LA REVUE SCIENTIFIQUE
THE SCIENTIFIC JOURNAL

სამართალი
და
ეკონომიკა

LE DROIT ET L'ECONOMIE
LAW AND ECONOMICS

ISSN 1987-8303

ჟურნალი რეფერირდება ტექინფორმის „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
განთავსებულია ინტერნეტში www.tech.caucasus.net; www.tech.org.ge

ივნისი 2015

№6
საქართველო-GEORGIE-GEORGIA
თბილისი-TBILISSI-TBILISI
2015

UDC(უაკ) 34-33](051.2)
ს-216

სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი
L'INSTITUT DU DEVELOPPMENT DE DROIT
INSTITUTE OF LEGAL DEVELOPMENT

მთავარი რედაქტორი
Redacteur en chef
Editor in chief

ქართლოს ფრიდონაშვილი
Kartlos Pridonachvili
Kartlos Pridonashvili

რედაქტორები

ნოდარ გრძელიშვილი
ვალერი მოდებაძე

Redacteurs

Nodar Grdzelichvili
Valeri Modebadze

Editors

Nodar Grdzelishvili
Valeri modebadze

მისამართი: 0101, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №16
Adress : Georgia, Vaja Pshavela ave. №16, თბილისი, 0101
Phone : (+995) 790 476075; მობ: (+995) 595 508599
E-mail: law.economics@yahoo.com

შინაარსი

ქართლოს ფრიდონაშვილი - კონვერგენციის პროცესი თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში 4

ვალერი მოდებაძე - ერთიანი ევროპის იდეა 13

ნოდარ გრძელიშვილი - საერთაშორისო ბიზნესის სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები - ტრანსნაციონალური კორპორაციები..19

როინ გრძელიშვილი - ტურისტული კარტოგრაფიის როლი ქვეყნის სახის ფორმირებაში 29

იასონ (იანი) კანდელაკი - პრობაციის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან 35

ვალერი მოდებაძე - პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დადებული ხელშეკრულებები და მათი როლი ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში 48

ანა მაზმიშვილი - ტურიზმის განვითარების ძირითადი პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები 59

თამთა ირემაშვილი - სამუზეუმო ტურიზმი - როგორც შიდა ქართლის რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი და სტრატეგია..64

თენგიზ ვერულავა, ჯაბა ბეჭვაია - პირველადი ჯანდაცვის პერსონალის სამეცნიერო - ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში 74

კონვერგენციის პროცესი თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში

ქართლოს ფრიდონაშვილი

სოციალისტური - ბანაკის დაშლის შემდეგ სახელმწიფოები (გარდა რელიგიური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიის ქვეყნებისა) აღმოჩნდნენ თითქმის იმანენტური შინაარსის მქონე პიოლიტიკურ-სამართლებრივ პლატფორმაზე. ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული კერძო საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა, უფლება ღირსებაზე და სიტყვის (გამოხატვის) თავისუფლება. ადამიანი ამ და სხვა ძირითადმა უფლებებმა უზრუნველყო თითქმის უნივერსალური პოლიტიკურ-სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური სისტემის შექმნა. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ კონცეფციები გარდაიქმნა თანამედროვე კონსტუციონალიზმისა და დემოკრატიის პრინციპებად.

სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციის ძირითადი უფლებების ნაწილში სადაც „... განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა სოციალური სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ელემენტები: ადამიანის ღირსეული საარსებო მინიმუმი; თავისუფალი, კერძო სამეურნეო ინიციატივა; სოციალური თანასწორობა; სოციალური უზრუნველყოფა; კეთილდღეობის საერთო აღმავლობა... განათლება და სტიპენდიების პრობლემა, უმუშევრობის, პენსიებისა და დახმარებების საკითხი, მზრუნველობა ინვალიდებზე, ავადმყოფებზე, ბავშვებზე, სახელმწიფოს სამედიცინო მომსახურება; ბიუჯეტის წყაროებით უმუშევართა და მოხუცებულთა გარკვეული დახმარება და სოციალური კეთილდღეობის სხვა საკითხების მოგვარება“.[1]

გიორგი გოგიაშვილი სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებით წერს: „თანამედროვე გაგებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ დაიყვანება მხოლოდ სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისაგან ადამიანის დაცვაში, არამედ იგი ისახავს ორმაგ მიზანს: თანაბარი ზომით შეზღუდოს და უზრუნველყოს ადამიანის ღირსება და თავისუფლება, სამართლიანობა და სამართლებრივი დაცულობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ასევე ინდივიდებს შორისაც.

სამართლებრივი სახელმწიფოს საგარანტიო კონკრეტული ნორმები, ფორმირებულია სხვადასხვა კონსტიტუციურ დონეზე. მისი თეორიული კონსტრუქცია ეყრდნობა ორ ძირითად საფუძველს: პიროვნების ღირსების სუბიექტურ-სამართლებრივ პრინციპს და ხელისუფლების ობიექტური-სამართლებრივ დანაწილებას, რომელიც აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციისათვის. ორივე კომპონენტი უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ორი მიმართულებით რეალიზაციას: ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლების თანაბარი ზომით პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება და ამასთანავე განახორციელოს პრაქტიკული ზომები მისი დაცვისათვის, ხოლო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ახდენს სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუირებასა და ფუნქციების შეზღუდვას: [2]

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციასთან დაკავშირებით ოთარ მელქაძე კი აღნიშნავს შემდეგს: „ მსოფლიო გამოცდილება იმის დასტურია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების კონსტიტუცია საზოგადოებრივი ძალებისა და ინტერესების სოციალური ბალანსის სამართლებრივი გამოხატულებაა და არა საზოგა-

[1] ოთარ მელქაძე, კოსნტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008 წ. გვ. 88

[2] გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014 წ. გვ. 69

დოების ერთი ნაწილის ნების რეალიზაციის იარაღი. მოცემული თვალსაზრისიდან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ იგი მოიაზრება როგორც სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო, ანუ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალიზაცია სოციალური სამართლიანობის მყარი საფუძვლითაა გარანტირებული. ადამიანის და მოქალაქის ყველა უფლება და თავისუფლება იურიდიულთან ერთად, სოციალური გარანტიითაც უნდა იყოს განმტკიცებული".[3]

კონსტანტინე კუბლაშვილი ადამიანის უფლებას ღირსებაზე განიხილავს თვითმმართველობისა და დემოკრატიის, აგრეთვე სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლად: „თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება არის საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპი. კონსტიტუციით ადამიანი მიჩნეულია ინდივიდად, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამოაყალიბების შესაძლებლობა და უნარი. ამ უნარიდან გამომდინარე, ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური სფეროებისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფო ვალდებულია ადამიანს ამისათვის შეუქმნას შესაბამისი პირობები და მისცეს თავისუფალი ცხოვრებისა და საქმიანობის საშუალება. სწორედ აქ არის თვითმმართველობისა და დემოკრატიის ფესვები.

... ღირსების ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური პირობების შექმნას. აქ იგულისხმება როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ისე სოციალური სისტემა".

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-17 მუხლებში კონსტიტუციის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს ადამიანთა თავისუფლებას - „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია". თავისუფლება და თანასწორობა დემოკრატიის ძირითადი პრინციპებია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. თანასწორობის პრინციპის მიზანი გაჭირვებულთა და ღარიბთა, აგრეთვე სხვაგვარად დისკრიმინირებულთა სიტუაციის გაუმჯობესებაა და არა კარგად მცხოვრებთა უარეს მდგომარეობაში ჩაყენება - ასედაც ხომ შეიძლება თანასწორობის მიღწევა. სწორედ ამით უკავშირდება იგი თავისუფლების პრინციპს და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საფუძველს - ღირსება - დაცული ადამიანს (მუხლი 17). თანასწორობისა და თავისუფლების ელემენტარული მოთხოვნა. სწორედ ადამიანთა ღირსეული ცხოვრება და მათი ღირსების დაცვაა. ღირსეული ცხოვრებისათვის კი აუცილებელია პირობების უზრუნველყოფა. **სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა არსებობა სახელმწიფოში თანასწორობისა და თავისუფლების არარსებობას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, სიღარიბის დაძლევა თანასწორობისა და თავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა, სიღარიბეში ცხოვრება კი თანასწორობის დარღვევას და თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს"**[4]

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ასახულია სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციაში. **აშშ**-ს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, შეერთებული შტატების ხალხი უფრო სრულყოფილი კავშირის შესაქმნელად სხვა სახელმწიფოებრივი ღირებულებების დამკვიდრებასთან ერთად ხელს უწყობს საყოველთაო კეთილდღეობას...

---

[3] ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ. გვ. 89

[4] კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003 წ. გვ. 322

არგენტინის კონსტიტუციის პრეამბულაშიც განცხადებულია არგენტინელი ერის წარმომადგენლების სურვილი ხელი შეუწყონ საერთო კეთილდღეობას... საყოველთაო კეთილდღეობას, იგივე სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია არგენტინის კონსტიტუციის პრეამბულიდან ბლანკეტირებულია ამავე კონსტიტუციის 14[1] მუხლში: ... „სახელმწიფო აწესებს სოციალური უზრუნველყოფის შემწეობებს, რომლებიც ხელშეუვალ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვისთვის. სახელდობრ, კანონები ადგენენ: სავალდებულო სოციალურ დაზღვევას, რომლებისთვისაც პასუხისმგებელნი არიან ეკონომიკური და ფინანსური ავტონომიის მქონე ეროვნული და პროვინციების ერთეულები, რომლებიც სადაზღვევო შესატანების ოდენობის ნაწილობრივი შემცირების გარეშე დაინტერესებული მხარეების მიერ სახელმწიფოს მონაწილეობით იმართებიან; სამსახურიდან გასვლასთან დაკავშირებულ შემწეობებსა და პენსიებს; ოჯახისა და საცხოვრებელი ადგილის მიღების შესაძლებლობას“.

შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუციის პრეამბულაში წარმოდგენილია სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) და სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ კონცეფციათა სანიმუშო სინთეზი: „ჩვენ, შვეიცარიელი ხალხი და კანონები, გამსჭვალულნი ვართ რა ყოვლის შემოქმედის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ვისწრაფვით განვაახლოთ კონფედერაცია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სოლიდარობითა და საჯაროობით განვამტკიცოთ თავისუფლება და მშვიდობა, ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვნებას განვსაზღვრავთ რა ურთიერთპატივისცემის ერთიანობით, შეგნებული გვაქვს ჩვენი საერთო მიღწევები და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობა, **გვწამს რა, მხოლოდ ის არის თავისუფალი, ვინც თავისუფლებით სარგებლობს და რომ ხალხის სიძლიერე მის უსუსტეს წევრთა კეთილდღეობით განიზომება,** ვამტკიცებთ წინამდებარე კონსტიტუციას“.

შვეიცარიელი ერი არ შემოიფარგლება სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის დეკლარაციული ასახვით პრეამბულაში და მას აკონკრეტებს ფედერალური კონსტიტუციის მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლებში:

მუხლი 11. ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა

1. ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ ხელშეუხებლობის განსაკუთრებული დაცვისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის მოთხოვნის უფლება.

2. ისინი საკუთარ უფლებებს ახორციელებენ ქმედუნარიანობის ფარგლებში.

მუხლი 12. გასაჭირში მყოფთა დახმარების უფლება.

გასაჭირში მყოფ პირს, რომელსაც არ შეუძლია იზრუნოს საკუთარ თავზე, უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება და მომსახურება, ასევე მიიღოს ადამიანის ღირსეული არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები“.

სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფოს კონცეფცია მოცემულია **დანიის 1953 წლის 5 ივნისის კონსტიტუციურ კანონში:**

(1) საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რათა თითოეულ შრომისუნარიან მოქალაქეს მიეცეს სამუშაო მისი არსებობის უზრუნველმყოფ პირობებში.

(2) ყოველო პირს, რომელსაც არ აქვს თავისი თავისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენის უნარი, იმ პირობებში, როდესაც არც ერთი სხვა პირი პასუხს არ აგებს მის რჩენაზე, აქვს სოციალური დახმარების უფლება, რომელსაც მიეცემა, თუ დაცულ იქნება ამ საკითხის შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები“.

იაპონიის 1946 წლის 6 ოქტომბრის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში იმპლიმენტირებულია სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფოს შესახებ კონცეფცია, კერძოდ,

მუხლი 13.

ყოველი პირი დაფასებულ უნდა იქნეს როგორც პიროვნება. მისი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება, თუ ეს არ არღვევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას კანონმდებლობისა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმიანობის სფეროში, წარმოადგენს ზრუნვის უმაღლეს საგანს“...

... „მუხლი 25.

1) ყველას აქვს ჯანმრთელობისა და კულტურული ცხოვრების მინიმალურ დონეზე დაცვის უფლება.

2) სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს ცხოვრების ყველა სფეროში საზოგადოებრივი კეთილდღეობის, სოციალური უზრუნველყოფის, ხალხის სიჯანსაღის დონის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 26.

1) ყველას აქვს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად კანონით გათვალისწინებული წესით განათლების მიღების თანაბარი უფლება.

2) ყველა ვალდებულია კანონის შესაბამისად უზრუნველყოს მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების სავალდებულო განათლება. სავალდებულო განათლება უფასოა.“

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლის თანახმად, „საფრანგეთი განუყოფელი, საერო, სოციალური და დემოკრატიული რესპუბლიკაა. იგი უზრუნველყოფის ყველა მოქალაქისათვის კანონის წინაშე თანასწორობის მიუხედავად მისი წარმოშობის, რასისა ან რელიგიისა. იგი პატივს სცემს ყველა სარწმუნოებას.

ეროვნული ემბლემაა სამფეროვანი დროშა - ლურჯი, თეთრი და წითელი.

ეროვნული ჰიმნია „მარსელიეზა“.

რესპუბლიკის დევიზია „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

მისი პრინციპია: ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისთვის“.

ამგვარად, საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლი ერთმნიშვნელოვნად განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას კონსტიტუციურ რანგში და ამავდროულად აღიარებს კიდეც, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებათა განუყოფლობას, რადგანაც საფრანგეთის სოციალურ რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე ზემოაღნიშნული მუხლი ავალდებულებს საფრანგეთს უზრუნველყოს ყველა მოქალაქისათვის კანონის წინაშე თანასწორობა. საფრანგეთის სახელმწიფოს მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპში: „ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისთვის“. ლაკონურად რეალიზებულია სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიები.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციამ პრეამბულაშივე, ქვეყნის ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილებად სცნო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია და საფრანგეთის 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა, რომელშიც სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, კონსტიტუციური ნორმებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, საფრანგეთის სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა იმ აუცილებელ პირობას, რაც საჭიროა ჯანმრთელობის დაცვისათვის, მატერიალური უზრუნველყოფისა და მომუშავეთა დასვენები-

სათვის. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას თანაბარი პირობები ბავშვებისა და მოზარდებისათვის განათლებისა და პროფესიის მისაღებად. ძირითადმა კანონმა აგრეთვე უზრუნველყო კულტურის მიღწევებით თანაბარი სარგებლობის უფლებაც და სახელმწიფოს დაევალა ყველა საფეხურის უფასო საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა და სასწავლო პროცესის ორგანიზება[5].

საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ კონცეფციები აგრეთვე ასახულია **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონში**, რაც გერმანიის კონსტიტუციის პირველივე მუხლში ვლინდება:

„მუხლი 1.

(1) ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა.

(2) აღნიშნულის შესაბამისად, გერმანელი ხალხი ადამიანის ხელშეუხებელ და განუსხვისებელ უფლებებს აღიარებს, როგორც მსოფლიოში ყოველი საზოგადოების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს.

(3) ქვემმოთმოყვანილი ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის და მართლმსაჯულებისათვის.

მუხლი 2.

(1) ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას ან ზნეობრივ ნორმებს.

მუხლი 3.

(1) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

მუხლი 6.

(1) ქორწინება და ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.

(2) ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა წარმოადგენს მშობელთა ბუნებრივ უფლებას და მათ უპირატეს ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულებების განხორციელებას მეთვალყურეობს სახელმწიფო...

(3) ყოველ დედას აქვს უფლება, საზოგადოებისაგან მოითხოვოს დაცვა და მზრუნველობა.“

გერმანიის კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის მეოთხე ნაწილი სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას იმპერატიულად ამკვიდრებს:

... „ნებართვა უნდა გაიცეს, თუ კერძო სკოლები თავიანთი სასწავლო მიზნებითა და ორგანიზაციით, ასევე მათი მასწავლებლების კვალიფიკაციით არ ჩამოუვარდებიან სახელმწიფო სკოლებს და ხელს არ უწყობენ მოსწავლეების დიფერენცირებას მშობლების ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ნებართვა არ უნდა გაიცეს, თუ მასწავლებლების ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი“.

სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციაში ერთი და იგივე პოლიტიკურ - სამართლებრივი მოძღვრების ასახვის კანონზომიერებას ჩვენ ვუკავშირებთ საწარმოო ძალებისა და მასთან ერთად ადამიანის ძირითადი უფლებების განვითარებას, რომლებმაც თავის მხრივ, გამოიწვია „საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის (სახელმწიფოს) ან სხვანაირად რომ

[5] ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ. გვ. 312

ვთქვათ „სოციალურ-სამართლებრივი დოქტრინის ჩამოყალიბება და როგორც იდეის გამარჯვება განვითარებულ და განვითარებად დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში...

ადამიანის შემდეგი ოთხი ძირითადი უფლება: „საკუთრების უფლება, ღირსების უფლება, თანსწორობის უფლებები და სიტყვის თავისუფლება“ წარმოადგენს დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედი ნებისმიერი პოლიტიკური იდეოლოგიების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც იწვევს მათ შინაარსობრივ მსგავსებას. რის შედეგადაც ვრწმუნდებით კონვერგენციის თეორიის არსობრივ ჭეშმარიტებაში, რომელიც გულისხმობს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სინთეზს, რაც განპირობებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებით, აგრეთვე ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის მაღალი დონით. **კონვერგენციის თეორიის თანახმად, ,,საზოგადოებაში ხელმძღვანელობენ არც მშრომელები და არც მეწარმენი, არამედ - მენეჯერები - მმართველთა სოციალური ფენა, რომელიც შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და მაღალტექნოლოგიური კომუნიკაციების განვითარების შედეგად. მსხვილ კორპორაციებში ხელისუფლება კაპიტალის მესაკუთრეებიდან გადადის ფუნქციურ მმართველობაზე. საშუალო ფენა იზრდება ღარიბი და მდიდარი ადამიანების შემცირების ხარჯზე”.**

ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობა და მათი გავლენის ზრდა მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოს ძალაუფლებას. ძალთა დაბალანსებისა და თანაფარდობის პრინციპიდან გამომდინარე კი ადამიანის სოციალური უფლებები სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნა როგორც შემაკავებელი საშუალება, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში ინსტიტუირებულია მმართველობის სხვადასხვა სფეროში.

ჩვენი აზრით, კონვერგენციის პროცესი და სოციალური-სამართლებრივი სახელმწიფო თავისი თვითრეგულირებადი სამოქალაქო საზოგადოებით წარმოადგენს გლობალიზაციის შედეგს. საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო, საგანმანათლებლო და უსაფრთხოების სისტემა ხელს უწყობს ადამიანთა და ერების დაახლოებას, შრომის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებასა და ერთობლივ ზრუნვას საერთო სიძნელეების გადასალახავად, რაც საბოლოო ჯამში ამყარებს კავშირს უცხო კულტურათა შორის მათი საერთო ნიშნების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციამ და კონვერგენციის პროცესმა პოლიტიკურ - სამართლებრივ და ეროვნულ იდეოლოგიურ დოქტრინებს რელევანტურობა დააკარგვინა, როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ასევე - საერთაშორისო დონეზე, რადგანაც სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური გამოწვევები იდენტურია სხვადასხვა დემოკრატიული ქვეყნისათვის.

იდეოლოგიის დასასრულის იდეა პოპულარული გახდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში. ამ პოზიციის მხარდამჭერი ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე განაცხადი ეკუთვნის დანიელ ბელს. მისი აზრით, დასავლეთის პოლიტიკას ახასიათებდა ფართო თანხმობა ძირითად პოლიტიკურ პარტიებს შორის და იდეოლოგიური დაპირისპირებისა და დებატების არარსებობა... პარტიებს შორის ერთადერთი დავის საგანი იყოს ის, თუ რომელი მათგანი უფრო სანდო იყო ეკონომიკური ზრდისა და მატერიალური კეთილდღეობის მოსატანად. შედეგად, პოლიტიკა, ეკონომიკამ დაჯაბნა. პოლიტიკა დაყვანილი აღმოჩნდა ტექნიკურ საკითხამდე, თუ „როგორ“ მივაღწიოთ მატერიალურ კეთილდღეობას და ის უკვე აღარ ცდილობდა გადაეწყვიტა მორალური ან ფილოსოფიური საკითხები „კარგი საზოგადოების“ ბუნების თაობაზე. იდეოლოგია ყველა თვალსაზრისით არარელევანტური გახდა... ამასთან დაკავშირებით, ენდრიუ ჰეივუდი ამბობს, რომ „პროცესი რომელზეც ბელი ყურადღებას ამახვილებდა, იმდენად „იდეოლოგიის დასასრული“ არ იყო, რამდენადაც ძირითად პარტიებს

შორის ფართო იდეოლოგიური კონსესუსის განვითარება და, შესაბამისად იდეოლოგიური კამათის შეწყვეტა. უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში სამი ძირითადი დასავლური იდეოლოგიის - ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კონსერვატიზმის წარმომადგენლებმა საერთო მიზნის - „მართული კაპიტალიზმის“ მიღწევა დაისახეს. თუმცა, ეს მიზანი თავისთავად იდეოლოგიური ხასიათის იყო, - ის ასახავდა მყარ რწმენას საბაზრო ეკონომიკის, კერძო საკუთრებისა და მატერიალური დაინტერესების აუცილებლობის მიმართ, რომელთაც სოციალური დაცვა და ეკონომიკური ჩარევა გააწონასწორებდა. საბოლოო ჯამში „საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის“ ან „სოციალური დემოკრატიის“ იდეოლოგიამ აჯობა კონკურენტებს.[6]“

კონვერგენციის პროცესისა და გლობალიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა სახელმწიფო ფორმისა და სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების ძირითად კანონმდებლობაში სოციალურ, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების ასახვა. აღნიშნული კონცეფციების პრინციპები და მათ საფუძველზე წარმოშობილი ადამიანის ძირითადი უფლებები უნივერსალურ ღირებულებებად ჩამოყალიბდა, როგორც დოქტრინალურ ისე ნორმატიულ წყაროებში ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული თანასწორობის, სოციალური და ღირსების უფლების არა მხოლოდ მჭიდრო კავშირი, არამედ - ურთიერთგანპირობებულობაც.

კონვერგენციის პროცესმა მოიცვა არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებები და პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიები არამედ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებიც, რადგანაც თანამედროვე უნიტარულ და ფედერალურ სისტემას ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია, რადგანაც განვითარებული თვითმმართველობა და ზოგადად, ხელისუფლების განაწილება ვერტიკალზე სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ცენტრალიზებული უნიტარული სისტემის მოდიფიცირებას და სამართლებრივი თვალსაზრისით, მის მსგავსებას ფედერალურ სისტემასთან. თვითმმართველობის სისტემის განვითარება მხარდაჭერილია ადამიანის თვითმმართველობის ძირითადი უფლებითა და თავისუფალი თემის ბუნებრივი უფლებებით. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მმართველობის ფორმათა მიხედვით თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში უაღრესად პირობითია, რადგანაც ყურადღება ექცევა სახელმწიფო ხელისუფლების განაწილების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების, ხელისუფლების მონაცვლეობისა და უწყვეტობის პრინციპების რეალურ და ეფექტურ მოქმედებას პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში.

ამგვარად, სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებიდან ამონარიდებმა დაგვარწმუნეს, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგია გვერდს ვერ უვლის სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას, ადამიანის ძირითად უფლებებს და მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კონვერგენციის პროცესი ასახულია თვით, კონსტიტუციურ ნორმებში, რომლებიც თავისთავად დასაბამს აძლევენ ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის მეტნაკლებად საერთო პოლიტიკური რეჟიმისა და სოციალური-ეკონომიკური წყობის ფორმირებას.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონვერგენციის პროცესის როგორც მოცემულობის მიღება და მისი გააზრება ქვეყნის საკანონმდებლო და მმართველობის ყველა დონეზე ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის ადექვატურობას. ვფიქრობთ, მმართველობა უნდა განთავისუფლდეს ზედმეტი პოლიტიკური იდეოლოგიზაციისაგან.

---

[6] ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მე-3 გამოცემა, თბილისი 2005 წ. გვ. 369-370

სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მძლავრი მხარდაჭერით ხელი უნ-და შეუწყოს მენეჯერთა როგორც მმართველთა, საშუალო სოციალური ფენის ფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. მელქაძე ოთარ, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ.
3. გოგიაშვილი გიორგი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2014 წ.
4. კუბლაშვილი კონსტანტინე, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003 წ.
5. მელქაძე ოთარ, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ.
6. ფრიდონაშვილი ქართლოს, აშშ-სა და საფრანგეთის სახელმწიფო ფორმათა შედარებითი დახასიათება, ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა“. №4, 2013 წ.
7. მეტრეველი ვალერიან, დავითაშვილი გიორგი, პოლიტიკურ და სამართლებრივი მოძ-ღვრებათა ისტორია, თბილისი, 1999 წ.
8. ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მე-3 გამოცემა, თბი-ლისი, 2005 წ.
9. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გონაშვილი, ნაწილი I, თბილისი, 2008 წ.
10. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გონაშვილი, ნაწილი II, თბილისი, 2008 წ.

კონვერგენციის პროცესი თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში

რ ე ზ ი უ მ ე

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია და ადამიანის ძირითადი უფლებები ასახულია სხვადასხვა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებში მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი მოწყობისა, რასაც ავტორი მიიჩნევს კონვერგენციის პროცესის შედეგად და გვთავაზობს მმართველობის გადაჭარბებული იდეოლოგიზაციისაგან დაცვას და მხარს უჭერს მენეჯერთა საშუალო სოციალური ფენის ფორმირებას, სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის მძლავრი წახალისების მეშვეობით.

The convergence process in the modern constitutionalism

Abstract

In this publication the author expresses a view point that the concept of socio-legal state and fundamental human rights are set forth in constitutions of different democratic states regardless their structure that the author considers as a consequence of the process of convergence, suggests protection from exaggerated idealization of middle social management through significant facilitation of scientific progress by the state.

Le processus de convergence dans la constitutionnalisme moderne

R E S U M E

Dans cette publication, l'auteur exprime un point que le concept de l'Etat socio-juridique et les droits humains fondamentaux sont énoncés dans les constitutions de différents Etats démocratiques vue quel que soit leur structure que l'auteur considère comme une conséquence du processus de convergence, suggère une protection contre exagérée idéalisation de la gestion sociale du milieu grâce à la facilitation significative du progrès scientifique par l'Etat.

ერთიანი ევროპის იდეა

ვალერი მოდებაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ერთიანი ევროპის იდეას დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა ეს იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა, იდეის ჩანასახი შუა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ. 1453 წელს, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, გაჩნდა პირველი იდეა ევროპელი ერების გაერთიანების შესახებ. ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიას დიდი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ევროპელი მონარქები და საბოლოოდ ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ევროპელებს ერთობლივად უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ. 1464 წელს ბოჰემიის მეფე გიორგი პოდებრადელმა წამოაყენა წინადადება ქრისტიანი ერების გაერთიანებისა თურქების წინააღმდეგ. მან შეადგინა გეგმა ანტი-თურქული კოალიციის შექმნისა, რომელშიც ყველა ქრისტიანი სახელმწიფო გაერთიანდებოდა. გიორგი პოდებრადელმა თავისი იდეის განხორციელება ვერ შესძლო კათოლიკურ ეკლესიასთან დაპირისპირების გამო.

ესპანელი ჰუმანისტი ხუან ლუის ბიბესი (Juan Luis Vives) ხედავდა, რომ ევროპა დასუსტებული იყო შიდა ომებით და სხვადასხვა ერებს შორის ურთიერთქიშპით. მას კარგად ესმოდა, რომ ევროპა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებდა თურქული საფრთხის თავიდან აცილებას, თუ შეწყდებოდა დაპირისპირება ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ყველა ქრისტიანი ერი გაერთიანდებოდა და შექმნიდა ევროპულ ალიანსს. (Carlos G. Noreña, 1970) მომდევნო საუკუნეებში ერთიანი ევროპის იდეა კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა. ევროპის გაერთიანების ცნება სხვადასხვა დროში სხვადასხვაგვარად იყო ფორმულირებული გამოჩენილი მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ. ცნობილი ფრანგი პუბლიცისტი, აბატი სენ-პიერი მარადიული მშვიდობის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. 1728 წელს მან 18 სუვერენული სახელმწიფოსაგან შემდგარი ევროპის ლიგის შექმნის წინადადება წამოაყენა, რომელსაც ექნებოდა საერთო ხაზინა. ევროპის ლიგა მას წარმოედგინა, როგორც ევროპის სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანება, შიდა საზღვრების გარეშე. ეს გაერთიანება გახდებოდა ევროპული ქვეყნების მუდმივი და მარადიული კავშირი და მათ შორის აღარასოდეს მოხდებოდა ომები.

იდეა „ევროპის შეერთებული შტატების შექმნის შესახებ“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და გამოეყო ბრიტანეთის იმპერიას. ევროპაში მუსირებდა აზრი, რომ „ევროპის შეერთებული შტატები“ უნდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი პოლიტიკური გაერთიანება. ამ იდეას იზიარებდა ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მათ შორის მარკიზი დე ლა ფაიეტი და თადეუშ კოსციუშკო.
ჯუზეპე მაძინი „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. მას მიაჩნდა რომ ევროპის გაერთიანება იტალიის გაერთიანების ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა. მან საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას, რომელსაც „ახალგაზრდა ევროპა“ ეწოდა.

ფრანგმა მწერალმა, ვიქტორ ჰიუგომ პირველად საჯაროდ გაახმოვანა ტერმინი “ევროპის შერთებული შტატები“ 1849 წელს, პარიზში გამართულ მშვიდობის საერთაშორისო მესამე კონგრესზე. ვიქტორ ჰიუგო მხარს უჭერდა სუპრანაციონალური ორგანიზაციის შექ-

მნას, რომელშიც ევროპის სუვერენული სახელმწიფოები გაერთიანდებოდა. ვიქტორ ჰიუგომ ერთი საუკუნით ადრე იწინასწარმეტყველა ევროპელი ერების გაერთიანება. როგორც მან განაცხადა: „დადგება დღე, როდესაც თქვენ, ყველა, კონტინენტის ერები, თქვენი გამორჩეული თვისებების და განსაკუთრებული ინდივიდუალურობის შენარჩუნებით გაერთიანდებით ერთ დიდ ზეგაერთიანებაში და წარმოადგენთ ევროპულ საძმოს. დადგება დღე, როდესაც აღარ იქნება სხვა ბრძოლის ველი, გარდა ბაზრებისა, რომელიც ვაჭრობას გაუღებს კარს და გონებისა, რომელიც ახალი იდეებისთვის იქნება გახსნილი.“ ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად ვიქტორ ჰიუგოს თავის საცხოვრებელ სახლთან, კუნძულ გერნზიზე დაურგავს ხე და უთქვამს რომ ევროპის შეერთებული შტატები დაარსდებოდა მაშინ, როდესაც ეს ხე გაიზრდებოდა და ზრდასრულ ასაკს მიაღწევდა.

ერთიანი ევროპის იდეის გავრცელების და პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ავსტრიელმა პოლიტიკოსმა და ფილოსოფოსმა რიხარდ კუდენჰოვე - კალერგიმ. მან დაარსა „პან-ევროპული კავშირი“ 1926 წელს და იყო ამ მოძრაობის პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე, 1972 წლამდე. 1923 წელს მან გამოსცა წიგნი სათაურით „პანევროპა“, სადაც ის ამტკიცებდა რომ ევროპა უნდა გაერთიანებულიყო რუსული ბოლშევიზმისა და ამერიკული ეკონომიკური ბატონობის თავიდან ასაცილებლად. ევროპის შეკავშირება და გაერთიანება მას მიაჩნდა ერთადერთ გზად იმისათვის, რომ „ბებერ კონტინენტს“ შეენარჩუნებინა მსოფლიო ლიდერის როლი. (ნიკა ჩიტაძე, 2011) რიხარდ კუდენჰოვე - კალერგი ითვლება ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარ იდეოლოგად, რომელმაც ოთხი პანევროპული კონგრესის მომზადება და ჩატარება მოახერხა. პირველი პანევროპული კონგრესი ჩატარდა ქალაქ ვენაში 1926 წელს. 1927 წელს არისტიდ ბრიანი, ცნობილი ფრანგი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე, არჩეულ იქნა ამ მოძრაობის საპატიო პრეზიდენტად.

1929 წელს არისტიდ ბრიანმა, რომელიც იმ დროს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი იყო, ერთა ლიგის წინაშე წამოაყენა წინადადება ევროპის ფედერალურ საწყისებზე გაერთიანებისა (ე.წ. „პან–ევროპა“). საფრანგეთი მხარს უჭერდა არისტიდ ბრიანის ამ იდეას. საფრანგეთის მთავრობამ მცირე ხანში მოამზადა “ევროპის ფედერალური კავშირის” შექმნის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთო ევროპული, ეკონომიკური სივრცის შექმნას, “საერთო ბაზრის შექმნას” და შიდა საბაჟოების გაუქმებას. აღნიშნული პროექტი ვერ განხორციელდა. მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, როგორც აშშ–საგან, ასევე ევროპის ქვეყნების მხრიდან. ამ პროექტის წარდგენის გამო არისტიდ ბრიანს მეტსახელად “ევროპის მამა” შეარქვეს. (თეიმურაზ პაპასქირი, 2011)

ევროინტეგრაციის იდეები დროებით მივიწყებულ იქნა 1930-იან წლებში, როდესაც ევროპაში დაიწყო ფაშიზმის აღზევება. გერმანელი ნაცისტები და იტალიელი ფაშისტები კრძლავდნენ პან-ევროპული კავშირის მოღვაწეობას საკუთარ ტერიტორიაზე, ხოლო რიხარდ კუდენჰოვე - კალერგის წიგნებს ცეცხლზე წვავდნენ. მათთვის მიუღებელი იყო ევროპის გაერთიანება, რადგან ეს პროცესი სხვადასხვა ერებისა და რასების შერევას გამოიწვევდა. გერმანიის ფიურერი, ადოლფ ჰიტლერი არიული რასის „სიწმინდეზე“ აკეთებდა აქცენტს და ამიტომაც მისთვის მიუღებელი იყო პან-ევროპული იდეები. ის თვლიდა რომ პან-ევროპა ებრაული პროექტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპელი ხალხების დამონებას და დაპყრობას. (ირინა ჯანდიერი, 2014)

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ევროპა სისხლისმღვრელმა კონფლიქტებმა და ომებმა მოიცვა, რამაც დიდი უბედურება დაატეხა თავს „ბებერ კონტინეტს“. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა მილიონობით ადამიანი, განადგურდა ევროპის ქვეყ-

ნების ეკონომიკა. საფრაგეთსა და გერმანიას შორის დაპირისპირება და მეტოქეობა მსოფლიო ომებში გადაიზარდა. ფრანგებმა და გერმანელებმა, 1870 წლიდან 1945 წლამდე პერიოდში, სამჯერ იომეს ერთმანეთის წინააღმდეგ და უამრავი პრობლემა შეუქმნეს „ბებერ ევროპას.“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო სისტემა აღარ იყო ევროცენტრისტული. დანგრეული და მიწასთან გასწორებული ევროპა უკვე საერთაშორისო პოლიტიკაში სერიოზულ ძალას აღარ წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომმა შეცვალა ძალთა ბალანსი და ბოლო მოუღო ევროპის ჰეგემონიას მსოფლიოში. (კორნელი კაკაჩია, 2011) საერთაშორისო სისტემა ბიპოლარული გახდა და ევროპის ადგილი დაიკავა ორმა ზესახელმწიფომ - აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა. საჭირო იყო ევროპელი ერების გაერთიანება, რათა „ბებერ კონტინენტს“ უფრო მეტი წონა ჰქონოდა და მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა საერთაშორისო პოლიტიკაში.

ევროპელი ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა საფრანგეთისა და გერმანიის დაახლოება და მათი ინტეგრაცია საერთო პოლიტიკურ სივრცეში. იმისათვის რომ თავიდან აეცილებინათ ახალი ომები და კონფლიქტები, ევროპის სახელმწიფოებს უარი უნდა ეთქვათ იმპერიალიზმზე, შოვინიზმზე და ერთმანეთთან მჭიდროდ ეთანამშრომლათ. 1946 წლის 19 სექტემბერს, ციურიხის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა გააჟღერა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის იდეა. როგორც მან განაცხადა: “ არსებობს საშუალებები, რაც გახდიდა ევროპას ისეთივე ბედნიერს და ისეთივე თავისუფალს, როგორიცაა დღეს შვეიცარია... ჩვენ უნდა ავაშენოთ ერთგვარი ევროპის შეერთებული შტატები... პირველი ეტაპი მოითხოვს დაარსდეს ევროპის საბჭო და ამ გადაუდებელი საქმისთვის საჭიროა, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ ერთად იტვირთონ ხელმძღვანელობა... ფეხზე ადექი, ევროპა!“ (რუსუდან შარაძე, 2013) ამგვარად, უინსტონ ჩერჩილი თვლიდა, რომ ევროპის გაერთიანებისაკენ გადაგმული პირველი ნაბიჯი იქნებოდა ევროპის საბჭოს შექმნა, ხოლო ევროპული ოჯახის ფორმირებისთვის აუცილებელ პირობად მას მიაჩნდა საფრანგეთსა და გერმანიის დაახლოება.

1948 წელს ქალაქ ჰააგაში გაიმართა ევროპის კონგრესი. კონგრესს ესწრებოდა 750 დელეგატი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე დამკვირვებლები აშშ-დან და კანადიდან. კონგრესზე განხილულ იქნა იდეები ევროპის ქვეყნებს შორის პოლიტიკური კოოპერაციის შესახებ. კონგრესზე გადაწყდა ევროპის საბჭოს დაარსება. კონგრესის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ევროპის საბჭოს როლისა და სტრუქტურის შესახებ. მართლაც, 1949 წლის 5 მაისს ხელი მოეწერა წესდებას და ლონდონის ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა ევროპის საბჭო, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამინის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის საქმეში, ასევე ხელს უწყობს პლურალისტური დემოკრატიის კონსოლიდაციას ევროპაში და ევროპის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას.

ევროინტეგრაციისაკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დაარსება. იდეის ავტორი იყო ჟან მონე, რომელიც თვლიდა რომ გერმანიისა და საფრანგეთის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობა უნდა მოქცეულიყო ერთი სუპრანაციონალური ორგანოს მმართველობის ქვეშ, რომელიც გააკონტროლებდა ამ დარგების განვითარებას და შესაბამისად ვერც ერთი ქვეყანა ვეღარ შესძლებდა დამოუკიდებლად იარაღის წარმოებას. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპუ-

ლი გაერთიანების დაარსების მიზანი იყო საფრანგეთსა და გერმანიას შორის ახალი ომებისა და კონფლიქტების თავიდან აცილება. 1951 წელს, პარიზის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოაწერა ევროპის ექვსმა ქვეყანამ (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი), დაარსდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება.

შემდგომი ეტაპი ევროინტეგრაციის გზაზე იყო ევროპის ეკონომიკური თანამეგებრობისა და ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობის დაარსება. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა შეიქმნა 1958 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულება. რომის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ევროპის ექვსმა ქვეყანამ 1957 წლის 25 მარტს. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დაარსებით შეიქმნა საერთო ბაზარი და ერთიანი ეკონომიკური სივრცე, გაუქმდა ტარიფები და საბაჟო გადასახადები, რამაც ძალიან გააღრმავა ეკონომიკური, კომერციული და სავაჭრო ურთიერთობები ევროპის ქვეყნებს შორის.

მალე რომის ხელშეკრულებას სხვა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმება მოჰყვა. 1965 წელს ხელი მოეწერა შერწყმის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1967 წელს და რომლის საფუძველზე მოხდა სამი ინსტიტუტის შერწყმა (ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა). 1992 წელი გარდამტეხი პერიოდია და მნიშვნელოვანი მომენტია ევროგაერთიანების ისტორიაში. ამ წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების 13 სახელმწიფომ ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს. მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას დაერქვა ევროკავშირი. თუ ევროგაერთიანება 1992 წლამდე უფრო ეკონომიკურ კავშირად მოიაზრებოდა, მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მან პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა. ხელშეკრულება წარმოადგენს ევროინტეგრაციისაკენ გადადგმულ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს, ვინაიდან ხელშეკრულება უზრუნველყოფს მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის ტერიტორიაზე და ქმნის საერთო მოქალაქეობას ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისთვის. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხდება საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის და საერთო თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება. ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ასევე საერთო ვალუტის შემოღება, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია და გაამარტივა ბიზნესის წარმოება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.

დღეისათვის ევროპის ქვეყნებს შორის იმდენად მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებია, რომ არც ერთ ქვეყანას არ უღირს ომის წარმოება და ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარება. ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ინტეგრაციამ ევროპის ქვეყნები ერთმანეთს სამუდამოდ მიაჯაჭვა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ხანგრძილი მშვიდობის დამყარებას „ბებერ კონტინენტზე“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ერთიანი ევროპის იდეამ გაამართლა და ერთ დროს ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ევროპის ქვეყნები სამუდამოდ დააკავშირა და დააახლოვა.

ბიბლიოგრაფია:

1. Carlos G. Noreña (1970) **Juan Luis Vives,** Publisher: Springer Science & Business Media.
2. ირინა ჯანდიერი (2014) როგორ ეყრებოდა საფუძველი ევროკავშირს, http://www.gzapress.ge/politika/423-rogor-eyreboda-safudzveli-evrokavshirs.html
3. ნიკა ჩიტაძე (2011) გეოპოლიტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
4. რუსუდან შარაძე (2013) რა არის ევროკავშირი? http://www.argumenti.ge/2013/12/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98
5. თეიმურაზ პაპასქირი (2011) ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914 – 1945, თბილისი.
6. კორნელი კაკაჩია (2011) საერთაშორისო პოლიტიკა ვესტფალიიდან ბიპოლარული სისტემის დასასრულამდე, გამომცემლობა “მერიდიანი“, თბილისი.

ერთიანი ევროპის იდეა

ვალერი მოდებაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ერთიანი ევროპის იდეას დიდი ხნის ისტორია აქვს. იდეის ჩანასახი შუა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ. ევროპის გაერთიანების ცნება სხვადასხვა დროში სხვადასხვაგვარად იყო ფორმირებული გამოჩენილი მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ. ამ იდეის განხორციელება მოხერხდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომმა შეცვალა ძალთა ბალანსი და ბოლო მოუღო ევროპის ჰეგემონიას მსოფლიოში. ევროპელი ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო გაერთიანება, რათა „ბებერ კონტინენტს“ უფრო მეტი წონა ჰქონოდა და მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა საერთაშორისო პოლიტიკაში.

The idea of a united Europe

Valeri Modebadze
Associate Professor at Sukhishvili Teaching University
Associate Professor at American University for Humanities

Summary

The idea of a united Europe has a long history. Origins of this idea can be traced back to the middle ages. The concept of the united Europe was formulated differently by different thinkers and public figures. Implementation of this idea became possible only after the Second World War. The Second World War changed the balance of power and marked the end of Europe's global hegemony. European leaders came to the conclusion that it was necessary to unite the "old continent" so that it would have more weight and would play more important role in international politics.

L'idée d'une Europe unie

Valeri Modebadze
Professeur agrégé de l'Université Sukhishvili
Professeur agrégé de l'Université américaine de sciences humaines

Résumé

L'idée d'une Europe unie a une longue histoire. Les origines de cette idée remonte au Moyen Age. Le concept de l'Europe unie a été formulée différemment par différents penseurs et des personnalités publiques. La mise en œuvre de cette idée est devenue possible qu'après la Seconde Guerre mondiale. La Seconde Guerre mondiale a changé l'équilibre du pouvoir et a marqué la fin de l'hégémonie mondiale de l'Europe. Les dirigeants européens sont venus à la conclusion qu'il était nécessaire d'unir le «vieux continent» de sorte qu'il aurait plus de poids et serait jouer un rôle plus important dans la politique internationale.

საერთაშორისო ბიზნესის სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები - ტრანსნაციონალური კორპორაციები

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი" პროფესორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

XX – XXI საუკუნის მიჯნაზე საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებაში ტრანსნაციონალური კორპორაციები გვევლინებიან კომერსანტებად, ვაჭრებად, ინვესტორებად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამავრცელებლებად და შრომითი მიგრაციის სტიმულატორებად. ისინი ბევრად განაპირობებენ მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების სტრუქტურას და დინამიკას, კონკურენტუნარიანობის დონეს, აგრეთვე კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და ტექნოლოგიის გადაცემას. აკონტროლებენ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3 – ს, მათზე მოდის სამრეწველო წარმოების დაახლოებით ½, არა სასოფლო–სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა 10% მუშაობს ტრანსნაციონალური კორპორაციების საწარმოებში. ისინი აკონტროლებენ მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუ–ჰაუს დაახლოებით 4/5 – ს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) წამყვან როლს ასრულებენ წარმოების ინტერნაციონალიზაციაში, რომელიც სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს შორის, საწარმოო კავშირების გაფართოებისა და გაღრმავების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (ტნკ–ებს) მცირე ქვეყნების ეკონომიკაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ-ის) ქვეშ იგულისხმება მსხვილი ფირმა ან სხვადასხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანება, რომელსაც საზღვარგარეთული აქტივები (კაპიტალდაბანდებები) გააჩნია და ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე მსოფლიო მაშტაბით.

ტნკ–ებს შემდეგი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ:

– რეალიზაციის თავისებურებები: ფირმა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას საზღვარგარეთ ახორციელებს, რითაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე;

– წარმოების განლაგების თავისებურებები: საზღვარგარეთის ქვეყნებში განთავსებულია ზოგიერთი მისი ქალიშვილი საწარმო და ფილიალი;

– საკუთრების უფლებათა თავისებურებები: ფირმის მესაკუთრენი სახვადასხვა ქვეყნის რეზიდენტებს (მოქალაქეებს) წარმოადგენენ.

საკმარისია ფირმის თუნდაც ერთი ზემოთ აღნიშნული ნიშანი აღმოჩნდეს, რომ ტნკ–ის კატეგორიაში მოხვდეს, ზოგიერთ მსხვილ კომპანიას ერთდროულად სამივე მახასიათებელი ნიშანი გააჩნია. ყველაზე მნიშვნელოვნად პირველ ნიშანს მიიჩნევენ, ამ კრიტერიუმის მიხედვით აბსოლიტურ ლიდერს შვედური ფირმა „Nestle" წარმოადგენს, რომელიც თავისი პროდუქციის 99% – ზე მეტის ექსპორტირებას ახდენს.

XX საუკუნის 60–იან წლებში გაერო ტნკ–თა რიცხვს მიაკუთვნებდა ფირმებს 100 მლნ. დოლარის წლიური ბრუნვის ოდენობით და არანაკლებ ექვს ქვეყანაში განთავსებული ფილიალებით.

ამჟამად, გაერო ტრასნაციონალურს იმ კორპორაციებს მიაკუთვნებს, რომელიც შემდეგ ფორმალურ მახასიათებლებს მოიცავს:

– მათ გააჩნიათ საწარმოო რგოლები არანაკლებ ორ ქვეყანაში;
– ტარდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით;
– საწარმოო რგოლები ერთმანეთთან აქტიურად ურთიერთქმედებენ: მიმდინარეობს რესურსებისა და პასუხისმგებლობის გაცვლა.

პრაქტიკაში ტნკ–ების სამ ძირითად ტიპს განასხვავებენ:

პირველ ტიპს მიეკუთვნება კომპანიები, რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის აქციონერული კაპიტალის გამოყენებით მმართველობითი კონტროლისა და საქმიანობის ინტერნაციონალური სფეროთი. ტნკ–ების სათაო კომპანია განლაგებულია ბაზირების ქვეყანაში, ხოლო შვილობილი კომპანიები და ფილიალები – მთელ მსოფლიოში.

მეორე ტიპს მიეკუთვნებიან მრავალეროვნული კორპორაციები, რომლებიც ინტერნაციონალურია გამოყენებული კაპიტალის, კონტროლისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით. ისინი აერთიანებენ მსოფლიო მეურნეობის ორი ან მეტი ქვეყნის ეროვნულ კომპანიებს.

მესამე ტიპი არის საერთაშორისო კოპორაციული კავშირები, რომლებიც წარმოადგენენ სამრეწველო, საბანკო და სხვა კონცერნების მეურნეობებს მსხვილი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. ასეთი კავშირები ძირითადად იქმნება ელექტრონული, ელექტროტექნიკურ, ქიმიურ, სანავთობო ავტომობილი და ავტომშენებელ ინფორმატიკის სფეროში. საქმიანობის მაშტაბის მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაციები იყოფა მსხვილ და მცირედ ფირმებად. პირობით კრიტერიუმს წლიური ბრუნვის სიდიდე წარმოადგენს. ასე მაგალითად მე–20 საუკუნის 80–იან წლებში მსხვილ ტნკ–ებს მიაკუთვნებენ მხოლოდ მათ, რომლებსაც წლიური ბრუნვა 1 მლრდ დოლარი ჰქონდათ, თუ მცირე ტნკ–ის საშუალოდ 3–4 საზღვარგარეთული ფილიალი გააჩნია, მსხვილ ტნკებში მათი რიცხვი ათეულებს და ასეულებსაც კი აღწევს.

ცალკე გამოყოფენ ტრანსნაციონალურ ბანკებს, როგორც ტრანსნაციონალური კომპანიების განსაკუთერებულ სახესხვაობას, რომლებიც საერთაშორისო მაშსტაბით ახორციელებენ ბიზნესის დაკრედიტებას და ფულადი ანგარიშების ორგანიზაციას.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას წარმოადგენს:

1. უცხოური აქტივების წილი აქტივების მთლიან მოცულობაში;
2. უცხოეთში განხორციელებული გაყიდვების წილი, გაყიდვების მთლიან მოცულობაში;
3. უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილი, დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში, რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალების როლი ტნკ–ს საქმიანობაში.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_{ტ} = 1/3 \left(A1 / A + B1 / B + S1 / S \right) \times 100\%$$ სადაც:

$I_{ტ}$ – ტრანსნაციონალიზაციის ინდექსია %–ში;

A1 - საზღვარგარეთული აქტივები;

A - მთლიანი აქტივები;

R1 - უცხოური ფილიალების მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობა;

R - საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მთლიანი მოცულობა;

S1 - საზღვარგარეთული შტატი;

S - კომპანიის მუშაკთა მთლიანი შტატი.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუცია. XVI - XVII საუკუნეებში ჩასახულმა ტნკ–ებმა თავისი არსებობის მანძილზე სერიოზული ევოლუცია განიცადეს. ბრიტანულ - ინდური კომპანია, რომელიც 1600 წელს დაარსდა თავის დამფუძნებლებს შორის ინგლისელი კომერსანტების გარდა აერთიანებდა ჰოლანდიელ ვაჭრებს და გერმანელ ბანკირებს. ასეთი კომპანიები XX საუკუნემდე მხოლოდ ვაჭრობას მისდევდნენ, ამიტომ კაპიტალისტურ მეურნეობაში მათ გადამწყვეტი როლი არ ენიჭებოდა, ისინი თანამედროვე ტნკ–ების წინამორბედად ითვლებიან.

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებაში სამ ეტაპს გამოყოფენ პირველ ეტაპზე მე–20 საუკუნის დასაწყისში, ტნკ–ები ინვესტირებას უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურად სუსტად განვითარებული უცხოური ქვეყნების სანედლეულო დარგებში ახდენენ, სადაც იქმნებოდა აგრეთვე შემსყიდველი და გამსაღებელი ქვედანაყოფები. მაღალტექნოლოგიური სამრეწველო წარმოების აწყობა საზღვარგარეთ მაშინ ქვეყანაში არ იყო სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი, ხოლო ტექნოლოგიები ჯერ კიდევ სრულყოფას საჭიროებდა, ტრანსნაციონალიზაციის სუბიექტებად ამ პერიოდში, ჩვეულებრივ გვევლინება სხვადასხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანებები (საერთაშორისო კარტელები), რომლებისც იყოფდნენ გასაღების ბაზრებს, ატარებდნენ შეთანხმებულ საფასო პოლიტიკას და ა.შ..

ტრანსნაციონალური კორპორაციების მეორე ეტაპი იწყება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. იგი დაკავშირებულია საზღვარგარეთული საწარმოს ქვედანაყოფების როლის გაძლიერებასთან არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებში. საზღვარგარეთული საწარმოო განყოფილებები სპეციალიზდებიან ძირითადად იმავე პროდუქციის წარმოაბაზე, რომლის წარმოება ადრე ტნკ–ის „მშობლიურ“ ქვეყანაში ხდებოდა. თანდათანობით ტნკ–ები სულ უფრო ორიენტირებულნი ხდებიან ადგილობრივი მოთხოვნის და ადგილობრივი ბაზრის მომსახურებაზე.

1960–იან წლებში ტნკ–ების რაოდენობისა და მნიშვნელობის სწრაფი ზრდა ძირითადად მეცნიერულ–ტექნიკური რევოლუციის გავლენის შედეგად მიმდინარეობდა. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ და საწარმოო ოპერაციების გამარტივებამ, დაბალკვალიფიციური პერსონალის გამოყენების შესაძლებლობამ ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების სივრცობრივი განცალკავების შესაძლებლობები შექმნა. სატრანსპორტო და ინფორმაციული კომუნიკაციების განვითარებამ ხელი შეუწყო ამ შესაძლებლობების რეალიზაციას. შესაძლებელი გახდა საწარმოო პროცესის უმტკივნეულოდ დაყოფა და ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების განთავსება იმ ქვეყნებში სადაც წარმოების ეროვნული ფაქტორები უფრო იაფი იყო. დაიწყო წარმოების

სივრცობრივი დეცენტრალიზაცია ალნეტრულ მაშსტაბით და მასთან ერთად მართვის კონცენტრაცია.

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების თანამედროვე მესამე ეტაპზე, XX საუკუნის დასასრულიდან ტნკ–ს განვითარების ძირითადი თავისებურება გლობალური მაშსტაბის წარმოებისა და რეალიზაციის ქსელის შექმნაში მდგომარეობს.

შვილობილი ფირმების შესაქმნელად ადგილის შერჩევისას მთავარი როლი საწარმოო დანახარჯების ანალიზს ენიჭება, რომლებიც ხშირად განვითარებად ქვეყნებშია უფრო დაბალი. პროდუქცია კი იმ ქვეყნებში იყიდება, სადაც მასზე მაღალი მოთხოვნაა – ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში.

2004 წლის მდგომარეობიტ მსოფლიოში 64 ათასი ტნკ აღირიცხა, რომელიც 830 ათას უცხოურ ფილიალს აკონტროლებდა, მაშინ როდესაც 1939 წელს 30 ტნკ, 1970 წელს 7 ათასი, 1976 წელს 11 ათასი ფუნქციონირებდა.

ტნკ–ების როლი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში შემდეგი მაჩვენებლებით ფასდება:

1. ტნკ–ები მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3 აკონტროლებენ;
2. მათზე მოდის სამრეწველო წარმოების დაახლოებით;
3. ტნკ–ების საწარმოებში არასასოფლო–სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა თითქმის 10% მუშაობს;
4. ტნკ–ები მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუჰაუს დაახლოებით 4/5 –ს აკონტროლებდნენ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ბიზნესის ელიტას წარმოადგენენ ასევე თვით ტრანსნაციონალურ კორპორაციებში გამოიყოფა ელიტარული ე.წ. სუპერმსხვილი კომპანიები, რომლებიც მეტოქეობას უწევენ მრავალ სახელმწიფოს წარმოების, ბიუჯეტის და თანამშრომლების „ხელქვეითების“ რაოდენობის მიხედვით.

არსებობს მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიათა ორი ყველაზე ცნობილი რეიტინგი: 1. ჟურნალი „Fortune“, რომელიც ახდენს არასაფინანსო კომპანიების რანჟირებას წლიური მოგების მოცულობის მიხედვით. 2. გაზეთი „Finansial Times“ ყველა კომპანიის რანჟირებას აქტივების ღირებულების მიხედვით.

ტრასნაციონალური კორპორაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები ფუნქციონირებად ქვეყნების ეკონომიკაზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო მეტად გვევლინება ამა თუ იმ ქვეყნის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად, ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა საერთაშორისო სისტემაში.

მიმღები ქვეყნები (ქვეყნები, რომელშიც მოქმედებენ სათაო ფორმის ფილიალები და შვილობილი კომპანიები) ინვესტიციების ნაკადიდან მრავალმხრივ მოგებულნი რჩებიან. უცხოური კაპიტალის ფართო მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ქვეყანაში იმ პროდუქციის წარმოების ორგანიზებით, რომელიც ადრე შემოჰქონდათ, იმპორტის აუცილებლობა ისპობა. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი და ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები მნიშვნელოვან წილად ხელს უწყობენ ქვეყნის საგარეო–სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას.

ტნკ–ს საქმიანობა ადგილობრივი კომპანიების ადმინისტრაციას აიძულებს კორექტივები შეიტანოს ტექნოლოგიურ პროცესში, საწარმოო ურთიერთობების ჩამოყა-

ლიბებულ პრაქტიკაში, მეტი სახსრები გამოყონ მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებაზე, მეტი ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხს, მის დიზაინს, სამომხმარებლო თვისებებს. ხშირად უცხოურ ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის ახალი სახეობების გამოშვება, მენეჯმენტის ახალი სტილი, საზღვარგარეთული ბიზნესის პრაქტიკიდან საუკეთესო გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა მოყვება.

აცნობიერებენ რა ტნკ–ების საქმიანობის დადებით შედეგებს მიმღები ქვეყნებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციები პირდაპირ მოუწოდებენ განვითარებად ქვეყნებს მოიზიდონ ტნკ ტექნიკური მოდერნიზაციის განსახორციელებლად, ხოლო ამ ქვეყნების მთავრობები თავის მხრივ აქტიურად იბრძვიან ამისათვის, ერთმანეთთან კონკურირებით.

ტნკ–ს საწარმოებში დასაქმებული მაღალკვალიფიციური მომუშავე პერსონალისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას. გადადიან რა ქვეყნიდან ქვეყანაში, ისინი ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიან, რაც მთავარია, ტნკ–ს საქმიანობის შედეგად ხორციელდება ინსტიტუტების იმპორტი – იმ „თამაშის წესებისა“ (შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკის და ა.შ.), რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა.

ტნკ–ები აძლიერებენ კაპიტალის გამტანი ქვეყნების გავლენას მიმღებ ქვეყანაზე.

ტნკ–ების საქმიანობის აქტიური საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა ორი ფუნქციის განხორციელების საშუალებას იძლევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის:

– ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება;

– პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საერთაშორისო რეგულირება.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრციას და მდგრად ეკონომიკურ კავშირებს ქმნის სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მათი მეშვეობით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკების ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ჩართვით, რის შედეგად, წმინდა ეკონომიკური საშუალებებით ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სპონტანურად იქმნება გლობალური ეკონომიკა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების დადებით მხარეებთან ერთად, ადგილი აქვს მათ ნეგატიურ ზეგავლენას, როგორც იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, ანუ იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, სადაც განლაგებულია სათაო კომპანია.

განვიხილოთ ტნკ–ების ზემოქმედების ძირითადი უარყოფითი ნიშნები მიმღები ქვეყნების ეკონომიკაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ეროვნულ უსაფრთხოებას:

– მიმღები ქვეყნების კომპანიებზე შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში არაპერსპექტიული მიმართულებების თავსმოხვევის შესაძლებლობა, მიმღები ქვეყნების მოძველებული და ეკოლიგიურად საშიში ტექნოლოგიების განთავსების ადგილად გადაქცევის საშიშროება.

– უცხოური ფირმების მიერ მიმღები ქვეყნების სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურების ყველაზე განვითარებული და პერსპექტიული სეგმენტების დაპყრობა.

– რისკების ზრდა საინვესტიციო და საწამოო პროცესების განვითარებაში.

–სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება ტნკ–ების მიერ შიდა ფასების გამოყენების შედეგად.

ნაციონალური მთავრობა დაინტერესებულია თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლებაში და სამამულო ბიზნესის სტიმულირებაში. ამისათვის მათ საერთო მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ჩამოყალიბებული სპეციალიზაციის შეცვლა, ან ტრანსნაციონალური კორპორაციების მოგებაში თავიანთი წილის გაზრდა, ფლობენ რა უზარმაზარ ფინანსურ შესაძლებლობებს, საერთაშორისო კორპორაციებს შეუძლიათ თავიანთი შემოსავლების ხელყოფის მცდელობის აღკვეთა ძალისხმიერი მეთოდების ორგანიზების გზით დაწყებული ადგილობრივი პოლიტიკოსების მოსყიდვით და დამთავრებული მათთვის მიუღებელი მთავრობების წინააღმდეგ შეთქმულებების დაფინანსებითაც კი.

ტრანსნაციონალიზაცია კორპორაციებისათვის ეკონომიკურ რისკებს ამცირებს, მაგრამ ზრდის მათ მიმღები ქვეყნებისათვის. საქმე ისაა, რომ ტნკ–ებს ადვილად შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის ქვეყნებს შორის გადაადგილება. ქვეყანაში არაჯანსაღი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შემთხვევაში, ტნკ–ებს შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის გატანა სხვა ქვეყნებში. ასეთ პირობებში ვითარება იმ ქვეყანაში საიდანაც ტნკ–ს თავისი კაპიტალი გააქვს, უფრო მძიმდება, ვინაიდან კაპიტალის მასობრივი ამოღება უმუშევრობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს იწვევს.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საინვესტიციო საქმიანობის მოტივაციები. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობათა მოტივაცია შეიძლება ოთხ ტიპად წარმოვადგინოთ:

1. რესურსების მაძიებელნი;
2. ბაზრის მაძიებელნი;
3. ეფექტიანობის მაძიებელნი;
4. სტრატეგიული აქტივების მაძიებელნი.

რესურსების მაძიებელნი არიან საწარმოები, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები უფრო დაბალი რეალური ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ძირითადი მოტივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის არის ის, რომ გადააქციონ ინვესტორი კომპანია უფრო მომგებიან და კონკურენტუნარიან საწარმოდ იმ ბაზრებზე, რომლებსაც იგი ემსახურება. რესურსების მაძიებელთა ფილიალების მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი გაიტანება ექსპორტში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში.

გამოიყოფა რესურსების მაძიებელთა სამი ტიპი:

პირველი – ფიზიკური სახის რესურსების მაძიებელი. ესენი არიან ძირითადად სასოფლო–სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებიდან. მომსახურებაში პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება ადგილობრივი რესურსების ექსპლოატირების მიზნით, მაგალითად ტურიზმი, მშენებლობა, ბურღვითი სამუშაოები ნავთობის მოპოვებისათვის და სხვა.

მეორე ჯგუფი – რესურსების მაძიებლებისა მოიცავს ტნკ–ს, რომლებიც მიისწრაფვიან იყოლიონ დიდი რაოდენობით იაფი და კარგად მოტივირებული დაბალი ან ნახევრად კვალიფიციური სამუშაო ძალა. ამგვარი სახის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს როგორც წესი, ახორციელებენ სამრეწველო ან მომსახურების ტნკ–ები იმ

ქვეყნებიდან, საიდანაც ძვირადღირებული სამუშაო ძალაა. ასეთი პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება მეტწილად შედარებით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

მესამე ტიპი რესურსების მაძიებლებისა განპირობებულია ფირმების სურვილით აივსონ ტექნოლოგიური საშუალებები, მენეჯმენტის ან მარკეტინგის სფეროში დაგროვილი გამოცდილება.

საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტირებას დღემდე ძირითადად სწორედ რესურსების მაძიებლები ახორციელებენ. უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა აითვისონ რესურსები და მიიღონ შესაბამისი სარგებელი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო გამოირჩევა იაფი სამუშაო ძალის არსებობით, რაც აგრეთვე მიმზიდველი გარემოებაა უცხოელი ინვესტორისათვის, ვინაიდან მათ შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ ფირმის საწარმოო დანახარჯები.

ბაზრის მაძიებელნი არიან საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი ქვეყნების ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბაზრის მცირე მოცულობისა საქართველოში უცხოური ფირმების ერთი ნაწილი სწორედ ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით შემოვიდნენ (მაგ: ჯეოსელი, გაზპრომი, ლუკოილი და სხვა).

ეფექტიანობის მაძიებლები – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს რესურსების იმგვარად განაწილებას, როდესაც მაქსიმალური უკუგება მიიღება, ამგვარი სახის სარგებელი მოიცავს რისკების დივერსიფიკაციის გამოყენებას. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ტნკ–ებს შიგნით შრომის განაწილებისას კაპიტალტევადი, მაღალი ტექნოლოგიური და ინფორმაციული ხასიათის საქმიანობა კონცენტრირდება განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო შრომატევადი და რესურსტევადი წარმოება განვითარებად ქვეყნებში. მეორე ხასიათის ეფექტიანობის ძიებასთან დაკავშირებული პირდაპირი ინვესტიცია გულისხმობს ტნკ–ების მიერ საქმიანობის განაწილებას თანაბარი განვითარების მქონე ქვეყნებს შორის და მასშტაბის ეფექტის გამოყენებას.

სტრატეგიული აქტივების მაძიებლები ტნკ–ების მეოთხე ტიპია და გულისხმობს მოცემული კომპანიის მიერ უცხოური კორპორაციის აქტივების ათვისებას და მისი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების, განსაკუთრებით კი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. სტრატეგიული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება მეტწილად დაკავშირებულია ფირმების მიერ საკუთარი აქტივების რესტრუქტურირებასთან, რომელიც დაკავშირებულია დასახული მიზნების მიღწევისათვის.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი სწორედ ინვესტორთა აღნიშნულ ჯგუფებს ეკუთვნის. მათ შემოსავალს ძირითადად ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უწყობს ხელს, იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ–ერთი საკვანძო პუნქტია. მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადენი მარშრუტები საქართველოში და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.

ტნკ–თა საერთაშორისო საქმიანობათა ახსნა შესაძლებელია კიდევ სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც არ თავსდებიან ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიების

ჩარჩოებში. ისინი შეიძლება კლასიფიცირებულ იქნან შემდეგ სამ ჯგუფად: ინვესტიციებით თავის დაღწევა, ინვესტიციათა მხარდაჭერა, პასიური ინვესტიციები.

ინვესტიციებით თავის დაღწევა – ზოგიერთი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხორციელდება იმის გამო, რომ ფირმას სურს თავი დააღწიოს საკუთარ ქვეყანაში მისი საქმიანობის შემზღუდველ კანონმდებლობას ან მთავრობის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

ინვესტიციებით თავის დაღწევა დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკაშიც დომინირებს მთავრობის ინტერვენციონისტური პოლიტიკა.

მხარდაჭერი ინვესტიციების ძირითადი მიზანია მხარი დაუჭიროს საწარმოს დანარჩენი ნაწილის საქმიანობას. ისინი საშუალებას აძლევს მშობელ კომპანიას მიიღოს მოგება. მხარდამჭერი ინვესტიციებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ვაჭრობასთან დაკავშირებული ინვესტიციები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყონ და გაადვილონ ინვესტორი კომპანიის საქონლისა და მომსახურების ექსპორტი.

პასიური ინვესტიციების ერთ–ერთი გამოვლინებაა მცირე ფირმების ან ინდივიდუალური ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებათა განხორციელება უძრავ ქონებაში. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი ინვესტორების ძირითადი მიზანია საზღვარგარეთ დასასვენებელი ადგილების შესყიდვისათვის ხელშეწყობა, თუმცა ზოგჯერ ისინი მიმართულია მიწაზე და საკუთრებაზე ფასების ამაღლების მოლოდინზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება შეიძლება მოხდეს შემდეგი ხერხებით:

1. გულისხმობს ერთი ფირმის მიერ სხვა ქვეყანაში უკვე არსებული საწარმოო ერთეულის შესყიდვას.

2. „მწვანე ველის“ ინვესტიცია გულისხმობს ერთი ფირმის მიერ სხვა ქვეყანაში მისი ფილიალების მშენებლობას ყოველგვარი წინასწარი საწარმოო ბაზის გარეშე.

სამუშაო ძალაზე ზემოქმედება: თავისი საქმიანობით ტნკ–ები და მათი ფილიალები უშუალო ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის ხარისხზე, სტაბილურობაზე და ანაზღაურების მოცულობაზე.

პირდაპირი ზეგავლენა გულისხმობს ტნკ–ების ფილიალებს შორის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო არაპირდპირი კი ტნკ–თა საქმიანობის შედეგად მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე დასაქმების ზრდას.

ამრიგად, ტნკ–ების საქმიანობის შედეგებზე მცდარია შეხედულება, თითქოს საერთაშორისო ოპერაციების შედეგად ზოგიერთი ქვეყანა აუცილებლად მოგებული რჩება, დანარჩენი კი ზარალობს, რეალურ ცხოვრებაში კი შესაძლებელია სულ სხვა შედეგიც: ორივე მხარე შეიძლება მოგებული, ან წაგებული დარჩეს. ტნკ–ების საქმიანობიდან მოგება–ზარალის ბალანსი ბევრადაა დამოკიდებული მთავრობების, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლელა ჯამაგიძე, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში ; თბ. : უნივერსალი, 2010. - 208გვ.

2. დავით გეფერიძე, ავთანდილ ხაზალია, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და ტრანსნაციონალური კორპორაციები / - მე-2 გადამუშავებული გამოცემა. - თბილისი : ბონა კაუზა, 2014. - 340 გვ.

3. ანზორ აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია / [რედ.: გიორგი მალაშ-ხია]. - თბ. : ინოვაცია, 2005. - 380გვ.

4. ევგენი ბარათაშვილი, კობა არაბული, ნაირა გალახვარიძე, ნოდარ გრძელიშვილი; საქართველოს ეკონომიკა : (სახელმძღვ.) / [რედ.: გიორგი მალაშხია, ზვიად ჭეიშვილი]. - თბ., 2012. - 462გვ.

5. ქათამაძე დავით, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საფუძვლები : [სახელმძღვ. სტუდ.] / დავით ქათამაძე ; [რედ. როსტომ ბერიძე] ; შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტის სოციალ. მეცნ., ბიზნესისა და სამართალმცოდნ. ფაკ., ეკონ. მეცნ. დეპარტამენტი. - თბ. : უნივერსალი, 2009. - 208გვ.

საერთაშორისო ბიზნესის სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები - ტრანსნაციონალური კორპორაციები

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი" პროფესორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) წამყვან როლს ასრულებენ წარმოების ინტერნაციონალიზაციაში, რომელიც სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს შორის, საწარმოო კავშირების გაფართოებისა და გაღრმავების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (ტნკ–ებს) მცირე ქვეყნების ეკონომიკაში. განხილულია ტრასნაციონალური კორპორაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები ფუნქციონირებად ქვეყნების ეკონომიკაზე და ტრანსნაციონალური კორპორაციების საინვესტიციო საქმიანობის მოტივაციები.

Organizational forms of Entrepreneurial activities of international business

Nodar Grdzelishvili-Dr.of economics,
Tbilisi Teaching University ,,GORGASALI"professor.
Asociated professor at David Agmashenebeli University of Georgia

Summary

The article states that transnational corporations play a leading role in the internationalization of production, which is now more widespread among the enterprises of various countries. In the process of expanding entrepreneurial links particular emphasis is given to transnational corporations in the economies of small countries. Positive and negative sides of transnational corporations on the economies of various countries are analyzed, as well as the motivations of investment activities of transnational corporations.

Formes d'organisation des activités entrepreneuriales du commerce international

Nodar Grdzelishvili - Docteur en économie,
Université de Tbilissi,,Gorgasali " Professeur,
Professeur associé de l'Université de Géorgie David le Agmashenebeli

résumé

L'article stipule que les sociétés transnationales jouent un rôle de premier plan dans l'internationalisation de la production, qui est maintenant plus répandu parmi les entreprises de différents pays. Dans le processus de développement des liens entrepreneuriales accent particulier est accordé aux sociétés transnationales dans les économies des petits pays. Côtés positifs et négatifs des sociétés transnationales sur les économies des différents pays sont analysés, ainsi que les motivations des activités d'investissement des sociétés transnationales.

ტურისტული კარტოგრაფიის როლი ქვეყნის სახის ფორმირებაში

როინ გრძელიშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მასწავლებელი

ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, ტურისტული ინდუსტრიის მასობრივი განვითარებაა - ტურისტული ბუმი სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს იზიდავს სამოგზაურობდ. ტურიზმს უამრავი სიკეთე მოაქვს, იგი ადამიანებს აძლევს სამუშაოს, ზრდის შემოსავლებს, ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და სრულყოფას. ტურიზმი ასევე ჯანმრთელობის საწინდარი და ხშირ შემთხვევაში ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად, ღონისძიებები ტურისტული პროდუქტის განვითარებისთვის, მიმართული უნდა იყოს ქვეყნის ღირსეული იმიჯის შექმნისაკენ, რომლებიც დაფუძნებული იქნება მის მიმზიდველ სიმბოლურ მახასიათებლებთან. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ ეროვნული ტურისტული პროდუქტის განვითარებისას, ტურიზმის კარტოგრაფიულ უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მართლაც, რუკები - ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილია, ტურიზმის განვითარება ღირსეული კარტოგრაფიული თანხლების გარეშე შეუძლებელია. კარტოგრაფიულ ინფორმაციისგანაა დამოკიდებული მოგზაურობის ორგანიზაცია და მისი წარმატებით დამთავრება. რუკები, ატლასები, ტურისტული სქემები, ბუკლეტები - ყველა მათგანი ფართოდ გამოიყენება მოგზაურობის მომზადებისა და გამართვის სხვადასხვა სტადიაზე. მომხმარებელთა ფართო წრემ განაპირობა ტურიზმისათვის კარტოგრაფიული პროდუქციის მრავალფეროვნება.

ტურიზმის განვითარებამ, მისმა გეოგრაფიის გაფართოებამ, ახალი სახეობების გაჩენამ და მათმა კარტოგრაფიულმა უზრუნველყოფამ ხელი შეუწყო დამოუკიდებელი დარგის - ტურიზმის კარტოგრაფიის წარმოქმნას. ტურისტული რუკები ხელს უწყობენ ტურიზმის პოპულარიზაციას. კარტოგრაფიის როლი მდგომარეობს არა მარტო მოგზაურობაში აუცილებელი თვალსაჩინო ხელსაწყოების შექმნაში, მან ასევე უნდა უზრუნველყოს ტურიზმის რეკლამა სხვადასხვა კარტოგრაფიული პროდუქციით.

რაც უმთავრესია, ტურისტული კარტოგრაფიის როლი ქვეყნის სახის ფორმირებაში განუსაზღვრელად დიდია. დღევანდელ დღეს ტურისტული რუკები და სქემები სულ უფრო ხშირად გამოდიან სარეკლამო პროსპექტების როლში და წარმოადგენენ პროდუქციას, რომლებიც ტერიტორიის ტურისტული იმიჯის ფორმირებას ახდენენ. ტურისტული იმიჯი მოწოდებულია, რომ პოტენციურ ტურისტებზე, ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციის, რეკლამის და განვითარების მიზნით, ემოციურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს.

ქვეყნის, ტერიტორიის, ადგილის სახე - თავისთავად უნიკალური, განსაკუთრებული, სუბიექტური ცნებაა, გამოდის რა ტრადიციული გეოგრაფიული გაგების ჩარჩოებიდან, მასში დიდია კულტურულ-სიმბოლური შემადგენლის როლი. სახე - ეს ტერიტორიის ბუნებრივი, ისტორიული, კულტურული და სხვა მნიშვნელობის სინთეზია. სახე - გეოგრაფიის

და კულტურის იტერესების გადაკვეთის წერტილია. ამით აიხსნება კარტოგრაფიული ნაწარმოებების უდიდესი ღირებულება ქვეყნის ტურისტული იმიჯის ფორმირებაში, რომლებიც სიმბოლოებით და ნიშან-სახეთა სისტემებით ქმნიან ქვეყნის ტურისტული იმიჯის სახეს. ამიტომაც ტურიზმის კარტოგრაფიული უზრუნველყოფა უაღრესად აქტუალურია.

ქვეყნის ტურისტული სახე მკვიდრდება ტურისტების მიერ ამა თუ იმ ადგილის მონახულებისას დაგროვილი ინფორმაციით, რეალობას ვერანაირი სარეკლამო-მარკეტინგული მეთოდი შეცვლის, თუმცა არსებულის ხარისხიან პროპაგანდას, ყოველთვის აქვს და ექნება ეფექტი. მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე დიდი კონკურენციის გამო, რეალურად როდესაც ბრძოლა თითოეული ტურისტისთვის მიდის, მიზანმიმართულად შექმნილი მიმზიდველი ტურისტული სახე, კარტოგრაფიული ნაწარმოებებითაც უზრუნველყოფას და პროპაგანდას გულისხმობს.

რუკა უძლიერესი სიმბოლური ინსტრუმენტია და როგორც აღვნიშნეთ შორს ცდება საკუთრივ გეოგრაფიის საზღვრებს. ტურისტული რუკა კი არსებულის ესთეტიზირებას ყველაზე მეტად ახდენს, წარმოსახავს მიმზიდველად, რითაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, პოტენციურ ტურისტში შესაძლო მოსანახულებელი ქვეყნის პოზიტიური სახის ფორმირებას.

შეკითხვაზე სად მიდიხარ დასავენებლად? უცხოელ ტურისტთა უმეტესობა ასახელებს საკუთრივ ქვეყანას და არა კონკრეტულ რეგიონს ან ადგილს. ტურიზმზე ორიენტირებულ ქვეყნებს ეს კარგად აქვთ გაგებული, ამიტომ მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე ან მასმედიით ხშირად ვხედავთ და ვისმენთ - თურქეთის, საბერძნეთის, ხორვატიის, ისრაელის და ა.შ. ქვეყნების რეკლამებს - ვეწვიოთ მათ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველო, რომელთა სახელი ჯერჯერობით ტურისტულ ბრენდად ვერ იქცა, ზოგჯერ ტურისტულ-სარეკლამო კამპანიების დროს, მათი შედარებით კარგად განვითარებული რეგიონების პოზიციონირებას ეწევიან, რაც მცდარია.



საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე მთლიანად ქვეყნის სახელი მუშაობს და მუშაობს იმდენად კარგად, რამდენადაც პოზიტიური იმიჯი გააჩნია მოცემულ ქვეყანას. საქართველოსთვის, რასაკვირველია, ეფექტური იქნება ტურისტული პროდუქტის განვითარება, ერთიანი ტურისტული სახის ქვეშ, რაც ნებისმიერ ტურისტულ კარტოგრაფიულ ნაწარმოებში უნდა იკითხებოდეს. მოგზაურთა (ტურისტთა) პრაქტიკული მოთხოვნილებები მუდმივად თხოულობს გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას და მოგზაურობის კარტოგრაფიულ თანხლებას. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ზღვაოსნობის განვითარებასთან ერთად, გაჩნდა სპეციალური კაბოტაჟური საზღვაო რუკები - პერიპლები, რომლებიც გრაფიკულ გამოსახულებასთან ერთად შეიცავდნენ შორეული მიწების, პორტების აღწერას და მათ შორის მანძილების ტექსტურ ნაწილს.

დღევანდელ დღეს, აქტიურად განვითარებადი მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია, განაპირობებს სხვადასხვა სივრცითი მოცულობის რუკების შექმნას - მსოფლიო, ქვეყნების, ადმინისტრაციული და გეოგრაფიული რეგიონების, ქალაქების, ტურისტული ობიექტების ცალკეული სახეობების და სხვ.

ძირითადი მოთხოვნები ტურისტული რუკებისადმი - გასცეს საიმედო და ამომწურავი ინფორმაცია ადგილის, ტურისტული ინტერესების ობიექტების, ტურისტული სერვისის ობიექტების განლაგების შესახებ. ტურისტულმა რუკებმა უნდა გადაწყვიტოს ტურისტის წინაშე მდგარი ამოცანების მთელი კომპლექსი: ოპტიმალური მარშრუტის და გადაადგილების საშუალების არჩევა; კომფორტული მოგზაურობისთვის აუცილებელი და საკმარისი დროის გამოთვლა; მარშრუტის გავლის დროს კომუნიკაციური შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სხვ.

მომხმარებელთა მიერ ინფორმაციულ-საძიებო გადასაწყვეტი ამოცანებიდან გამომდინარე შეიძლება შეიქმნას და გამოიყენებოდეს კარტოგრაფიული ნაწარმოებების სხვადასხვა ტიპები - უბრალო სქემებიდან, ადგილის გეგმებიდან და სამარშრუტო რუკებიდან ტოპოგრაფიულ ზუსტ რუკებამდე, კომპლექსურ და სპეციალიზებულ ატლასებამდე. ამის მიუხედავად ტურიზმის სფეროში გამოსაყენებელი ყველა რუკა და კარტოგრაფიული ნაწარმოები უნდა პასუხობდეს რიგ მოთხოვნებს: უტყუარობა, სიზუსტე და თემატური სისრულე; ეფექტური კარტოგრაფიული დიზაინი და კითხვადობა; გამოყენებაში მოსახერხებლობა (ფორმატი, რუკის კეცვა და სხვ); დამატებითი საცნობარო მასალის აუცილებელი რაოდენობა.

რუკების შინაარსი მთლიანობაში განისაზღვრება ტერიტორიის საერთო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხით, კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივი ობიექტების პოპულარიზაციით, აგრეთვე სხვა ღირსშესანიშნაობებით, ტურიზმის ცალკეული სახეობების სპეციფიკით.

ტურისტული რუკების მრავალმხრივი მოთხოვნადობის თანამედროვე დონე, ვალდებულებას ხდის ტურისტებისთვის სპეციალური ინფორმაციის ჩვენებას ზუსტ და თანამედროვე გეოგრაფიულ საფუძველზე. ამ მიზნისათვის ტოპოგრაფიული რუკების გამოყენება, საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ არა მარტო ტერიტორიის საერთო გაცნობის, მასზე ორიენტირების, მარშრუტის სირთულის შეფასების ამოცანები, არამედ გადმოვცეთ მარშრუტის ბუნებრივი და კულტურული სახე ადგილის ელემენტებთან ჰარმონიაში.

ბოლო პერიოდში საქართველოში გამოცემული კარტოგრაფიული ნაწარმოებების მოკლე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს ტურისტული რუკების მრავალფეროვნების ზრდას. თუმცა უკვე არსებული პროდუქცია ზღვაში წვეთია რეალურ საჭიროებასთან შე-

დარებით, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ რუკების ესთეტიკური მხარე ან მისი შინაარსი მოითხოვს დამუშავებას ან შესწორებებს.

გარდა ზოგადი ხასიათის ტურისტული რუკების შექმნისა, მეტი ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული თემატურ მრავალფეროვნებაზე, რაც თავისთავად საქართველოს მსგავს მდიდარი ისტორიის და მრავალფეროვანი ბუნების ქვეყანაში, თავისთავად სირთულეს არ წარმოადგენს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ისეთ რუკებზე კი სადაც ნახატებითაა გადმოცემული ქვეყნის კოლორიტი, ზედმეტი გაშარჟების ნაცვლად აკადემიურობა უნდა იკითხებოდეს.

თუკი ბუნების ელემენტების ასახვა, ჩვეულებრივი, თავისთავადი ნაწილია ტურისტული რუკების შედგენისას, ზოგიერთი თემატური ხასიათის რუკაში (ატლასში) შეიძლება იქნეს გამოყენებული ისტორიული რუკები. როდესაც, ხაზს ვუსვავთ ჩვენს უძველეს ისტორიას და კავშირს ევროპულ სამყაროსთან, კარგი იქნება ცნობილი ევროპელი კარტოგრაფების მიერ შექმნილ რუკებით, ტურისტული კარტოგრაფიული პროდუქციის გამდიდრება.

ტურისტული კარტოგრაფია დიდი მისიის მატარებელია, ჩვენს ქვეყანაში მას მეტი მხარდაჭერა და განვითარება ესაჭიროება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Постников А.В. Развитие картографии и вопросы использования старых карт. М. Наука, 1985. 214 с.
2. Замятин Д. Н. Культура и пространство: Моделирование географических образов. — М.: Знак, 2006. — 488 с.
3. Географическое картографирование: карты природы. Отв. ред.Е.А. Божилина. М., Изд. КДУ, 2010. 316 с.
4. В.Н. Калуцков. Географические подходы к созданию историко-культурных образов.
5. Уварова А.К. Составление туристских карт. Учебное пособие. Алматы, Изд-во «Қазақ университеті», 2009 – 148 с
6. http://nb-media.ru/main.php?id=1&nid=1378
7. http://www.apa.gov.ge
8. http://georgia.travel/
9. http://www.vinoge.com/
10. http://www.geoland.ge/
11. https://mapcollection.wordpress.com.

12.https://commons.wikimedia.org/w/index.php?title=Category:UB_Basel_Maps_Uncategorized&fileuntil=UBBasel+Map+1700-1799+VB+A2-2114+Ottenbach.tiff#/media/File:UBBasel_Map_1571_Kartenslg_AA_118_Romani_imperii_imago.tiff

ტურისტული კარტოგრაფიის როლი ქვეყნის სახის ფორმირებაში

როინ გრძელიშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მასწავლებელი

რეზიუმე

დღევანდელ დღეს ტურიზმი წარმოადგენს, მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთ უმსხვილეს, მაღალშემოსავლიან და დინამიურად განვითარებად დარგს. ფაქტიურად, მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც არ ცდილობდეს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე დამკვიდრებას. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც განვლილი კატაკლიზმების შემდეგ ჭირდება სტაბილური, პოზიტიური იმიჯის დამკვიდრება. მიმზიდველი ქვეყნის სახის ფორმირება, ბევრ სხვა სხვა ღონისძიებებთან ერთად, მაღალი ხარისხის და მრავალფეროვანი კარტოგრაფიული ნაწარმოებების შექმნაზეც გადის.

The role of tourist cartography in the formation of country image

Roin Grdzelishvili- Teacher of Georgia's State Community College of Physical Education and Sport

Summary

Today, tourism represents one of the largest, highly profitable and dynamically developed branches of world economy. In fact, there is no country in the world that is not trying to assert itself on the world touristic market. Among those countries is also Georgia, which after the many disasters, requires the development of a positive image. The formation of the attractive country image depends, among many other measures, on the creation of high quality and diverse cartographic works.

Le rôle de la cartographie touristique dans la formation de la réputation de pays

Roin grdzelichvili-Professeur de collège communautaire État géorgien de l'éducation physique et du sport

résumé

Aujourd'hui, le tourisme représente une des plus grandes branches, très rentables et développés de façon dynamique de l'économie mondiale. En fait, il n'y a aucun pays dans le monde qui ne cherche pas à se faire valoir sur le marché touristique mondial. Parmi ces pays est également la Géorgie, qui, après les nombreuses catastrophes, nécessite le développement d'une image positive. La formation de l'image de pays attractif dépend, entre autres mesures, sur la création de haute qualité et divers travaux cartographiques.

პრობაციის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

იასონ (იანი) კანდელაკი
სამართლის მაგისტრი. თსუ, იურიდიული ფაკულტეტი

შესავალი

ეჭვს არ იწვევს, რომ ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს, რადგან სწორედ ეს არის იმის საწინდარი, რომ კანონით განმტკიცებული და დაცული იქნება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე ყველა ის პრინციპი, რომელიც განვითარებული სამყაროს ქვაკუთხედს წამოადგენს. საქართველო ევროინტეგრაციისკენ მიისწრაფის, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მზადაა კეთილსინდისიერად შეასრულოს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ვალდებულებები და დაიცვას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები,[7] რისთვისაც აუცილებელია კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამება. ეს განსაკუთრებით სენსიტიურია პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის თემასთან მიმართებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან. პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლებას ორი გაგება აქვს, ვიწრო და ფართო. ვიწრო გაგებით ეს ცნება მოიცავს მხოლოდ ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებას და ამ გადაწყვეტილების აღსრულებას. ფართო გაგებაში კი იგულისხმება მთელი ის პროცესი კომპლექსში, რომელიც ემსახურება იმ მიზნების მიღწევას, რაც პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტს ახასიათებს. ხოლო ამ მიზნების მიღწევის გარეშე პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი კარგავს აზრს.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომელიც საფუძვლად უდევს პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტს, არის პატიმრის გამოსწორება და რესოციალიზაცია, თავისუფლების აღკვეთის სრული ვადის ამოწურვამდე. ამ მიზნისკენ მიმავალი ნაბიჯები არის პატიმართა განათლებით უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო პროცედურები, მათი შრომასთან შეჩვევა და საბოლოოდ სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება. თუმცა ამით პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნების მიღწევისკენ მიმავალი გზა არ სრულდება. ამ ყველაფრის დამაგვირგვინებელი სტადიაა პრობაცია.

I. პრობაციის ცნება, არსი და მიზნები

პრობაცია არის პირობით ვადამდე გათავისუფლების ის უმნიშვნელოვანესი სტადია, როდესაც ხდება იმის შემოწმება, თუ რამდენად სწორია პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილება და მიღწეულია თუ არა სასჯელის შესაბამისი მიზნები. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის № 22 რეკომენდაცია ხაზს უსვამს იმას, რომ პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს მის დახმარებას, რათა ციხის ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში კანონმორჩილ ცხოვრებად, გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნით და ზედამხედველობით.[8] ეს ყველაფერი კი სწორედ პრობაციის სტადიაზე ხდება. პრობაციის დეფინიციას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (65) 1 ,,სასჯელის გადავადება, პრობაცია და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატიული ზომები'' იძლევა. ამ დეფინიციის თანახმად, პრობაცია არის სამარ-

---

[7] იხ. *ლ. ალექსიძე,* თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2008, გვ. 56.

[8] Рекомендация Rec (2003) 22 Комитета министров Совета Европы ''Об условно-досрочном освобождении'', Приложение к Рекомендации N Rec (2003) 22, II. Общие принципы.

თალდამრღვევის დახმარება და განსაზღვრული პერიოდით მასზე ზედამხედველობა, მისი რეაბილიტაციისა და ქცევის კონტროლის განხორციელების მიზნით.

პრობაციის ორგანოებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დატვირთვა და ფუნქციები აქვთ. ტოკიოს წესების თანახმად, იმის მიხედვით, თუ როგორია პრობაციის ეროვნული სისტემა, პრობაციის ორგანოების მუშაობა, გარდა პრობაციონერებზე ზედამხედველობის და მათი მხარდაჭერის ფუნქციებისა, შესაძლოა ასევე მოიცავდეს ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას სასამართლო და სხვა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთათვის, რათა დაეხმაროს მათ ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.[9] ამის ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც გვირგვინის საბრალდებო სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პრობაციის სამსახურთან. პრობაციის სამსახურს ევალება შეუგროვოს მას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა დასახასიათებლად საჭირო მონაცემები, რათა მოხდეს სასჯელის ზომის განსაზღვრა.[10]საქართველოში პრობაციის ორგანოებს მსგავსი ფუნქცია არ აქვთ, თუმცა იგეგმება სამომავლოდ პრობაციის ორგანოთათვის სამართალდამცავი ორგანოთათვის დამხმარის ფუნქციის დაკისრება. ეს გულისხმობს დანაშაულის ჩამდენის პიროვნებაზე, ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, წარსულზე, საქმიანობაზე და სხვა მსგავსი ინფორმაციის მოძიებას, რაც დაეხმარება სასამართლოს მეტად ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

პრობაციის ინსტიტუტი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და მას საფუძვლად დაედო ორი ინსტიტუტი-პირობითი მსჯავრი და სასჯელის მოხდის გადავადება.[11] თავად ტერმინი ,,პრობაცია'' (Probation) ნიშნავს გამოცდას. პრობაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრობაციონერი ვალდებულია უბრალოდ იქონიოს უწყვეტი კონტაქტი პრობაციის სამსახურის მუშაკთან, რათა მასზე ხორციელდებოდეს კონტროლი. თუმცა ამასთან ერთად, პრობაციონერს შესაძლებელია დაეკისროს გარკვეული ვალდებულებები. საქართველოს სსკ-ს 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს სსკ-ს 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობები, რომლებიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში.

პრობაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს ეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია და ,,არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები'' (ტოკიოს წესები).

II. პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდგომი პრობაცია საქართველოში

საქართველოში პრობაციის განხორციელებას არეგულირებს ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ,, საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, პრობაციას უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, თავისი ტერიტორიული ერთეულების — პრობაციის ბიუროების მეშვეობით.

---

[9] არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), I. მოქმედების და გამოყენების სფერო, განსაზღვრებები და ძირითადი პრინციპები: გარანტიები.

[10] *იხ. კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი,* დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი 2007, გვ. 92.

[11] იხ. *А. Темирбекова,* Пробация: сущность, цели и методы реализации, <http://www.adilet.gov.kz/ru/node/8643>, [07. 03. 2014].

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი პირი მუშაობს მსჯავრდებულთან, უნდა არსებობდეს ერთი პასუხისმგებელი პირი, რომლის ამოცანა იქნება შეაფასოს, შეიმუშაოს და კოორდინაცია გაუწიოს ზოგად სამუშაო გეგმას, უზრუნველყოს მსჯავრდებულთან შესაბამისი კონტაქტი და მასზე დაკისრებული პირობების აღსრულება.[12] ქართულ პრობაციის სისტემაში ეს როლი პრობაციის ოფიცერს აკისრია. პრობაციის ოფიცერი არის უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გავლილი აქვს პრობაციის ოფიცრის სპეციალური სასწავლო კურსი, ხოლო ამ კურსის დასრულების შემდეგ ჩაბარებული აქვს შესაბამისი გამოცდა. თუმცა, მინისტრთა კომიტეტის აღნიშნული რეკომენდაცია იმასაც ამბობს, რომ პრობაციის ორგანოებს უნდა ჰყავდეთ საკმარისი რაოდენობის პერსონალი, რათა ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. და გარდა ამისა, პერსონალის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს საქმეთა ის რაოდენობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, ეფექტურად და ჰუმანურად გაუწიონ დახმარება და ზედამხედველობა მსჯავრდებულებს. [13] ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს, თუ საქმეთა რა მაქსიმალური რაოდენობა შესაძლებელია ჰქონდეს ერთ პრობაციის ოფიცერს. ხოლო პრობაციის ოფიცერთა საერთო რაოდენობა კი საკმაოდ დაბალია. 2010-2012 წლების მონაცემებით, პრობაციის ოფიცერთა საერთო რაოდენობა საქართველოში დაბალი იყო, რის გამოც თითოეულ პრობაციის ოფიცერს ხვდებოდა საქმეთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობა.[14] მართალია, 2013-2014 წლებში თითოეულ პრობაციის ოფიცერს გაცილებით ნაკლები საქმეთა საშუალო რაოდენობა აქვს, ვიდრე წინა წლებში, თუმცა ეს მხოლოდ 2012 წელს განხორციელებული ფართომაშტაბიანი ამნისტიის შედეგია და რეალურად ოფიცერთა მცირე რაოდენობის და მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობის შესაძლებლობის პრობლემა გადაჭრილი არ არის. პრობაციის ოფიცრის წარმოებაში მყოფი სააღსრულებო საქმეთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობა, რათქმაუნდა უდაოდ ამცირებს პრობაციონერზე კონტროლის განხორციელების ხარისხსა და მისთვის სათანადო დახმარების გაწევის შესაძლებლობას. აქიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ამ პუნქტში პრობაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საქართველოში არ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს. ეს ხარვეზი კი ამცირებს პირობით ვადამდე გათავისუფლების ისეთი მიზნების მიღწევას შესაძლებლობას, როგორიცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და გამოსწორება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქმეთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, პრობაციის ოფიცერი ვერ უთმობს ერთ პრობაციონერს საკმარის ყურადღებას.

ზემოხსენებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პრობაციის ოფიცერთა რაოდენობის გაზრდა, რაც არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრო-

---

12 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია, V. ზედამხედველობის პროცესი: ინტერვენციული (ჩარევის) ღონისძიებები.

13 იქვე, II. ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალი: პერსონალი.

14 პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 1 აპრილს მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოში სხვადასხვა წლებში პრობაციის ოფიცერთა რიცხვობრიობა და მათ წარმოებაში არსებული სააღსრულებლო საქმეთა რაოდენობა შემდეგია: 2010 წელს — სულ იყო 119 პრობაციის ოფიცერი, თითო ოფიცერზე საშუალოდ 240 სააღსრულებო საქმე მოდიოდა; 2011 წელს-სულ იყო 123 პრობაციის ოფიცერი, თითო ოფიცერზე საშუალოდ 264 სააღსრულებო საქმე მოდიოდა; 2012 წელს —173 პრობაციის ოფიცერი, თითოზე საშუალოდ 261 სააღსრულებო საქმე მოდიოდა; 2013 წელს — 172 პრობაციის ოფიცერი, თითოზე საშუალოდ 52 სააღსრულებო საქმე მოდიოდა; მიმდინარე 2014 წელს — სულ 172 პრობაციის ოფიცერია, თითოზე კი საშუალოდ 43 სააღსრულებო საქმე მოდის.

ბაციის ეროვნულ სააგენტოს აქვს კიდევაც გეგმაში. მეტიც, მოხდა პრობაციის ოფიცერთა ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე, თუმცა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, გამოცხადებული კონკურსის დასრულების შემდეგ, პრობაციის ოფიცერთა საერთო რაოდენობა 2014 წლის 1 აპრილის მონაცემებით არ შეცვლილა და ის კვლავ 173 ოფიცერს შეადგენს, რაც კონკურსის გამოცხადებამდე იყო. გარდა ამისა, საჭიროა კანონში ზუსტად გაიწეროს საქმეთა რაოდენობის ფარგლები, რამდენიც შესაძლებელია ჰქონდეს ერთ პრობაციის ოფიცერს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია პირდაპირ აფიქსირებს, რომ პრობაციის ორგანოების მიერ ზედამხედველობის განხორციელება არ შეიძლება იქნეს გაგებული როგორც მხოლოდ კონტროლის ვალდებულება, ის აგრეთვე მოიცავს მსჯავრდებულის თანადგომას, რჩევების მიცემას, დახმარების აღმოჩენასა და წახალისებას.[15] არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი იცნობს პრობაციონერთა წახალისების შესაძლებლობებს. მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით, გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია პირობითი მსჯავრის გაუქმების და ნასამართლეობის მოხსნის შუამდგომლობით მიმართოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა იცნობს სამოქალაქო შეთანხმების ინსტიტუტს. ეს შეთანხმება ფორმდება პროკურორსა და მსჯავრდებულს შორის და გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ გარკვეულ სფეროში საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას სხვა პირთათვის. თუ მსჯავრდებულმა ნაკისრი მოვალეობები სათანადოდ შეასრულა, მას შესაძლებელია გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც გაუუქმდეს პირობითი მსჯავრი და მოეხსნას ნასამართლეობა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ. რათქმაუნდა ეს ყველაფერი დამატებითი მოტივაციაა პრობაციონერთათვის, დაადგნენ გამოსწორების და რესოციალიზაციის გზას.

გარდა ამისა, კანონი შესაძლებლობას აძლევს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, მინისტრთან შეთანხმებით, საკუთარი შემოსავლიდან დააფინანსოს კულტურული, სპორტული, გამაჯანსაღებელი და სხვა ღონისძიებები. პრობაციის ეროვნული სააგენტო, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით, მართლაც ხშირად უწევს ორგანიზებას სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე პრობაციონერთა დასწრებას, არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ უფასოდ დაესწრონ ეროვნული ჩემპიონატის და საერთაშორისო ტურნირების ეგიდით გამართულ საფეხბურთო მატჩებს. გარდა ამისა, პრობაციის ეროვნული სააგენტო ატარებს სხვადასხვა ტურნირებს ფეხბურთში, მინიფეხბურთში, აგრეთვე ,,რა? სად? როდის?'' ინტელექტუალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც პრობაციონერებისგან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობენ. ეს ყველაფერი რათქმაუნდა ხელს უწყობს პრობაციონერთა რეაბილიტაციას, გამოსწორებასა და მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, რასაც უნდა ემსახურებოდეს კიდეც პრობაციის სისტემა.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაციის კიდევ ერთი მოთხოვნაა, რომ პრობაციის ორგანოებმა ხელი შეუწყონ მსჯავრდებულებს დასაქმებაში.

[15] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია, VI. პრობაცია: ზედამხედველობის ზომები.

პრობაციის ბიუროს ტიპური დებულება ერთ-ერთ ფუნქციად პრობაციის ოფიცერს სწორედ ამას აკისრებს, თუმცა პრაქტიკაში მსგავსი დახმარება იშვიათად ხერხდება.[16] სასურველი იქნებოდა კანონით ამ საკითხის კიდევ უფრო დეტალურად დარეგულირება, თუნდაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში სპეციალური სამსახურის შემოღებით, რომლის სპეციალური ფუნქცია იქნება მსჯავრდებულთათვისსამუშაო ადგილების მოძიება, ამისთვის შესაბამის დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებათა გაფორმება და ასე შემდეგ.

თუ მსჯავრდებულთა შრომითი მოწყობა ცალკე სამსახურის პრეროგატივა იქნება, რომელიც ექსკლუზიურად იქნება ამაზე პასუხისმგებელი, და არა პრობაციის ოფიცრის, ეს ბევრად უფრო პრიორიტეტულს და რეალურს გახდის პრობაციის ორგანოს მიერ მსჯავრდებულთა შრომითი მოწყობის პერსპექტივას. მსჯავრდებულთა დასაქმებისადმი პრობაციის ეროვნული სააგენტოს მხრიდან მეტი ყურადღების მიქცევა კიდევ უფრო გაზრდის პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას, გამოსწორებას და მათ მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

იმისათვის, რათა ნებისმიერი დაწესებულების საქმიანობა იყოს მართებული და შესაბამისი შედეგების მომტანი, მას სჭირდება მაკონტროლებელი ორგანო. ეს პრობაციის ბიუროებსაც შეეხებათ. სწორედ ამიტომ მოითხოვს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია, რომ პრობაციის ორგანოებს ევალებოდეთ შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო სამსახურს რეგულარულად მიაწოდონ ანგარიშები და სხვა ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ.[17]

,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ,, საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, პრობაციის ბიუროების საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო. ამისთვის, კანონი ავალდებულებს პრობაციის ბიუროს უფროსს პერიოდულად და აგრეთვე მოთხოვნისამებრ წარუდგინოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაცია, ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების აღსრულების შესახებ.

პრობაცია ეფექტური და სასურველი შედეგების მომტანი ვერ იქნება, თუ პრობაციის ორგანოთა პოლიტიკა მიმართული არ იქნება კონკრეტულ მსჯავრდებულთან ინდივიდუალური მიდგომისკენ. სწორედ თითოეულ მსჯავრდებულთან ინდვიდუალურ მიდგომასა და მუშაობას მოითხოვს ტოკიოს წესები და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია. თითოეული სამართალდამრღვევის შესახებ კომპეტენტურმა ორგანომ უნდა აწარმოოს შესაბამისი საქმის ჩანაწერი, შემუშავდეს სპეციალური სქემები.[18] თითოეულ მსჯავრდებულთან მიმართებაში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური გეგმა, რომლის გადახედვა, რედაქტირება და დახვეწა მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს რეალობის ცვლილების გათვალისწინებით. საქართველოში პრობაციის სისტემის საქმიანობა სწორედ ამ პრინციპით წარიმართება. ყველა კონკრეტული მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებ-

---

16 პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 1 აპრილს მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2013 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით დასაქმებული იქნა 124 პირობით მსჯავრდებული, ხოლო 2014 წლის მარტის მონაცემებით დასაქმდა 20 პირობით მსჯავრდებული.

17 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია, III. ანგარიშვალდებულება და სხვა უწყებებთან ურთიერთობა.

18 არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), V. არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენება: მოპყრობის პროცესი.

ის შეფასების შედეგად ხდება ინტერვენციების დაგეგმვა და ინდივიდუალური გეგმის შედგენა პრობაციის ოფიცრის მიერ მსჯავრდებულთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში, პრობაციის ოფიცერი გამოითხოვს მსჯავრდებულის შესახებ შესაბამის სახელმწიდო და სამკურნალო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციას. პრობაციის ოფიცერსვე ევალება სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის შესრულების და მის შესახებ სხვა სათანადო ინფორმაციის რეგისტრაცია. შესაბამისად, მსჯავრდებულთან მიდგომის ინდივიდუალიზაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, თმამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პრობაციის სისტემის საქმიანობა ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.

III. პრობაციონერის მიერ პრობაციის პირობების დარღვევის შედეგები და საჩივრების პროცედურა

იმისთვის, რომ პრობაცია ეფექტური იყოს, საჭიროა ზედმიწევნით სრულდებოდეს ის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც შედგენილ იქნა მსჯავრდებულის რისკების, საჭიროებების, პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების შეფასების შედეგად. ამისთვის კი საჭიროა მსჯავრდებული კეთილსინდისიერად ასრულებდეს პრობაციის პირობებით დადგენილ რეჟიმს, რაც გულისხმობს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას, დადგენილი პერიოდულობით გამოცხადების ვალდებულებას და აგრეთვე, სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას. მაგალითად, მის მიერ სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლა. ხოლო დადგენილ პირობათა დარღვევის შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი დაუყოვნებლივი რეაგირება.

ტოკიოს წესების თანახმად, სამართალდამრღვევის მიერ პირობათა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება, რასაც ახორციელებს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო, ზედამხედველ ოფიცერსა და დამნაშავესთან ფაქტების გადამოწმების შემდგომ. პატიმრობა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ისეთ უკიდურეს შემთხვევაში, როცა არ არსებობს სხვა ალტერნატიული ღონისძიება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა არასაპატიმრო ღონისძიების პირობების შეცვლა, ან მისი გაუქმება, მსჯავრდებულს უნდა შეეძლოს გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში ან სხვა დამოუკიდებელ კომპეტენტურ ორგანოში.[19] ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, თუ მსჯავრდებული პრობაციის ოფიცრის მიერ დანიშნულ დროსა და ადგილას არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდა, არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას, ან არაკორექტულად იქცევა, პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია, ბიუროს უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებული განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაიყვანოს. ეს იმას გულისხმობს, რომ მომდევნო სამი თვის განმავლობაში, ნაცვლად კვირაში ერთხელ გამოცხადებისა, მას მოუწევს პრობაციის ოფიცრის მიერ დათქმულ დროსა და ადგილას არაუმეტეს კვირაში სამჯერ გამოცხადება. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არღვევს დადგენილ რეჟიმს და საპატიო მიზეზისგარეშე არ ცხადდება პრობაციის ოფიცრის მიერ დანიშნულ დროსა და ადგილას, უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც იმავე დროს არის საჯარიმო ქვითარი. ოქმი მსჯავრდებულს უშუალოდ გადაეცემა ან ფოსტით ეგზავნება. კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიის პრობაციონერთა შესაძლებლობებს და ადგენს, რომ არასრულწლო-

[19] იქვე, V. არასაპატიმრო ღონისძიებათა განხორციელება: დისციპლინა და პირობების დარღვევა.

ვანს და სოციალურად დაუცველ ოჯახთა ბაზაში რეგისტრირებულ მსჯავრდებულს, რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი უწერს მხოლოდ და მხოლოდ გაფრთხილების ოქმს და არა ფულად ჯარიმას.

კანონი, ტოკიოს წესების მოთხოვნის მსგავსად, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად რბილ სანქციებს უწესებს სამართალდამრღვევებს და ცდილობს აარიდოს პრობაციის გაუქმებას და სასჯელის აღსრულებას. რეჟიმის პირველად დარღვევის შემთხვევაში, პრობაციონერი ჯარიმდება 100 ლარით, ხოლო ხსენებული განსაკუთრებული კატეგორიის პროობაციონერს, რომელსაც არასრულწლოვანი და სოციალურად დაუცველ ოჯახთა ბაზაში რეგისტრირებული პირი მიეკუთვნება, გაფრთხილების ოქმი გადაეცემა. ერთი წლის მანძილზე რეჟიმის მეორედ დარღვევისას, პრობაციონერი 200 ლარით ჯარიმდება, ხოლო არასრულწლოვანი ან სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული პირის მიმართ კანონი ისევ გაფრთხილებით შემოიფარგლება. მხოლოდ მესამედ ან მეტჯერ პრობაციის რეჟიმის დარღვევისას, კანონი აძლევს პრობაციის ოფიცერს ალტერნატივას, ან ჯარიმა გაზარდოს 300 ლარამდე (არასრულწლოვანს ან სოციალურად დაუცველს მორიგი გაფრთხილების ოქმი გამოუწეროს), ან/და მიმართოს პრობაციის ბიუროს უფროსს შუამდგომლობით სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე. ამ შემთხვევაში, პრობაციის ბიუროს უფროსი მიმართავს სასამართლოს წარდგინებით, რომლის შედეგად მსჯავრდებულს შეიძლება შეეცვალოს ან დაუმძიმდეს დადგენილი რეჟიმი, ან გაუგრძელდეს გამოსაცდელი ვადა. აგრეთვე შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდეს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხდება პირდაპირ, ყოველგვარი ჯარიმების და გაფრთხილებების გარეშე სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა, არის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრის მიერ დადგენილი შესაბამისი სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულებაზე მსჯავრდებულის უარი, ან განზრახ თავის არიდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირობით ვადამდე გათავისუფლებულმა მსჯავრდებულმა გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო წყვეტს, გააუქმოს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი, თუ ძალაში დატოვოს.

პრობაცია ეფექტური და სრულყოფილი ვერ იქნება, თუ მსჯავრდებულს არ ექნება პრობაციის სისტემის და მისი მუშაობის მიმართ ნდობა და პატივისცემა. ამისათვის კი საჭიროა არსებობდეს პრობაციის ბიუროს მოქმედებათა გასაჩივრების ეფექტური საშუალებები. სწორედ ამიტომ, კანონი აძლევს მსჯავრდებულს შესაძლებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (საჯარიმო ქვითარი) ან გაფრთხილების შესახებ ოქმი გაასაჩივროს პრობაციის ბიუროს უფროსთან, გაცნობიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც ვალდებულია განიხილოს იგი 15 სამუშაო დღის ვადაში. ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის აღსრულების თაობაზე, სსსკ-ს თანახმად, ისევე როგორც ნებისმიერი შემაჯამებელი გადაწყვეტილება, მას შეუძლია გაასაჩივროს ზემდგომ ინსტანციაში.

IV. პრობაციონერის გამოცხადენის რეჟიმის ინდივიდუალიზაცია

პრობაციის ორგანოებისა და პრობაციონერთა ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ურთიერთპატივისცემა და სოლიდარობა. სწორედ ამას ემსახურება ევროპის საბჭოსმინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაციის დებულებები, რომლებიც მოითხოვენ, რომ

პრობაციის ორგანოთა ნებისმიერი მოთხოვნა პრობაციონერისადმი უნდა ემსახურებოდეს მისი ჯანმრთელობის დაცვას, ითვალისწინებდეს მის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, გარემოებებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და საჭიროებებს.[20] ეს, უპირველეს ყოვლისა, პრობაციონერის სათანადო ორგანოში გამოცხადების რეჟიმს ეხება.

1970 წლის 26 იანვარს მინისტრთა მოადგილეების მიერ მიღებული (70) 1 რეზოლუცია ერთ-ერთ მოთხოვნად უყენებს წევრ-სახელმწიფოს პრობაციის დროს პრობაციონერთან მოპყრობის ეფექტურ ინდივიდუალიზაციას, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებებისა და პირადი ღირსების პატივისცემასთან.[21] პრობაციონერთან მოპყრობის ეფექტური ინდივიდუალიზაცია მართლაც აუცილებელია, რადგან ეს თითოეული პრობაციონერის ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული დებულება. ამ დებულების თანახმად, თუ მსჯავრდებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, რაც იმას გულისხმობს, რომ მას დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად პროფესიული შრომის უნარი სრულად ან ნაწილობრივ აქვს დაკარგული, ანდა ეს მას ყოფა-ცხოვრებას არსებითად უძნელებს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით, მსჯავრდებულს შესაძლებელია შეუმსუბუქდეს რეჟიმი, რაც გულისხმობს სამ თვეში ერთხელ გამოცხადებას. იგივე შეღავათი შესაძლებელია შეეხოს აგრეთვე ხანდაზმულობის ასაკს მიღწეულ პირსაც (ქალი — 65 წლიდან, კაცი — 70 წლიდან). იმ შემთხვევაში კი, თუ პირს დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, კანონი მას არ ავალდებულებს გამოცხადებას. ამ შემთხვევაში, პრობაციის ოფიცერი განახორციელებს მასზე ზედამხედველობას მის საცხოვრებელ ადგილას არანაკლებ სამ თვეში ერთხელ მისვლით.

კანონი აგრეთვე ითვალისწინებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით მსჯავრდებულისთვის დადგენილი რეჟიმის ორ კვირაში ერთხელ გამოცხადებამდე შემსუბუქებას. ეს ოპცია საშუალებას იძლევა მოხდეს მსჯავრდებულის პროგრესის გათვალისწინება, სამუშაო გეგმაში ასახვა და ამით მისი წახალისება.

V. პრობაციონერის საზღვარგარეთ გამგზავრება და საფასურის გადახდის სანაცვლოდ გამოცხადების რეჟიმის შემსუბუქება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია აყალიბებს იმ მიზნებს, რასაც უნდა ემსახურებოდეს პრობაციის ინსტიტუტი. პრობაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სამართალდამრღვევთა სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეწყობა, რისთვისაც პრობაციის ორგანოები ახორციელებენ ზედამხედველობას პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულზე.[22] პრობაცია, როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლების თანმდევი პროცესი, გულისხმობს მსჯავრდებულზე დაკვირვებას, თუ რამდენად იქნა მიღწეული პატიმრობის მიზნები და რამდენად სწორედ იქნა გამოყენებული მის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლება. სწორედ ამიტომ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია

---

20 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია, ძირითადი პრინციპები.

21 რეზოლუცია (70) 1 ,,პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ'', (მიღებული მინისტრთა მოადგილეების მიერ 1970 წლის 26 იანვარს), მე-3 მუხლის (ა) პუნქტი.

22 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია, განმარტებები.

მოითხოვს, რომ პრობაციის ორგანოებმა უზრუნველყონ მსჯავრდებულებზე ეფექტური ზედამხედველობა. თუმცა, ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონში არის დებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის პრობაციის ინსტიტუტის არსთან და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულს შესაძლებლობას აძლევს შესაბამისი თანხის გადახდის სანაცვლოდ ნაწილობრივ ან სრულად აარიდოს თავი პრობაციის ინსტიტუტს.

პირველი დებულება, რომელიც მსჯავრდებულს შესაძლებლობას აძლევს, ნაწილობრივ აარიდოს თავი პრობაციის ინსტიტუტს, არის ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' კანონის მე-14[1] მუხლი. ამ მუხლის თანახმად, მსჯავრდებულს მისივე განცხადების საფუძველზე შესაძლებელია შეუმსუბუქდეს რეჟიმი, რაც გულისხმობს პრობაციის ბიუროში არაუმეტეს თვეში ერთხელ გამოცხადებას, თუ იგი პრობაციის ეროვნული სააგენტოს საბანკო ანგარიშზე ერთჯერადად ჩარიცხავს ფულად თანხას 400 ლარის ოდენობით.

კანონი არ ითვალისწინებს არანაირ გაწერილ დათქმას, ან კრიტერიუმს, რომლის შემთხვევაში მსჯავრდებულს შესაძლებელია უარი ეთქვას საფასურის გადახდის სანაცვლოდ რეჟიმის ესეთ სერიოზულ შემსუბუქებაზე. ეს კი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას თანხის ერთჯერადი გადახდის შედეგად აარიდოს თავი კონტროლს, პრობაციის მიზნებს. ხოლოკანონი კი, მსგავსი რეგულაციის არსებობით მას ამაში ხელს უწყობს.

ნათელია, რომ კანონში მოცემული ეს რეგულაცია არ არის შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან. ვთვლი, რომ ამ იდეოლოგიური საკანონმდებლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად, საჭიროა კანონში მკაფიოდ გაიწეროს ის კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა შემთხვევაში პირს შესაძლოა უარი ეთქვას ფულადი საფასურის გადახდის სანაცვლოდ რეჟიმის შემსუბუქებაზე. აგრეთვე მართებული იქნებოდა ამ ნორმისთვის წამახალისებელი ფუნქციის მინიჭება. იგულისხმება პრობაციონერისთვის ამ შესაძლებლობის მინიჭებაზე განსაზღვრული ვადის დაწესება, რომლის გასვლის შემდეგ, თუ პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებული თავისი ყოფაქცევით დაამტკიცებს, რომ გამოსწორებულია, სურვილის არსებობის შემთხვევაში, მას შეეძლოს საფასურის გადახდის შედეგად შეიმსუბუქოს რეჟიმი. მსგავსი მიდგომა დახვეწავს პრობაციის ინსტიტუტს საქართველოში, მას გაცილებით უფრო ქმედითს და სანდოს გახდის. და რაც მთავარია, არ მისცემს არცერთ პრობაციონერს შესაძლებლობას პრობაციის პირველივე დღიდან აარიდოს თავი პრაქტიკულად ყოველგვარ ზედამხედველობას.

გარდა ზემოაღნიშნული ნორმისა, ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონში არის სხვა ნორმაც, რომელიც საშუალებას აძლევს პრობაციონერს არათუ ნაწილობრივ, არამდედ სრულად აარიდოს თავი პრობაციის ინსტიტუტს სურვილის შემთხვევაში. ეს არის ამ კანონის მე-14 მუხლი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს წერილობითი ფორმით მიმართოს პრობაციის ბიუროს უფროსს საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე. ამ საკითხზე გადაწყეტილებას იღებს პრობაციის ბიუროს უფროსი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონი არ სთხოვს პრობაციონერს მიუთითოს გამგზავრების მიზეზი და არც საზღვარგარეთ ყოფნის საერთო ვადაში ზღუდავს მას. კანონი იძლევა მხოლოდ პრობაციონერის საზღვარგარეთ გამგზავრების საფასურთა ჩამონათვალს შესაბამისი ვადების მიხედვით:

— ერთ თვემდე ვადით საზღვარგარეთ გამგზავრების საფასურია 600 ლარი.
— ერთიდან სამ თვემდე ვადით გამგზავრების საფასურია 1200 ლარი.
— სამიდან ექვს თვემდე ვადით გამგზავრების საფასური — 2000 ლარი.
— ექვსიდან ცხრა თვემდე ვადით საზღვარგარეთ გამგზავრება — 2700 ლარი.
— ცხრიდან თორმეტ თვემდე ვადით გამგზავრების საფასური კი 3400 ლარი.

კანონი ასევე უშვებს საზღვარგარეთ ყოფნისას ნებართვის გაგრძელებას, თუ პრობაციის ბიუროში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ დებულების კიდევ ერთი მანკიერი მხარე ის არის, რომ პრობაციის ბიუროს არ ევალება შემოწმება იმისა, პრობაციონერი მართლა გაემგზავრა თუ არა საზღვარგარეთდა რას საქმიანობს იგი. პრაქტიკაში ეს გარემოება მართლაც არ მოწმდება პრობაციის ორგანოების მიერ. შესაძლოა პირი სულაც არ გაემგზავროს საზღვარგარეთ, და თანხის გადახდით უბრალოდ იყიდოს ,,ბეილი''[23] პრობაციის ორგანოთა კონტროლისგან თავის დასაღწევად. პრაქტიკულად, გამოდის რომ, თუ პირს უნდა თავი აარიდოს პრობაციის ინსტიტუტს, და აქვს ამისთვის საკმარისი სახსრები, შესაბამისი საფასურის გადადის, ან რამოდენიმეჯერ გადახდის შემთხვევაში, მას თავისუფლად შეუძლია ამის გაკეთება. გარდა იმისა, რომ ეს და მსგავსი დებულებები აკნინებენ პრობაციის ინსტიტუტის როლს, რადგან პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მის ფუძემდებლურ ფუნქციებს, ისინი აგრეთვე გარკვეულწილად ზრდიან პრობაციის ორგანოებში ბიუროკრატიულ ფონს, რამაც შესაძლოა მათ მიმართ საზოგადოების ნდობაზე ნეგატიურად იმოქმედოს.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ პრობაციონერის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული რეგულაცია, რომელსაც ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონი გვთავაზობს, ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს და საჭიროებს დახვეწას. რათქმაუნდა, აღნიშნული დებულების სრულიად გაუქმება არ იქნებოდა სწორი, რადგან ეს პირდაპირ მოვიდოდა წინააღმდეგობაში ადამიანის არაერთ ძირითად უფლებასთან, მათ შორის შესაძლოა განათლების, თავისუფალი განვითარების, ჯანმრთელობის ან სიცოცხლის უფლებასთანაც კი, თუკი პრობაციონერს საზღვარგარეთ გამგზავრება სამკურნალოდ ესაჭიროვება. მაგრამ აშკარაა, რომ რიგ კორექტირებებს აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა ცალსახად საჭიროებს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კანონში გაიწეროს ის შემთხვევები და კრიტერიუმები, როცა შესაძლებელია პრობაციონერს მიეცეს საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა. გარდა ამისა, კანონმა უნდა დაავალდებულოს პრობაციონერი, რომელიც პრობაციის ბიუროს უფროსს წერილობით მიმართავს საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე, რათა მან წარმოადგინოს წერილობით მიმართვაში ის მიზეზი, თუ რატომ სჭირდება მას საზღვარგარეთ გამგზავრება. გარდა ამისა, საჭიროა პრობაციის ორგანოს კანონით დაევალოს გაკონტროლება იმისა, შეესაბამება თუ არა სიმართლეს წერილობით მოთხოვნაში დასახელებული მიზეზი, შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების, შესაბამის უწყებებთან, ორგანიზაციებთან და პი-

---

[23] Conditional Bail-ტერმინი, ფართოდ გავრცელებული ბრიტანულ საპოლიციო სამართალში, რომელიც ნიშნავს გარკვეული პირობების სანაცვლოდ (მაგალითად გირაო) იმ პირის თავისუფლებაზე დატოვებას, ვინც დაპატიმრებას ექვემდებარება. აგრეთვე პოლიციის განყოფილებიდან დამნაშავის გათავისუფლება სასამართლო მოსმენამდე ,,ბეილის,, პირობებით. (ნაშრომში ეს ტერმინი გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული), <https://www.gov.uk/charged-crime/bail>, [01. 04. 2014].

აგრეთვე იხ. *კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი,* დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2007, გვ. 143.

რებთან (მათ შორის საზღვარგარეთ) დაკავშირების გზით, რათა დადგინდეს პრობაციონერის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის დასახელებული მიზეზის რეალურობა. და რაც მთავარია, კანონმა უნდა დაავალდებულოს ზედამხედველი პრობაციის ოფიცერი, რომ მან გააკონტროლოს მართლა გადაკვეთა თუ არა პრობაციონერმა ქვეყნის საზღვარი. ხოლო პრობაციის ორგანოსთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების გამო, მისთვის ,,თვალის ახვევის'' მიზნით, მართებული იქნება პრობაციონერს დაეკისროს შესაბამისი სანქცია ჯარიმის სახით.

როგორც ითქვა, ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' საქართველოს კანონში არის რიგი წმინდად ბიუროკრატიული ხასიათის რეგულაციები, რომლებიც სრულიად უგულებელყოფენ პრობაციის ინსტიტუტის არსსა და მიზნებს და პრაქტიკულად უკარგავენ პრობაციის ინსტიტუტს თავის ფუნქციას. ეს კი რათქმაუნდა აშორებს ქართულ პრობაციის სისტემას ევროპული სტანდარტებისგან და არაეფექტურს ხდის მას. ამიტომ საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა და იდეოლოგიურად სხვანაირი მიდგომის ჩამოყალიბება პრობაციონერის საზღვარგარეთ გამგზავრების მარეგულირებელ და საფასურის სანაცვლოდ გამოცხადების რეჟიმის შემსუბუქებასთან დაკავშირებულ ნორმებთან. ისეთი მიდგომისა, რომელიც არ იქნება ორიენტირებული მხოლოდ ფინანსურ მიზნებზე, არამედ ამასთან ერთად გაითვალისწინებს პრობაციის ინსტიტუტის ფუძემდებლურ მიზნებსაც. ეს ცვლილებები პრობაციის ორგანოთა საქმიანობას დაუახლოვებს ევროპულ სტანდარტებს და რაც მთავარია, მას გაცილებით უფრო ეფექტურსა და სანდოს გახდის.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში მოცემულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში პრობაციის ინსტიტუტი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილისგან. როგორც ითქვა, პრობაციის სისტემის ერთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პერსონალის მცირე რაოდენობა, რის გამოც თითო პრობაციის ოფიცერზე საღმსულებლო საქმეთა განუსაზღვრელად დიდი რაოდენობა მოდის. პრობაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის ხარვეზია აგრეთვე ის ბიუოკრატიული ხასიათის ნორმები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მსჯავრდებულს საფასურის გადახდის სანაცვლოდ თავი დააღწიოს პრობაციის ზედამხედველობას. ეს ნორმებია ,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ'' კანონში არსებული რეგულაცია, რომელიც საშუალებას აძლევს პრობაციონერს 400 ლარის გადახდის სანაცვლოდ თვეში მხოლოდ ერთხელ გამოცხადდეს პრობაციის ორგანოში. გარდა ამისა, კანონი საშუალებას აძლევს პრობაციონერს სრულად აარიდოს თავი პრობაციას. თუ კი მას ამის სურვილი და ფინანსური შესაძლებლობა აქვს, კანონი მას სთავაზობს უბრალოდ გადაიხადოს შესაბამისი ფულადი თანხა საზღვარგარეთ გამგზავრების სანაცვლოდ, თუმცა არ აწესებს ვალდებულებას მიზეზის მითითების, ან გამგზავრების ფაქტის გაკონტროლების, რაც პირს აძლევს შესაძლებლობას უბრალოდ აიცდინოს პრობაციის ინსტიტუტი. ხარვეზიანია აგრეთვე პრობაციონერთა დასაქმების ხელშეწყობის პრაქტიკაც, და ის დახვეწას საჭიროებს.

ყოველივე ზემოხსენებული, რათქმაუნდა, ფასს უკარგავს, ამცირებს პრობაციის ინსტიტუტის მიზნების მიღწევას და არაეფექტურს ხდის მას. პრობაცია, როგორც უკვე აღინიშნა, პირობით ვადამდე გათავისუფლების დამაგვირგვინებელი ეტაპია და მასზე დიდწილად დამოკიდებულია ის, თუ რამდენად იქნება მიღწეული ამ ინსტიტუტის მიზნები. ამ მიზნების მიღწევაზე, რაც გულისხმობს დამნაშავის რესოციალიზაციას, საზოგადოების ჯანსაღ წევრად ჩამოყალიბებას და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, პირ-

დაპირაა დამოკიდებული ქვეყანაში კრიმინალის დონე და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პრობაციის ინსტიტუტის ყველა ნაკლის აღმოფხვრა და მისი ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვება.

გამოყენებული ნორმატიული მასალა, საერთაშორისო აქტები, კონვენციები, რეზოლუციები და რეკომენდაციები:

1) Рекомендация Rec (2003) 22 Коммитета министров Совета Европы "Об условно-досрочном освобождении,,.

2) არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები)

3) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის № 1 რეკომენდაცია

4) რეზოლუცია (70) 1 ,,პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ,,. (მიღებული მინისტრთა მოადგილეების მიერ 1970 წლის 26 იანვარს)

გამოყენებული ბიბლიოგრაფია და ელექტრონული წყაროები :

1) გივი მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლება-ევროპული გამოცდილება და საქართველო სრეალობა. კ. კორკელია (რედ.) სტატიათა კრებული. 2011.

2) ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2008

3) კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. გამომცემლობა ,,მერიდიანი,, თბილისი 2007

4) А. Темирбекова. Пробация: сущность, цели и методы реализации.
http://www.adilet.gov.kz/ru/node/8643
2014 წლის 5 მარტისმდგომარეობით.

5) Being charged with a crime.
https://www.gov.uk/charged-crime/bail
2014 წლის 18 მარტის მდგომარეობით.

პრობაციის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

იასონ (იანი) კანდელაკი
სამართლის მაგისტრი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი

რეზუმე

პუბლიკაციაში განხილულია ქართული პრობაციის სისტემის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. სტატიაში აგრეთვე გამოვლენილია რიგი შეუსაბამობები და ხარვეზები და დასახულია მათი გამოსწორების გზები. ეს შეუსაბამობია: პრობაციის ოფიცერთა მცირე რაოდენობა, თითოეული ოფიცრის წარმოებაში არსებულ საქმეთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობა, ბიუროკრატიული ნორმები, რომლებიც საშუალებას აძლევენ პრობაციონერს თანხის გადახდის სანაცვლოდ ნაწილობრივ ან სრულად აარიდოს თავი პრობაციის კონტროლს პრობაციის ბიუროს მხრიდან და ა. შ.

Probation correspondence with European standards

Jason (Ian) Kandelaki
second-year graduate master-degree studentat Tbilisi State University name dafter I. Javakhishvili
(specialization incriminal law)

Summary

This article analyzes correspondence of georgian probation system with the european standards. Article also exposes number of vices and inconsistences in georgian probation system and gives the ways of it's improvement. these vices are: small number of probation officers, and incredibly big number of probationers cases each of them they has. Also the bureaucratic regulations, that allow probacioner to set himself free from the probation system partially or absolutely, after paying certain sum of money and etc.

le respect de la probation des normes européennes

Jason (Ian) Kandelaki
étudiante de deuxiéme année a l'Université d'état de Tbilisi nommé d'aprés I. Javakhishvili
(spécialisation en doit penal)

Résumé

l'article examine la conformité de l'ordre de probation en Géorgie avec les normes européennes. aussi, l'article révèle des lacunes dans le système de probation et propose des moyens de corriger les lacunes. les insuffisances suivantes: un petit nombre d'agents probauii, et trop de cas de chacun d'entre eux. aussi la présence des règlements bureaucratiques qui permettent à une personne de payer une certaine somme d'argent et partiellement ou totalement se libérer du contrôle de la probation, et ainsi de suite.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დადებული ხელშეკრულებები და მათი როლი ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში

ვალერი მოდებაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

I მსოფლიო ომის შემდეგ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ომის შემდგომ დანგრეული ევროპული წესრიგის აღდგენისა და მსოფლიოში არსებული ყველა სადაო საკითხი. კონფერენციის ორგანიზება გადაწყვიტეს გამარჯვებულმა ქვეყნებმა, რომელთა მთავარი მიზანი იყო ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება და დამარცხებულ ქვეყნებთან მოლაპარაკება. პარიზის სამშვიდობო კონფერენცია დაიწყო 1919 წლის 18 იანვარს და გაგრძელდა 1920 წლის 21 იანვრამდე. კონფერენცია ჩატარდა ვერსალის სასახლეში. საფრანგეთის დელეგაციამ ვერსალის სასახლე კონფერენციის ჩატარების ადგილად შემთხვევით არ აირჩია, რადგან სწორედ ვერსალის სასახლეში 1871 წელს გერმანიის იმპერიის შექმნა გამოცხადდა. საფრაგეთ-პრუსიის ომში ნაპოლეონ მესამეს სამარცხვინოდ დამარცხების შემდეგ, გერმანელები ვერსალიის სასახლის სარკეებიან დარბაზში შეიკრიბნენ, გერმანიის იმპერია დააფუძნეს და გერმანიის იმპერატორად პრუსიის მეფე ვილჰელმ პირველი დანიშნეს. საფრანგეთის დელეგაციას სურდა ისტორიიდან ამ სამარცხვინო ლაქის ჩამოშორება და გერმანიის სამაგალითოდ დასჯა, ამიტომაც ვერსალის სასახლეს მათთვის დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

კონფერენციის პარიზში ჩატარების იდეა ეკუთვნის საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ჟორჟ კლემანსოს, რომელიც თვლიდა რომ საფრანგეთი ყველაზე მეტად დაზარალდა ომში და პარიზის არჩევა სამშვიდობო კონფერენციის გასამართად ფრანგებს მორალურად დააკმაყოფილებდა. მისი წინადადება მიიღეს, ამიტომაც კონფერენცია ისტორიაში პარიზის სამშვიდობო კონფერენციის სახელით არის ცნობილი.

კონფერენციას დაესწრო ყველა იმ 27 სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც ანტანტის მხარეს იბრძოდა და გამარჯვებულ მხარეს წარმოადგენდა. კონფერენციაზე დასწრების უფლება არ მისცეს გერმანიას და მის მოკავშირეებს. (გერმანია და მისი ყოფილი მოკავშირეები მხოლოდ მას შემდეგ დაუშვეს, როდესაც სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი უკვე მზად ჰქონდათ.) კონფერენციაზე არ მიიწვიეს არც საბჭოთა კავშირი. გამარჯვებულები თვლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა მოკავშირეებს უღალატა, მას შემდეგ რაც გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკის ზავი დადო და ომს გამოეთიშა.

ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ვიწრო წრეში. პლენარული სხდომები მხოლოდ ფორმალურად ტარდებოდა და ომისშემდგომდროინდელი მსოფლიოს მთავარ პრობლემებს „დიდი სამეული“ - ვუდრო ვილსონი, დევიდ ლოიდ ჯორჯი და ჟორჟ კლემანსო წყვეტდა. მსოფლიოს ბედი ზემოთ დასახელებულმა სამმა პიროვნებამ განსაზღვრა და პლენარულ სხდომებზე ფორმდებოდა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ყველაზე აქტიური ამ სამეულიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი იყო. კონფერენციაზე მან წარადგინა თავისი ცნობილი 14 პუნქტი. მისი აზრით ამ 14 პუნქტის შესაბამისად უნდა მომხდარიყო ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება და ამ პუნქტებს უნდა დაყრდნობოდა სამშვიდობო შეთან-

ხმება. ვუდრო ვილსონის თანახმად ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისას გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო „ერთა თვითგამორკვევის უფლება“, „თავისუფლი ვაჭრობა“ და „კოლექტიური უშიშროება“. (ელენე მეძმარიაშვილი, 2008) ის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერთა ლიგის შექმნას, რომელიც გადამწყვეტ როლს ითამაშებდა კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის საქმეში. ვუდრო ვილსონი თვლიდა, რომ I მსოფლიო ომის მთავარი გამომწვევი მიზეზი მილიტარიზმი და ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი იყო. ევროპული იმპერიების ძველმა სამხედრო პოლიტიკამ უამრავი კონფლიქტი და პრობლემა წარმოშვა მსოფლიოში. ვილსონი ცდილობდა რეალური გამოსავალი ეპოვა რთული სიტუაციიდან და არ დაეშვა ახალი მსოფლიო ომების გაჩაღების შესაძლებლობა. ვილსონის შემოთავაზება იდეალისტური მსოფლმხედველობის პრინციპებზე იყო აგებული. მას სურდა ისეთი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, რომელიც სახელმწიფოებს შორის ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპზე იქნებოდა დაფუძნებული. ერ-სახელმწიფოებს ერთმანეთთან უნდა ეთანამშრომლათ საერთო ინტერესების შესაბამისად და მხოლოდ პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზე არ უნდა ეზრუნათ. ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი აქტიურად იღწვოდა იმისათვის, რომ მსოფლიოში დემოკრატიის და მშვიდობის დამყარებისათვის შეეწყო ხელი. ვილსონის იდეებს იზიარებდნენ ბრიტანელი დიპლომატები, ხოლო ფრანგები თვლიდნენ რომ ვილსონის წარმოდგენილი წინადადება არარეალური და მიამიტი იყო. თუმცა მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დიდი გავლენისა და პრესტიჟის გამო ვილსონის იდეების იგნორირება შეუძლებელი იქნებოდა. (კორნელი კაკაჩია, 2011) ფრანგებს სურდათ გერმანიის სამაგალითოდ დასჯა, ამიტომაც მათთვის ვილსონისეული იდეალიზმი მიუღებელი იყო. პარიზის კონფერენციაზე მონაწილე სახელმწიფოები ვიწრო პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და ძველმოდური რეალპოლიტიკით ხელმძღვანელობდნენ. თუმცა საფრანგეთის და ინგლისის დელაგაციის წევრები ერთა ლიგის შექმნას არ ჩქარობდნენ, ვილსონმა მაინც მოახერხა მისი დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დაჩქარება. 1919 წლის 14 თებერვლის სხდომაზე მან საზეიმოდ გამოაცხადა ერთა ლიგის შექმნა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ შეექმნა ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა მსოფლიოში მშვიდობის დაცვას. ვილსონი თვლიდა რომ ერთა ლიგის შექმნით კონფლიქტებისა და ინტრიგების ხანა საბოლოოდ დასრულდებოდა და მსოფლიოში მშვიდობა დამყარდებოდა. ამგვარად, ვერსალში გადაწყდა „ერთა ლიგის“ დაარსება, რომლის მუდმივმოქმედი წევრები გახდნენ გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. დევიდ ლოიდ ჯორჯი და ჟორჟ კლემანსო ვილსონის გადაწყვეტილებას ერთა ლიგის შექმნის თაობაზე სკეპტიკურად შეხვდნენ. მათი სკეპტიციზმი გარკვეულწილად საფუძვლიანი აღმოჩნდა, რადგან ერთა ლიგამ ვერ გაამართლა, ვერ შესძლო ახალი ომების თავიდან აცილება და ხანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოში. ის ძალზე უსუსური ორგანიზაცია აღმოჩნდა. ერთა ლიგის სისუსტე იმით იყო გამოწვეული, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადეს ერთა ლიგის წევრობაზე. აშშ-ს კონგრესმა ვილსონს მხარი არ დაუჭირა, სენატმა უარი თქვა ერთა ლიგის შესახებ შეთანხმების რატიფიცირებაზე. ამ მიზეზის გამო ამერიკის შეერთებული შტატები ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა.

კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების მიზნები განსხვავებული იყო და ისინი აქტიურად ცდილობდნენ მათ მიღწევას. ამ მიზნების რეალიზება დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ პოტენციალზე, საერთაშორისო სიძლიერესა და ავტო-

რიტეტზე. ამ მხრივ განსაკუთრებულად ძლიერი პოზიციები ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკავა. თუ საფრანგეთის და ევროპული ქვეყნების მიზანი გერმანიის დასჯა და მისი ტერიტორიების, კოლონიების ხელში ჩაგდება იყო, აშშ-ს პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი თვლიდა, რომ ვიწრო პირად ინტერესებზე მეტად, მშვიდობისა და დემოკრატიის დამყარებას უფრო მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა. ვილსონის თოთხმეტი პუნქტიდან კარგად ჩანს, რომ ევროპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, აშშ-ს არავითარი ექსპანსიონისტური და დაპყრობითი მიზნები არ ამოძრავებდა. ამგვარად, ამერიკის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა გავლენის სფეროების გადანაწილება. მისი მიზანი თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპზე აგებული ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება იყო, რომელშიც შეერთებული შტატები უფრო აქტიურ როლს ითამაშებდა. ამგვარად, აშშ-ს ინტერესებში შედიოდა მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარება, ახალი მსოფლიო ომების თავიდან აცილება და საერთაშორისო ვაჭრობისათვის შეზღუდვების მოხსნა (თავისუფალი ვაჭრობა). აშშ-ს ინტერესებში არ შედიოდა გერმანიის ზედმეტად დასუსტება და დანაწევრება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ევროპის კონტინეტზე ძალთა ბალანსი დაირღვეოდა. აშშ-ს გერმანია სჭირდებოდა ევროპელი კონკურნტების - საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გასაწონასწორებლად. (ელენე მეძმარიაშვილი, 2008)

აშშ-საგან განსხვავებით საფრანგეთს შურისძიება სურდა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი კლემანსო ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად დაესუსტებინა გერმანია, ამიტომ გერმანიასთან მდინარე რაინზე გამავალი საზღვრების ცვლილების გეგმები შეადგინა, რომელიც რაინის მთელი მარცხენა სანაპიროს საფრანგეთის ხელში გადასვლას ითვალისწინებდა. ამ წინადადებას კლემანსო იმით ამართლებდა, რომ რაინი ბუნებრივი წინაღობა იქნებოდა მოსალოდნელი აგრესიის პირობებში. საფრანგეთს უნდოდა თავისი ისტორიული საზღვრის აღდგენა და გერმანიასთან საზღვრის რაინზე დაფიქსირება, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე ავტონომიური გერმანული სახლემწიფოების შექმნა. საფრანგეთს „დიდი მადა“ აღმოაჩნდა: სურდა ხელში ჩაეგდო გერმანული ტერიტორიები (ელზასი და ლორენი, რაინის მიწები, ზაარლანდი), ასევე უნდოდა რომ ბელგია და ლუქსემბურგი შეერთდებოდა საფრანგეთს.

კლემანსო თვლიდა რომ საფრანგეთის კოლონიური იმპერიის გაფართოება უნდა მომხდრიყო გერმანიის ხარჯზე. ყველაფერი ეს გამოიწვევდა საფრანგეთის გაბატონებას ევროპის კონტინენტზე, რაც მიუღებელი იყო როგორც აშშ-სთვის, ასევე დიდი ბრიტანეთისათვის. გერმანიასთან დაკავშირებით ბრიტანეთსაც აშშ-ს მსგავსი პოზიცია ეკავა. გერმანიის ძალიან დასუსტება არც ინგლისის ინტერესებში არ შედიოდა, რადგან ამ შემთხვევაში საფრანგეთი გახდებოდა წამყვანი ქვეყანა კონტინენტურ ევროპაში. ინგლისის დელეგაციამ მიზნად დაისახა, რომ არ დაეშვა არც საფრანგეთის ზედმეტად გაძლიერება და არც გერმანიის ძალიან დასუსტება.

ინგლისის მთავარი მიზანი იყო ომის დროს ხელში ჩაგდებული ნადავლის დაკანონება და ომის შედეგად მოპოვებული ტერიტორიების შენარჩუნება აფრიკასა და აზიაში. ინგლისს ასევე სურდა, რომ დამთავრებულიყო გერმანიის მილიტარიზაცია და გერმანიის იმპერიას ჩამორთმეოდა მხოლოდ კოლონიები აფრიკაში, მაგრამ არ უნდოდა რომ მომხდარიყო გერმანიის დანაწევრება და გერმანული ტერიტორიების საფრანგეთისათვის გადაცემა.

იტალიას, რომელიც ომში გვიან ჩაერთო, ძალიან დიდი მადა აღმოაჩნდა. მას სურდა ავსტრია–უნგრეთის იმპერიის ტერიტორიის ნაწილის მითვისება (ტრენტინო, სამხრეთ ტი-

როლი, პროვინცია დალმატია და ა.შ.) და ოსმალეთის იმპერიის გაყოფისას ანატოლიის სამხრეთ ნაწილის დასაკუთრება. კონფერენციაზე ყველაზე სუსტი პოზიციები იტალიას ეკავა და იტალიის დელეგაციას არაფერს არ ეკითხებოდნენ. იტალიის პრემიერ-მინისტრი ვიტორიო ემანუელ ორლანდო დისკუსიებში აქტიურად არ მონაწილეობდა, რადგან მან ინგლისური ენა არ იცოდა. სწორედ ამიტომ იტალიის დელეგაციამ კონფერენციაზე თავის მიზნებს ვერ მიაღწია.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეებმა ერთსულოვნად აღიარეს გერმანია ომის მთავარ დამნაშავედ და მოითხოვეს მისგან რეპარაციების გადახდა. გერმანია და მისი მოკავშირეები კონფერენციას არ დაასწრეს. გერმანიის დელეგაცია მხოლოდ მას შემდეგ მიიწვიეს, როდესაც საზავო პირობებზე მოლაპარაკებები უკვე დამთავრებული იყო. გერმანელებს გადასცეს მსხვილი წიგნი, რომელშიც ეწერა გერმანიისთვის ყოვლად მიუღებელი საზავო პირობები. პარიზის კონფენერციაზე მომზადდა ხელშეკრულებები დამარცხებული მხარეებისათვის. ამ ხელშეკრულებების გაფორმებით რადიკალურად შეიცვალა ძალთა ბალანსი ევროპაში და ცვლილება განიცადა მსოფლიოს ეთნიკურმა რუკამ. დაიშალა დიდი იმპერიები (ოსმალეთის, ავსტრია- უნგრეთის, გერმანიის და რუსეთის იმპერია) და ამ იმპერიების ნანგრევებზე აღმოცენდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. გერმანიასთან გაფორმდა **ვერსალის ხელშეკრულება**, ავსტრიასთან - **სან ჟერმენის ხელშეკრულება**, ბულგარეთთან - **ნოისის ხელშეკრულება**, უნგრეთთან - **ტრიანონის ხელშეკურლება** და ოსმალეთის იმპერიასთან - **სევრის სამშვიდობო ხელშეკრულება**. ამ ხელშეკრულებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში, რომელსაც ვერსალის სისტემა ეწოდა.

ვერსალის ხეშეკრულება

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ფრანგებმა თავისი გაიტანეს და გერმანიის სამაგალითოდ დასჯა მოახერხეს. ვერსალის ზავის პირობები ძალზე მძიმე აღმოჩნდა გერმანიისთვის. გერმანიამ დაკარგა ვრცელი ტეიტორიები - აფრიკისა და აზიის კოლონიები, ელზასი და ლოტარინგია კი საფრანგეთს დაუბრუნდა.



ტერიტორიები, რომელიც გერმანიამ დაკარგა 1919 წელს.

ხელშეკრულების თანახმად ზაარის ოლქი 15 წლით გადაეცემოდა ერთა ლიგას, რომელმაც, თავის მხრივ, გადასცა მასზე მანდატი საფრანგეთს. ზაარის ოლქის უმდიდრესი ქვანახშირის საბადოები საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა.

მოკავშირეებმა გადაწყვიტეს რაინის მარცხენა ნაპირზე დემილიტარიზებული ზონის შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად შეთანხმდენ, რომ მოახდენდნენ რაინის მარცხენა სანაპიროს ოკუპაციას 15 წლით. ეიპენისა და მალმედის ოქლები ბელგიას გადაეცა, შლეზვიგ– ჰოლშტაინი – დანიას. გერმანიამ აღიარა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დამოუკიდებლობა და გადასცა მათ თავისი ტერიტორიების გარკვეული ნაწილი: ჩეხოსლოვაკიას - ზემო სილეზიის ნაწილი, ხოლო პოლონეთს – პომერანიის ზოგიერთი რაიონი, დასავლეთ პრუსიის დიდი ნაწილი და აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი, პოზნანი, დანციგის კორიდორი. (თეიმურაზ პაპასქირი, 2011) ამ მიწების მიერთებით პოლონეთმა მოიპოვა ბალტიის ზღვაზე გასასვლელი. ქალაქი დანციგი „თავისუფალ ქალაქად “ გამოცხადდა და ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ მოექცა. გერმანიამ დაკარგა თავისი ომამდელი ტერიტორიის 13% და მოსახლეობის 10%.

გერმანიას უარი ათქმევინეს ავსტრიის მიერთებაზე. ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებით ავსტრია მზაობას გამოთქვამდა, რომ შეერთებოდა გერმანიას, მაგრამ ამ პროცესში ჩაერია აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება, ამიტომაც შეაცვლევინეს ავსტრიის მთავრობას ეს გადაწყვეტილება.

ვერსალის ხელშეკრულების თანახმად გადაწყდა, რომ გერმანიის სასაზღვრო რეგიონებში ჩატარდებოდა არჩევნები, სადაც მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა დარჩებოდა თუ არა გერმანიის შემადგენლობაში.

გერმანიამ დაკარგა ყველა კოლონია და მათ დაეპატრონენ მოკავშირეები. ვერსალის ხელშეკრულებით გადაწყდა, რომ გერმანიაში გაუქმდებოდა საყოველთაო სამხედრო სამსახური. გერმანიის არმიის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა და მხოლოდ 100. 000 კაცით შემოიფარგლა. გერმანიას აეკრძალა წყალქვეშა ფლოტის და სამხედრო ავიაციის ყოლა.

გერმანიას მოკავშირეებისათვის რეპარაციის სახით უნდა გადაეხადა უზარმაზარი თანხა. I მსოფლიო ომით გაღატაკებული გერმანიის მოსახლეობა კიდევ უფრო გაღარიბდა. გერმანიის მოსახლეობისთვის უმძიმესი აღმოჩნდა ვერსალის საზავო პირობები, ომის შემდეგ კი მოხდა გერმანული ეკონომიკის სრული კრახი, რასაც 20-ანი წლების დასაწყისში ჰიპერინფილაცია მოყვა. გერმანიას არ შეეძლო რეპარაციების გადახდა მოკავშირეებისათვის, ამიტომაც გაღატაკებული გერმანია გაფიცვებმა და სახალხო აჯანყებებმა მოიცვა.

სან ჟერმენის ხელშეკრულება

ქალაქ სან-ჟერმენ-ან-ლეში, რომელიც პარიზის მახლობლად მდებარეობს, მოკავშირეებმა საზავო ხელშეკრულება გააფორმეს ავსტრიასთან 1919 წლის 10 სექტემბერს. სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულების 88-ე მუხლის თანახმად ავსტრიას კატეგორიულად აეკრძალა გერმანიასთან შეერთება (ანშლუსი). ორ გერმანულ სახელმწიფოს, ერთა ლიგის თანხმობის გარეშე, ერთმანეთთან ეკონომიკური ხელშეკრულებების დადების უფლებაც კი ჩამოერთვათ.

სენ-ჟერმენის სამშვიდობო ხელშეკრულებით ოფიციალურად დადასტურდა ავსტრია - უნგრეთის იმპერიის დაშლა და იმპერიის ნანგრევებზე წარმოიშვა ავსტრიის რესპუბლიკა, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და უნგრეთის დამოუკიდებელი სახელმწი-

ფო. ავსტრიამ ოფიციალურად აღიარა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და უნგრეთის დამოუკიდებლობა. პოლონეთს გადაეცა დასავლეთ გალიცია, ჩეხოსლოვაკიას - ბოჰემია და მორავია, იუგოსლავიას - კრაინის უმეტესი ნაწილი, დალმაცია, სამხრეთ შტირია და სამხრეთ - აღმოსავლეთ კარინტია. რუმინეთის მმართველობაში გადავიდა ბუკოვინა, იტალიის შემადგენლობაში აღმოჩნდა ტრენტინო, ისტრია, ტრიესტი და სამხრეთ ტიროლი. ხოლო სლოვენიელების, ხორვატების და ბოსნიის სახელმწიფო, სერბეთის შემადგენლობაში შევიდა. ზემოთხსენებული ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ ავსტრიის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა, 22 მილიონიდან 6,5 მილიონამდე.

ტერიტორიები, რომელიც ავსტრიამ დაკარგა 1919 წელს.

ავსტრიამ დაკარგა უზარმაზარი ტერიტორია, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ეკონომიკური სისტემის რღვევა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმოშობა. დაიხურა უამრავი ფაბრიკა-ქარხანა, ბანკი, გაუფასურება დაიწყო ავსტრიულმა კრონამ. თუ 1914 წელს 10 ათას კრონად შეიძლებოდა ვენაში სახლის ყიდვა, 1922 წელს ამ ფასად დედაქლაქში მხოლოდ პურის შეძენას თუ მოახერხებდა ადამიანი. ფაბრიკა - ქარხნების დახურვის გამო უმუშევართა რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა და 1927 წლისათვის 400.000 მიაღწია. (მიხეილ ბასილაძე, 2012) ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში კიდევ უფრო კრიტიკული გახდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოში დაიწყო დიდი დეპრესია. დიდმა დეპრესიამ ავსტრიის ეკონომიკის სრული კოლაფსი გამოიწვია.

სან-ჟერმენის ხელშეკრულების თანახმად ავსტრიამ მოკავშირეებს გადასცა თავისი სამხედრო-სავაჭრო ფლოტი. მას აეკრძალა ავიაციისა და სამხედრო ფლოტის ყოლა. ავსტრია აიძულეს რომ შეემცირებინა თავისი არმია 30 ათას ჯარისკაცამდე.

ნოისის ხელშეკრულება

1919 წლის 27 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ბულგარეთთან, რომლის ძალითაც ქვეყანამ დაკარგა გარკვეული ტერიტორიები და შემცირდა მისი ფართობი. ამ ხელშეკრუ-

ლების თანახმად მოკავშირეებმა დობრუჯა გადასცეს რუმინეთს, ჩრდილოეთ მაკედონია - იუგოსლავიას, დასავლეთ თრაკია - საბერძნეთს, რითაც ბულგარეთს მოუჭრეს ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი. გარდა ამისა ბულგარეთს უნდა გადაეხადა 2,5 მილიარდი ოქროს ფრანკი კონტრიბუცია და შეემცირებინა თავისი არმია 20 ათას კაცამდე.

ტერიტორიები, რომელიც ბულგარეთმა დაკარგა 1919 წელს.

ტრიანონის ხელშეკურლება

ტრიანონის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1920 წლის 4 ივნისს, რომლითაც უნგრეთმა დაკარგა თავისი ომამდელი ტერიტორიების 71,4%, ხოლო მოსახლეობის - 63,6%. უნგრეთმა დაკარგა სლოვაკეთი და კარპატებსმიღმა უკრაინა, რომლებიც მიიღო ჩეხოსლოვაკიამ. ხორვატია და სლოვენია დამოუკიდებლები გახდნენ და შევიდნენ იუგოსლავიაში. ტრიანონის ხელშეკრულების თანახმად, რუმინეთს შეუერთდა ტრანსილვანია და ბესარაბია. ამან საფუძველი ჩაუყარა "გაფართოებულ რუმინეთს". ზემოთხსენებული ტერიტორიების დაკარგვის შედეგად უნგრეთი ზღვაზე გასასვლელის გარეშე დარჩა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა უნგრეთის ეკონომიკას. უნგრეთს უკვე აღარ გააჩნდა საზღვაო პორტები და ვეღარ ეწეოდა საზღვაო ვაჭრობას. ტერიტორიების გადანაწილების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეთნიკური უნგრელების 33 % უკვე უნგრეთში აღარ ცხოვრობდა. დაახლოებით 900.000 უნგრელი აღმოჩნდა ახლად შექმნილი ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში, ტრანსილვანიის რეგიონში მცხოვრები 1,6 მილიონი უნგრელი კი - რუმინეთის საზღვრებში, ხოლო 420 ათასი უნგრელი სერბეთის სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა. ტრიანონის ხელშეკრულების თანახმად, უნგრეთის საზღვრებს მიღმა დარჩენილ უნგრელებს უნდა ჩამოერთმეოდათ უნგრული ნაციონალობა ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში. (The Treaty of Trianon, 2015)

ტერიტორიები, რომელიც უნგრეთმა დაკარგა 1920 წელს.

უნგრეთს არმია შემცირდა და მისი რაოდენობა განისაზღვრა 35 ათასი ჯარისკაცით. უნგრეთს აეკრძალა როგორც ავიაციის, ასევე ფლოტის ყოლა.

სევრის ხელშეკრულება

სევრის ხელშეკრულება გაფორმდა 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტას შორის, რომლის ძალითაც დაიშალა ოსმალეთის იმპერია და თურქეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის ¾. ხელშეკრულების თანახმად სრუტეების გაკონტროლება დაევალა სპეციალურ კომისიას. თურქეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა უნდა შემცირებულიყო 50 ათას კაცამდე, სომხეთ–თურქეთის საზღვარი კი აშშ–ს პრეზიდენტს უნდა დაედგინა.

ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს თუ როგორ მოხდებოდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების გადანაწილება. ბრიტანეთი დაეუფლა პალესტინას, ხოლო საფრანგეთს გადაეცა სირია, ლიბანი და სამხრეთ ანატოლიის ნაწილი. აღმოსავლეთ და დასავლეთ ანატოლია საფრანგეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა, ერაყი კი ბრიტანეთის იმპერიას გადაეცა. ქალაქი სმირნა საბერძნეთის კონტროლის ქვეშ მოექცა და მხოლოდ ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა. ხელშეკრულებით გადაწყდა რომ ქალაქ სმირნაში პლებისციტი ჩატარდებოდა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დარჩებოდა თუ არა ქალაქი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. პლებისციტის მიმდინარეობას უშუალოდ ერთა ლიგა გააკონტროლებდა. მოკავშირეებმა თრაკია საბერძნეთს გადასცეს. დოდეკანეზის კუნძულები ფორმალურად გადაეცა იტალიას, რომლის შემადგენლობაში შევიდა ასევე ანატოლიის სანაპირო ზონა. დარდანელის სრუტეები საერთაშორისო მნიშვნელობის ტერიტორიად გამოცხადდა და მასზე თურქეთმა კონტროლი დაკარგა. კონსტანტინეპოლის მახლობლად მდებარე ზოგიერთი პორტი „თავისუფალ ზონად „ გამოაცხადეს. (The Treaty of Sevres (2015)

ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი აჰმედ ფაშა აპირებდა სევრის ხელშეკრულების რატიფიცირებას, მაგრამ მას აუჯანყდა თურქეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მუსტაფა ქემალ ათათურქი. სევრის ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა თურქეთის დამოუკიდებლობის ომის მსვლელობისას. (The Treaty of Sevres, 2015) მუსტაფა ქემალ ფაშას მეთაურობით გაჩაღდა ომი, რომლის მიზანი სევრის ხელშეკრულების პირობების გაუქმება იყო. 1922 წლის 18 სექტემბრისთვის მუსტაფა ქემალ ათათურქმა მოახერხა

საოკუპაციო ჯარები განდევნა ქვეყნიდან და სევრის ხელშეკრულების გაუქმება. მხარეებმა მის შემცვლელ შეთანხმებას 1923 წელს მოაწერეს, რომელსაც ლოზანის ხელშეკრულება ეწოდა.

ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების გადანაწილება სევრის ხელშეკრულების თანახმად.

ამგვარად, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დადებულმა ხელშეკრულებებმა რადიკალურად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. სახელმწიფო საზღვრების უხეში შეცვლის გამო ევროპაში არაერთი „ნაღმი ჩაიდო.“ დამარცხებული მხარეები უკმაყოფილო იყვნენ საზავო პირობებით. მათთვის მიუღებელი იყო როგორც ტერიტორიების დაკარგვა, ასევე რეპარაციების გადახდა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვებოდა მათ დასუსტებულ ეკონომიკას. ვერსალის , სან-ჟერმენის, ნოისის, ტრიანონისა და სევრის ხელშეკრულებებმა ახალ მსოფლიო წესრიგს დაუდეს დასაბამი, რომელსაც ვერსალის სისტემა ეწოდა. ზემოთხსენებული ხელშეკრულებების დადებით ვერ მოხერხდა დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვა ევროპაში. პირიქით, პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო უკონტროლო გახდა. ვერსალის სისტემა საკმაოდ არამყარი და არასტაბილური გამოდგა. პოლიტიკურ არასტაბილურობას ემატებოდა ეკონომიკური სიდუხჭირე და მძიმე სოციალური ფონი, რამაც კაცობრიობა საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

ბიბლიოგრაფია:

1. მიხეილ ბასილაძე (2012) Anschluss ძალდატანილი ერთობა, http://www.24saati.ge/weekend/story/28626-anschluss-dzaldatanili-ertoba
2. The Treaty of Trianon (2015) History Learning Site, http://www.historylearningsite.co.uk/treaty_of_trianon.htm
3. The Treaty of Sevres (2015) History Learning Site, http://www.historylearningsite.co.uk/treaty_of_sevres.htm
4. ელენე მეძმარიაშვილი (2008) ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების XX საუკუნის ისტორია, თბილისი.
5. თეიმურაზ პაპასქირი (2011) ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914 – 1945, თბილისი.
6. კორნელი კაკაჩია (2011) საერთაშორისო პოლიტიკა ვესტფალიიდან ბიპოლარული სისტემის დასასრულამდე, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დადებული ხელშეკრულებები და მათი როლი ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში

ვალერი მოდებაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დადებული ხელშეკ-რულებები,რომლებმაც რადიკალურად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ვერსალის, სან-ჟერმენის, ნოისის, ტრიანონისა და სევრის ხელშეკრულებებმა ახალ მსოფლიო წესრიგს დაუდეს დასაბამი, რომელსაც ვერსალის სისტემა ეწოდა. ზემოთხსენებული ხელშეკრუ-ლებების დადებით ვერ მოხერხდა დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვა ევრო-პაში. პირიქით, პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო უკონტროლო გახდა. ვერსალის სისტემა საკმაოდ არამყარი და არასტაბილური გამოდგა.

Treaties signed at the Paris Peace Conference and their role in the creation of the new world order

Valeri Modebadze
Associate Professor at Sukhishvili Teaching University
Associate Professor at American University for Humanities

Summary

The article analyzes the treaties signed at the Paris Peace Conference, which have radically changed the political map of Europe. The treaty of Versailles, the treaty of Saint-Germain, the treaty of Trianon, the treaty of Neuilly and the treaty of Sevres laid the foundations of the new world order, which was named the Versailles system. The above mentioned treaties could not neutralize the tense political situation in Europe. On the contrary, the political situation became even more uncontrollable. The Versailles system turned out to be quite shaky and unstable.

Traités signés à la Conférence de paix de Paris et leur rôle dans la création du nouvel ordre mondial

Valeri Modebadze
Professeur agrégé de l'Université Sukhishvili
Professeur agrégé de l'Université américaine de sciences humaines

Résumé

L'article analyse les traités signés à la Conférence de paix de Paris, qui ont radicalement changé la carte politique de l'Europe. Le traité de Versailles, le traité de Saint-Germain, le traité de Trianon, le traité de Neuilly et le traité de Sèvres a posé les fondations du nouvel ordre mondial, qui a été nommé le système de Versailles. Les traités mentionnés ci-dessus pourraient ne pas neutraliser la situation politique tendue en Europe. Au contraire, la situation politique est devenue encore plus incontrôlable. Le système de Versailles avéré être très fragile et instable.

ტურიზმის განვითარების ძირითადი პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები

ანა მაზმიშვილი
მაგისტრი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღესდღეობით საქართველოში არსებული მდგომარეობა,მიუხედავად ქვეყნის დიდი ტურისტული პოტენციალისა,სავალალოა.არსებობს რიგი იმ პრობლემებისა,რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარებას ძლიერ აფერხებს. განსაკუთრებით ყურადსაღებია შემდეგი პრობლემები და მათი გადაჭრის გზების პოვნა.

ჩემი აზრით მთავარი პრობლემა ზღვისპირა ტურიზმისა საქართველოში არის ის,რომ რეგიონში არსებული მაღალი ფასები და დაბალი ხარისხის სერვისი იწვევს სიძვირის განცდას და ტურისტი იწყენს ალტერნატიული გზის ძებნას.

ამრიგად ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან და კვლევიდან გამომდინარე პრობლემა.პირველ რიგში მინდა აღვნიშნო,რომ ეს პრობლემა მოგვარებადია,თუ გავითვალისწინებთ ტურიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე რამდენიმე ფაქტორს:

ეკოლოგიური პრობლემა(განსაკუთრებით რეგიონებში). არცერთ ტურისტს არ გაუჩნდება სურვილი ისეთ ქვეყანაში მოგზაურობის,სადაც ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგხვდეს დაბინძურებული გარემო.მიუხედავად კანონის მიღებისა ჩვენი ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს ეს პრობლემა,რასაც ვიმედოვნებ წლები არ დასჭირდება მოსაგვარებლად.ტურისტებისთვის მეტად მნიშვნელოვანია და ისინი პირველ რიგში ყურადღებას ქალაქის და ქვეყნის სისუფთავესა და მოწესრიგებულობას აქცევენ.უნდა მოხდეს **ანტისანიტარული სტანდარტების დაწესება და კონტროლი**,უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს ზღვისპირა კურორტებზე სანაპიროს დაბინძურების პრობლემას, ასევე პრობლემაა კვების ობიექტებში ანტისანიტარია.მკაცრად უნდა გაკონტროლდეს საზღვაო კურორტებზე არსებული რესტორნები და ბარები,განსაკუთრებით ხალხმრავალი თავშეყრის ადგილები,სადაც ტურისტები უფრო ხშირად დადიან.ასევე უნდა მოხდეს დამსვენებელთა კონტროლიც სანაპიროსა და ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

არასაკმარისი ტურისტულ-საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები,აუცილებელია გაგრძელდეს ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ბილიკების დახვეწა,აღდგენა და შემდგომში განვითარება.(მსგავსი დაფები მოწყობილია რიგ ადგილებში,თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი ნამდვილად არ არის)ეს დიდ პრობლემას უქმნის იმ არაორგანიზებულ ტურისტებს,რომლებისთვისაც რთულია უცხო ქვეყანაში სასურველ დანიშნულების ადგილამდე მიღწევა. აუცილებელია პოპულარული მარშრუტების (საფეხმავლო,საცხენოსნო, ველო და სხვა) მარკირება მარტივი სტანდარტიზირებული მანიშნებლებით.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე **გამართული სანიტარული კვანძების არარსებობა,**კვლავ პრობლემად რჩება საპირფარეშოების მოწყობა და სანიტარული ნორმების დაცვით ფუნქციონირება,რაც უნდა მოხდეს განსაკუთრებით პოპულარულ ტურისტული მარშრუტებისა და სანახაობების გათვალისწინებით. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის,კერძო სექტორის ან თვით ტურისტული ობიექტების მონაწილეობით.

არკვალიფიციური პერსონალი და მომსახურების დაბალი ხარისხი. საქართველოში დღესდღეობით დასაქმების ნებისმიერ სფეროში ნამდვილად ხშირია არაკვალიფიციური

პერსონალის პრობლემა,განსაკუთერებით გამოვყოფდი ტურიზმს,სადაც აუცილებელია მომხმარებლის სურვილისა და მოთხოვნილებების მიმართ ფრთხილი და სპეციფიკური მიდგომა.უმეტეს შემთხვევაში მომუშავე პერსონალზე დამოკიდებულია მთელი ობიექტის იმიჯი და წარმატება,დიდია მათი პასუხისმგებლობა მასპინძლობის სფეროში,ამიტომ აუცილებელია და ძალიან მნიშვნელოვანია კადრების სწორი შერჩევა და დატრენინგება.ძალიან კარგი იქნება თუ შეიქმნება ისეთი ტურიზმის სასწავლო ცენტრები,რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან საშუალო რანგის სპეციალისტის მომზადებაზე ტურიზმის ნებისმიერ სფეროში.ვფიქრობ ასეთი პროექტი აამაღლებს ტურიზმის სფეროთი დაინტერესებულ კადრების ცოდნას,გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

მომსახურების ფასთან შეუსაბამისობა და გაზრდილი ფასები. საქართველოში განსაკუთრებით ზღვისპირა კურორტებზე ფასები ყოველწლიურად იზრდება,მაგრამ მომსახურების ხარისხი ძალიან დაბალია,რაც რათქმაუნდა ტურისტებს ალტერნატიული კურორტის ძიებისკენ უბიძგებს.მომსახურების მაღალი დონე ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტურიზმის განვითარებისათვის.მითუმეთეს როცა ჩვენს ქვეყანას რეგიონში ბევრი კონკურენტი ჰყავს(თურქეთი,ბულგარეთი,რუმინეთი) სამწუხაროდ საქ-ში აქცენტი კეთდება ტურისტთა ზრდაზე და არა კონკრეტული მნიშვნელოვანი მიმართულებების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე,როგორიცაა მომსახურების ხარისხის ამაღლება.ვიზიტორი,რომელმაც ერთხელ უკვე ნახა საქართველო,მეორედ ჩამოსვლაზე შეიძლება აღარ იფიქროს,რადგან მას აქვს ბევრად უკეთესი ალტერნატივა,თუნდაც ჩვენი მეზობელი თურქეთის სახით,სადაც მომსახურების ხარისხი ხშირ შემთხვევაში უკეთესია ფასზე ან ფასი და ხარისხი ერთმანეთს ნამდვილად შეესაბამება.

ჩემი აზრით, აუცილებელია **მომსახურების სფეროს მუდმივი კონტროლი** და მეტი ტრენინგი,რათა მოხდეს კვალიფიციური კადრების დასაქმება და სწავლება,ასევე მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ყველა კვების ობიექტი,სასტუმრო თუ ტურისტული კომპანია,რომელიც კურორტებზე მუშაობს.კარგი იქნება თუ ყველა მომსახურების ობიექტი საერთაშორისო სტანდარტებით იმუშავებს,ეს ნამდვილად გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს,რადგან ასეთი კომპანიები იძულებულნი იქნებიან დაემორჩილონ საერთაშორისო მომსახურების სტანდარტებს,რაც გამოიწვევს ნებისმიერი ვიზიტორისა თუ ტურისტის კმაყოფილებას.

მაღალფასიანი ტურისტული პაკეტები - პირველ რიგში აუცილებელია **ფასების პოლიტიკის რეგულაცია** მომსახურების ხარისხთან მიმართებაში,რაც ვფიქრობ ერთერთი ხელისშემშლელი ფაქტორია საქ-ში ტურიზმის განვითარებისათვის,განსაკუთრებით ზაფხულში არსებულ ზღვისპირა კურორტებზე. ტურისტთა უმრავლესობა ძალიან უკმაყოფილოა ჩვენს ქვეყანაში არსებული ფასებით(აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე),რადგან ფაქტია,რომ ფასი და ხარისხი ერთმანეთთან ძალიან შორს არის.ფასები სურსათზე,სასტუმროებსა თუ სხვა სახის სერვისებზე,იმაზე მაღალია, ვიდრე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში,რაც რათქმაუნდა აფრთხობს იმ ტურისტებს,რომლებიც ერთხელ უკვე ეწვივნენ საქ-ს და უკმაყოფილონი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში.მაგალითად ტურისტული კომპანიების ინფორმაციით,თურქეთში დასვენება,ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და ესპანეთშიც კი,უფრო იაფი ჯდება,ვიდრე საქართველოს შავი ზღვისპირეთში.მაღალი ფასები და მომსახურების დაბალი დონე ნაკლებად კონკურენტულს გვხდის სხვა ქვეყნებთან შედარებით,რატომ გაუჩნდება ტურისტს სურვილი საქ-ში ხელმეორედ ვიზიტისა,როცა შეუძლია იმ ფასად,რასაც ჩვენს ზღვისპირა კურორტებზე(განსაკუთრებით ბათუმში) დახარჯავს,დაგეგმოს საუკეთესო დასვენება, თუნდაც თურქეთში ორჯერ ნაკლებ ფასად და

მიიღოს მომსახურების მაღალი ხარისხი.ა.გ ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვნურად გაზრდილი ფასების რეგულირება საქ-ში ზღვისპირა კურორტებზე,რასაც სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი,უნდა დაწესდეს ფასის ზედა ზღვარი,რომლის ზევითაც ტურისტულ ობიექტებს არ ექნებათ უფლება ფასის დადებისა,რომ არ მოხდეს ფასების ხელოვნურად „გაბერვა".

მოუწესრიგებელი შიდა ტრანსპორტი (განსაკუთრებით რეგიონებში)- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ინდივიდუალური ანუ არაორგანიზებული ტურისტთა რიცხვი,რაც პოზიტიური ნიშანია,ამასთან დღეისათვის ჯერ კიდევ პრობლემაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზების და მომსახურების გაუმჯობესების საკითხი.ერთერთი მარტივი საკითხია ტრანსპორტის პუნქტუალური გრაფიკით ორგნიზება,რაც დღეისათვის ხშირად ქაოსურად ხდება.მასთან ერთად.მეტად მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების საკითხიც.

სხვა ქვეყნების გამოცდილება-საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.ზღვისპირა კურორტების ტურიზმს,ისევე,როგორც ტურიზმის ნებისმიერ სახეობას სჭირდება სწორი დაგეგმვა და ეფექტური მართვა,ა.გ ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისათვის გადამწყვეტია სწორედ ამ სფეროში უკვე წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. განსაკუთრებით გამოვყოფდი თურქეთს, ჩვენს მეზობელს, რომელმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოახერხა მსოფლიოს 10 საუკეთესო ტურისტულ დესტინაციათა შორის მოხვედრა. დღესდღეობით თურქეთი არის ერთერთი წარმატებული ტურისტული ბრენდი,რომელიც საერთაშორისო ტურისტთა მიერ ყველაზე ხშირად მონახულებად 8 ქვეყანას შორის 2013 წელს მეექვსე ადგილზე იყო.ხოლო 2010 წელს ტურიზმიდან შემოსავლების მიხედვით მსოფლიოს 10 საუკეთესო ქვეყანას შორის იყო.შესაძლებელია, მაგალითად თურქეთის ტურიზმის მარკეტინგული გამოცდილების გაზიარება.კარგი მაგალითია ასევე ბულგარეთი,რომელსაც დაგეგმილი აქვს რიგი მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები ზღვისპირა კურორტებზე,რაც საქართველოს ნამდვილად აკლია.ჩემი აზრი ეს არა მარტო მნიშვნელოვანი,არამედ აუცილებელია,რადგან ეს არის სწორედ იმ პრობლემებისა თუ მოსალოდნელი შედეგების გააზრება,რის წინაშეც შეიძლება დადგეს ქვეყანა ტურიზმის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. შესაბამისად თუ მაგალითად გვქნება სხვა ქვეყნის მიერ უკვე გავლილი რთული გზა განვითარებისაკენ, შეცდომებისა და არასწორი გადაწყვეტილებების დაშვების ალბათობა ნაკლები იქნება.

აუცილებელია ქვეყნის **ბრენდინგი,** თითოეულ რეგიონზე თუ ნებისმიერი დანიშნულების ადგილზე ინფორმაციის მიწოდება პოტენციურ ტურისტამდე; უნდა მოხდეს ქვეყნისთვის უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია, რათა პოტენციურ ტურისტებს თავისი დასვენების საწყის ეტაპზევე ჰქონდეთ ჩვენთვის პოზიტიური გადაწყვეტილების მიღების საშუალება. მაგალითად ტელევიზიის, ინტერნეტპორტალების, საინფორმაციო ცენტრების საშუალებით.ონლაინ მარკეტინგის განვითარება, ვებ-გვერდების აქტიური რეკლამირება, Facebook-ის საშუალებით მეტი პოპულარიზაცია ტურისტული ობიექტებისა და ღირსშესანიშნაობებზე.ასევე მნიშვნელოვანია რეგიონის შიდა ტრანსპორტის გაუმჯობესება მაღალმთიანი აჭარის გზებისა და ტრანსპორტის მოწესრიგება.

ვფიქრობ,იმისათვის,რომ გავაუმჯობესოთ და კონკურენტუნარიანი გავხადოთ საქ-ს ზღვისპირა კურორტების მარკეტინგული პოტენციალი,პირველ რიგში უნდა დავიწყოთ იმ ძირითადი პრობლემების გაუმჯობესება ან სრულიად აღმოფხვრა (რაც ზემოთ აღვნიშნე),რადგან რაც არ უნდა ეფექტური მარკეტინგი შევთავაზოთ საქ-ში არსებულ ზღვისპირა

კურორტებს, არასწორი იქნება, იმიტომ, რომ მხოლოდ კარგი მარკეტინგი ამ შემთხვევაში არაეფექტურია, როცა არ არის გადაჭრილი ის მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ფასი, მოსახურება, გარემო და სხვა, რაც ასე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტურისტისათვის.

გამოყენებული მასალები და ინტერნეტ რესურსები

1. http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/policy_%20brief_turizmis_ganvitareba_saqartveloshi.pdf
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0---0---0prompt-10--..-4-------0-1l--11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.3&d=HASH91d740a344d40d08e402b7.9&gc=1 (საქ.ეროვნული ბიბლიოთეკა)
3. http://www.slideshare.net/datomakharadze/ss-15031759?related=1 (კვლევა აჭარაში)

ტურიზმის განვითარების ძირითადი პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია დღესდღეობით საქართველოში არსებული ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ის ძირითადი მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც აფერხებს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სექტორის წინსვლას და რომელთა გადაუჭრელობის შემთხვევაში საქ-ში ტურიზმის განვითარება ვერ მოხდება

The main obstacles of tourism development in Georgia and solutions to this problem

Summary

The article deals with the problems hindering the development of tourism in Georgia and offers solutions to this problem. The main significant problems impeding the advancement of the tourism sector in our country are analyzed. Without solving these problems the development of tourism will be impossible in Georgia.

Les principaux obstacles du développement du tourisme en Géorgie et des solutions à ce problème

résumé

L'article traite des problèmes qui entravent le développement du tourisme en Géorgie et propose des solutions à ce problème. Les principaux problèmes majeurs entravant l'avancement du secteur du tourisme dans notre pays sont analysés. Sans résoudre ces problèmes, le développement du tourisme sera impossible en Géorgie.

სამუზეუმო ტურიზმი - როგორც შიდა ქართლის რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი და სტრატეგია

თამთა ირემაშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
ფაკულტეტი: ეკონომიკა და ბიზნესი; სპეციალობა: ტურიზმი

შესავალი

საქართველოს ტურისტული ბაზრის პოტენციალი საკმაოდ დიდია და უნიკალური. ჩვენი ქვეყნისბუნებრივ-კლიმატური პირობები, მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორები სათანადონიადაგს ქმნის ტურიზმის განვითარებისთვის. ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორია. კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.[24]

მოგზაურობის მოტივაციის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე არსებობს ტურიზმის უამრავისახე და სახეობა. კულტურული ტურიზმი და კერძოდ სამუზეუმო ტურიზმი მათ შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მსოფლიოს ყველა ქვეყანას დამახასიათებელი კულტურა გააჩნია. აქედან გამომდინარე, სხვა ქვეყნის კულტურა საინტერესეოა და ბევრ ტურისტს იზიდავს. ხელოვნებისა თუ ისტორიული მუზეუმების, ასევე ისტორიული დასახლებების სანახავად ტურისტები მთელი მსოფლიოდან ჩადიან, მუზეუმები გახლავთ ტურისტული მოგზაურობის მასტიმულირებელი ნაწილი.

ძირითადი ნაწილი

ტურიზმის განვითარება რეგიონში დაკავშირებულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან(მომსახურების,ეკონომიკის,ტრანსპორტის,ინფრასტრუქტურისსფეროში). ტურიზმის წარმატება პირდაპირ აისახება რეგიონებში უძრავი ქონების ღირებულებაზე (მიწისნაკვეთების, შენობა–ნაგებობების ფასი), რაც მოსახლეობის კაპიტალიზაციას ზრდის, ფართოვდებასაკვების წარმოება და გადამუშავება, ადგილობრივ მცხოვრებთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე, რეგიონებში და სოფლებში ტურისტული ნაკადების მომსახურება. რეგიონში ტურიზმის განვითარება იწვევს:

1. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას;
2. დამატებითი სამუშაოა დგილებისშექმნას, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას;
3. მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალურ–კულტურული თვითშეგნების ამაღლებას;
4. სიღარიბის დაძლევას;
5. ხალხური რეწვის განვითარებას;
6. ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას;
7. სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესება და ინტეგრაციას;
8. სეზონური მიგრაციისშემცირებას;
9. ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას.

პარალელურად რეგიონი ტურისტს სთავაზობს:

1. აქტიურდასვენებას;

[24] ანზორ დევაძე, ნოდარ გრძელიშვილი, ტურიზმი საქართველოში, თბილისი 2012

2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები სმიწოდებას;
3. რეკრეაცია (სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა);
4. ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენასს;
5. მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურება;
6. ბუნებასთან სიახლოვეს;
7. ტრადიციული, კულტურული მემკვიდრეობის გაზიარებას.

რეგიონი და ადგილობრივი თვითმმართველობა, ტურისტული ერთეულის გარდა, არის ადგილი,სადაც შემონახულია ძველი სამეურნეო ტრადიცია, ადგილობრივი სამზარეულო, ხელსაქმე, საეკლესიო დღესასწაულები, სახალხო დღეობები, ქორწილები, ეთნოგრაფიული სახლები, რეგიონული მუზეუმები და სტუმართმოყვარე მასპინძელი. ეს ყველაფერი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამსვენებლებისათვის წარმოადგენს მთავარ მიმზიდველობას და რეკრეაციულ რესურსს.

ამრიგად, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც გაზრდის უცხოური კაპიტალის მოზიდვას ქვეყანაში, ამასთან რეგიონში ტურიზმის განვითარება შეაჩერებს მიგრაციის პროცესებს, დააჩქარებს ეკონომიკის სერვიზაციას, სიცოცხლისუნარიანს გახდის საქართველოს ეკონომიკას და სათანადო ადგილს მიუჩენს მსოფლიო მეურნეობაში.

საქართველოში 2013 წლის მონაცემებით, სხვადასხვა პროფილის(ისტორიული,ხელოვნების, მემორიალური, ლიტერატურის და სხვ.) და დაქვემდებარების 191მუზეუმია.ქალაქი გორი და გორის რაიონი მდიდარია მუზეუმებით, რომლებიც დიდირაოდენობით უცხოელ ტურისტს და ადგილობრივ დამთვალიერებლებს იზიდავს, მათ შორის:

ი.ბ სტალინის სახლ-მუზეუმი-მუზეუმის შემადგენლობაში შედის საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო მოღვაწისა და პოლიტიკოსის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (1879-1953) მემორიალური სახლი, სადაც ის დაიბადა, აგრეთვე საექსპოზიციო შენობა კოშკით და სტალინის პირადი ვაგონი ინტერიერით, რომლითაც მან თეირანში, იალტასა და პოთსდამში იმგზავრა. მუზეუმში დაცულია სტალინის პირადი ნივთები, კრემლის კაბინეტი, ხელნაწერები,საჩუქრები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისი სახის ნიღაბი,ფერწერული ტილოები. მუზეუმი ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში 1937 წელს დაარსდა, იმ პერიოდში როდესაც ბოლშევიკური რეჟიმის რეპრესიები განსაკუთრებით გამძაფრდა.

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი-მუზეუმში დაცულია საქართველოში ახალი მეცნიერული პედაგოგიკიტა და საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) მემორიალური ნივთები, ყოფითი და ეთროგრაფიული მასალა; წიგნადი ფონდი, მათ შორის, მისი ნაშრომებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების პირველი გამოცემები; ფოტო და დოკუმენტური მასალა; სახვითი ხელოვნების ნიმუშები ელენე ახვლედიანისა და სხვათა ფერწერული ტილოები, მემორიალური ნივთები და არქივი; სამუშაო კაბინეტის ავეჯი, ამპირის სტილის ტახტრევანი სავარძლებით, ბროლისაგან დამზადებული სარკე, გოგებაშვილის მაგიდის გარნიტური, ბროლისა და საქსის ფაიფურისაგან დამზადებული მემორიალური ჭურჭელი, მაგიდის ნათურა, რომლის შუქზეც, გადმოცემის მიხედვით, ,,დედაენა" დაიწერა. მუზეუმი 1958 წელს გაიხსნა. მრავალი წელია, რაც გორის რაიონის სოფელ ვარიანში ,,იაკობობა"-დედა ენის დღე აღინიშნება.

ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი - ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი მდებარეობს საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, მისგან ჩრდილოეთით 29 კმ–ში, მდინარე პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელ არბოს ცენტრში. ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი ერთსართულიანია, ოროთახიანი. ერთოთახში გამოფენილია მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა, მემორიალური ნივთები, მეორეში სოფლის ბიბლიოთეკა.

სერგი მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი-მუზეუმი 1935 წელს, ქართველი მეცნიერების ივანზე ჯავახიშვილის, სერგი მაკალათიასა და იოსებ ყიფშიძის ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა.მუზეუმის ძირითად ფონდებს საფუძვლად დაედო შიდა ქართლში წარმოებული საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალები. აქ დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც საქართველოს, ასევე ახლო [25]აღმოსავლეთისა და წინა აზიის ქვეყნების მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს. მუზეუმში ინახება და ექსპოზიციებში წარმოდგენილია მდიდარი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური კოლექციები; გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები; ქართული და არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები; ხელნაწერები და პირველნაბეჭდი წიგნები; დოკუმენტები, სიგელ-გუჯრები, ფოტოარქივები, სამეცნიერო ბიბლიოთეკა და პერიოდკა.

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი-მუზეუმში დაცულია ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) მემორიალური ნივთები, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, ხოვლე-გორას არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტო და დოკუმენტური მასალა.

სულ 14 მუზეუმია შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სწორედ ეს ამაღლებს ამ მხარეში კულტურული ტურიზმის განვითარების პოტენციალს. კულტურულ ისტორიული პოტენციალი ქმნის ტურისტულ მოთხოვნილებას და ასტიმულირებს ყველა ტურისტული მომსახურების საწარმოს ეკონომიკურ განვითარებას და თავად წარმოადგენს ტურიზმის, როგორც დარგის ეკონომიკური ზრდის ფაქტორს. მოცემული ობიექტების მუშაობა და ეკონომიკური ეფექტიანობის დონე პირდაპირაა დამოკიდებული მათში დამთვალიერებელთა და მონაწილეთა რაოდენობაზე. მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პოტენციალის ძირითადი ნაწილი მოდის მუზეუმებზე, სასახლეებსა და პარკების ანსამბლებზე.

შიდა ქართლში მუზეუმების დამთვალიერებელთა რიცხვმა 2013 წლის მონაცემებით 175.000 ათასს მიაღწია, ექსკურსიების რიცხვმა კი 6938 შეადგინა. ამ მონაცემებით შიდა ქართლი მეორე ადგილს იკავებს საქართველოში, თბილისის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით გამოფენების რაოდენობას - სულ 48.

განსაკუთრებით დეპრესიული რეგიონებისთვის მუზეუმები სწორად გათვლილი მარკეტინგის შემთხვევაში შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტისათვის ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

მუზეუმი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელოვანი კერაა. მუზეუმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოების ღირებულებებისა და ესთეტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. მაგ:საფრანგეთის მუზეუმები: მატისის მუზეუმი ნიცაში, არქეოლოგიური მუზეუმი სტრასბურგში, მალმეზონი, ისტორი-

[25] ალექსანდრე ნონეიშვილი, ამირან თავართქილაძე, საქართველოს 100 მუზეუმი, თბილისი 2012

ის მუზეუმი მარსელში და ა.შ, იტალიის მუზეუმები: მსოფლიო კულტურათა მუზეუმი გენუაში,მეცნიერების და ტექნიკის ლეონარდო და ვინჩის მუზეუმი მილანში, ეგვიპტის მუზეუმი ტურინში და სხვა.

სამუზეუმო ტურიზმის განვითარება ქ. გორის და გორის რაიონის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. შემაფერხებელი ფაქტორებია, ის რომ გაწყვეტილია ქვეყნებსშორისი სტაბილური ტურისტული კავშირები; სრულად არ არის შესწავლილი რეგიონის ტურისტული შესაძლებლობები და პოტენციალი, რეგიონის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების უმეტესობა მნიშვნელოვნად დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არსებული მუზეუმების დიდი ნაწილი, მათ შორის გორისა და ზოგადად შიდაქართლის მუზეუმები თანამედროვე მოთხოვნილებებს ვერ პასუხობენ. მათ წინაშე უამრავი პრობლემა დგას, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის თვალსაზრისით.

კვლევითი კომპონენტი

საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების მხრივ კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. თემის აქტიურობიდან გამომდინარე ჩვენს მიერ ჩატარდა ორი კვლევა. პირველი, გამოკითხულ იქნენ ქ. გორის მუზეუმებში მომუშავე პერსონალი და გიდები და მეორე თბილისის აეროპორტში იქნენ გამოკითულნი ტურისტები.

გამოკითხვა გორში. გორში, ჩვენი გამოკითხვის მთავარი მიზანი იყო გაგვერკვია არის თუ არა გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერა მუზეუმების, როგორია მუზეუმების გარემო-პირობები და იქ მომუშავეთა ანაზღაურება და პრობლემები, ტურისტული თვალსაზრისითრამდენად დატვირთულია მუზეუმები, როგორია შემოსავლები.

როგორც, პირდაპირი და უშუალო გამოკითხვით გაირკვა, მათი მთავარი პრობლემა გალხავთ ცუდი და არასტაბილური გათბობაზამთარში და ცუდი ვენტილაცია, რომელიც აზიანებს მუზეუმში არსებულ ექსპონანტებს და ასევე იქ მომუშვე პერსონალისთვისაც გაუსაძლისია ასეთ პირობებში მუშაობა, სადაც ანაუზღაურება მერყეობს 200-600 ლარამდე, ასევე ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუს გააჩნია უამრავი პროექტები, თუმცა მათი დაფინანსება არ ხდება, აქედან გამომდინარე მათი სისრულეში მოყვანაც შეუძლებელია. რაც შეეხება შემოსავლეებს, შემოსავლის წყარო გახლავთ ბილეთბიდან, წიგნებიდან, სუვენირებიდან მიღებული თახნა, რომელიც მერყეობს 4000-5000 ლარამდე (წლიურად). გორი ტურისტულად დატვირთული უფრო გაზაფხულ-ზაფხულშია, ძირითადად არიან უკრაინის, რუსეთის, ამერიკის, გერმანიის, სომხეთის, აზერბაიჯანის წარმომადგენლები. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის სტუმრობას მუზეუმმებში არის იშვიათი და მიზეზად ასახელებენ მუზეუმში შესასვლელ თანხას, მაგ. სტალინის მუზეუმში შესვლა გახლავთ 15 ლარი.

გამოკითხვა აეროპორტში. იმისათვის, რომ საქართველომ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოში საჭიროა გავითვალისწინოთ ტურისტების რეკომენდაციები, შენიშვნები და ზოგადად მათი დამოკიდებულება. ამიტომ ჩავატარეთ კვლევა საერთაშორისო მოგზაურებზე კითხვარების მეშვეობით. კვლევა მიმდინარეობდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, შესაბამისად მათ დასრულებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში და ისინი ემოციებითა და შთაბეჭდილებებით იყვნენ დატვირთულნი. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა მათი აზრი გორთან და მთლიანად შიდა ქართლის რეგიონთან დაკავშირებით. სულ გამოიკითხა 7 ტურისტი (უნდა აღინიშნოს ისეც, რომ გამოკითხვის ადგილას, დღის საათებში, საკმაოდ ცოტა ტურისტი იყო, ამის ძირითადი მიზეზი ღამის ფრენებია). გამოკითხული

რესპოდენტები არიან რუსეთიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან. გორში ვიზიტით კმაყოფილების მაჩვენებელი სამწუხაროდ დაბალია. ტურისტების უკმაყოფილება გამოიხატება იმაში, რომ არ არიან კვალიფიცირებული გიდები, ცოტაა ტურიზმის საინფორმავიო ცენტრები, საჭიროა რეგიონის მეტად რეკლამირება, გზამკვლევების არ არსებობა, მაღალია ფასები, ქალაქის წესრიგშია მოსყვანი.გამოკითხული ტურისტების მიერ ყველაზე უფრო მონახულებადი ადგილია სტალინის სახლ-მუზეუმი, გორის ციხე, გორის ჯვარი, უფლისციხე. ასევე იყვნენ ისეთი ტურისტებიც, რომლებსაც საერთოდ არ უნახავთ გორი.
უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ამ კვლევისთვას გრაფიკული სახე მივეცით.

1.რომელი ქვეყნის წარმომადგენელი ხართ?



2. მოინახულეთ გორის მუზეუმები?



3) ყველაზე მეტად რომელი მუზეუმი ან ექსპონანტი მოგეწონათ?



4) მუზეუმების გარდა კიდევ რა მოინახულეთ გორსა და მის ახლომდებარე სოფლებში?



5) შიდა ქართლში რომელი მუზეუმი ან ქალაქი მოინახულეთ კიდევ?



6) რას იტყვით მომსახურების ხარისხზე?



7) რის შეცვლას ან დამატებას ისურვებდით ქ.გორში?



დასკვნა-რეკომენდაციები

1.აუცილებელია მუზეუმებსა და უნივერსიტეტებს, კოლეჯებს, პროფესიულ სასწავლებლებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობა, მოეწყოს შიდა სამუზეუმო ტურები, რაც ძალზედ წაადგება მუზეუმის პოპულარიზაციას. დამთვალიერებლების მოზიდვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერთის მხრივ მუზეუმების ფინანსური კრიზისიდან
გამოყვანაში, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს რეგიონის იმიჯის გაუმჯობესებაში.
2. მხოლოდ ექსპოზიციების შეთავაზებით არ უნდა შემოვიფარგლოთ, ტურისტს უნდა შევთავაზოთ გორსა და გორის რაიონში არსებული სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები: უფლისციხე- კლდეში ნაკვეთი ანტიკური ხანის ქართლის დედაქალაქი, ატენის სიონი- VII საუკუნის უდიდესი არქიტექტურული ძეგლი, გორის ციხე და სხვ.
3. საჭიროა შევთავაზოთ ტურისტებს კეტილმოწყობილი დასვენების და გართობის კუთხეები, მაღალი დონის სასტუმროები, მაღაზიები, კაფე-რესტორნები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები, გამოფენები, რაც ნადვილად აქცევს ამ მშვენიერ მხარეს ტურისტულად კიდევ უფრო მიმზვედელს და ეკონომიკურად სტაბილურს.
4. საჭიროა ადგილობრივმა თვითმმართველობამ და რეგიონულმა სამსახურებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ტურიზმის და კერძოდ კულტურული ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივ ინფრასტრუქტურას. ხელი შეუწყონ ადგილობრივი მუზეუმების ინიციატივებს.
5.სახელმწიფო ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფირმაციო საშუალებების გამოყენების გზით. ამ მიზნით უნდა გაფართოვდეს, საქართველოს როგორც ტურიზმის ქვეყნის, გაცნობრბიერების სფერო ძირითად პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელმიუწვდომელია კერძო სექტორისათვის, შემდეგი საშუალებების გამოყენებით: მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებზე და გამოფენებზე, უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში მოწვევა, უცხოეთის პრესაში და ინტერნეტის ქსელში საქართველოს ტურიზმზე ინფორმაციის გავრცელება, თემატური კონფერენციების ორგანიზება და სხვ.

6.კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად საჭიროა სახელმწიფოს ხელშეწყობა კულტურულ სანახაობების, მუზეუმების, ძეგლების, თეატრების მოვლა-პატრონობის გზით, რათა შეჩერდეს მათი განადგურება და ისინი წარსდგნენ სრულმნიშვნელოვანი სახით დამთვალიერებელთა წინაშე, ასევე უცვლელი სახით გადაეცეს თაობებს და გაუძლოს დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრძელიშვილი ნ, ,,რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება საქართველოში (რეგიონული მენეჯმენტი). მონოგრაფია.თანაავტორობითISBN978-9941-0-4806-7,256გვ,თბ. 2012წ.
2. გრძელიშვილი ნ, ,,საქართველოს ეკონომიკა''სახელმძღვანელო.თანაავტორობით. ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილიაII-ს. ISBN978-9941-3805-1, 460გვ,თბ.2012
3. გრძელიშვილი ნ, ,,ბრენდინგის როლი რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ფორმირებაში''. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი პრაქტიკული ჟურნალი ,,მოამბე''#20,2014. გვ.83-85
4. დევაძე ა, გრძელიშვილი ნ, ,, ტურიზმი საქართველოში''თბ.2012
5. ინგა ქარაია, მაკა ბურჭულაძე ლაშა ქარაია, სალომე ცისკარაშვილი ,,საქართველოს მუზეუმები (გზამკვლევი)''
6. ალექსანდრე ნონეშვილი, ამირან თავართქილაძე ,,საქართველოს 100 მუზეუმი''

სამუზეუმო ტურიზმი - როგორც შიდა ქართლის რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი და სტრატეგია

თამთა ირემაშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
ფაკულტეტი: ეკონომიკა და ბიზნესი; სპეციალობა: ტურიზმი

რეზიუმე

სამუზეუმო ტურიზმის განვითარება შიდა ქართლში მნიშვნელოვან ფაქტორს და სტრატეგიას წარმოადგენს. სულ 14 მუზეუმია შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სწორედ ეს ამაღლებს ამ მხარეში კულტურული ტურიზმის განვითარების პოტენციალს. მოცემული ობიექტების მუშაობა და ეკონომიკური ეფექტიანობის დონე პირდაპირაა დამოკიდებული მათში დამთვარიელებელთა და მონაწილეთა რაოდენობაზე. განსაკუთრებით დეპრესიული რეგიონებისთვის მუზეუმები სწორად გათვლილი მარკეტინგის შემთხვევაში შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს. მუზეუმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოების ღირებულებებისა და ესთეტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. თემის აქტიურობიდან გამომდინარე ჩვენს მიერ ჩატარდა ორი კვლევა. (ქ. გორი; თბილისის საერთაშორისო აეროპორტი) კვლევის მთავარი მიზანი: გარკვევა იმისა, არის თუ არა გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერა მუზეუმების, როგორია მუზეუმების გარემო-პირობები, ანაზღაურება და პრობლემები და ასევე შეგვესწავლა ტურისტების აზრი მთლიანად შიდა ქართლის რეგიონთან დაკავშირებით. შიდა ქართლში ვიზიტით კმაყოფილების მაჩვენებელი სამწუხაროდ დაბალია. ამრიგად, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც გაზრდის უცხოურუ კაპიტალის მოზიდვას ქვეყანაში, ამასთან რეგიონში ტურიზმის განვითარება შეაჩერებს მიგრაციის პროცესს, დააჩქარებს ეკონომიკის სერვიზაციას, სიცოცხლისუნარიანს გახდის საქართველოს ეკონომიკას და სათანადო ადგილს მიუჩენს მსოფლიო მეორნეობაში.

Museum-tourism as an important factor in the development and strategy of Shida Kartli

Tamta iremashvili -David Aghmashenebeli University of Georgia.
Faculty: Economics and Business Specialty: Tourism;

Abstract

The development of museum-tourism in Shida Kartli is essential factor and strategy. There are 14 museums on the territory of Shida kartli, this increases the potential for the development of cultural tourism in this region. The facilities work and economic efficiency is directly dependent on the number of participants and visitors. Especially in the depressed regions, correctly calculated marketing case , museums can become an important source of income. Museums play an important role in shaping society's values and aesthetic outlook. Depending on the topic Activity, two researches were conducted by us (Gori ; Tbilisi international airport) The main goal of the research: to find out , whether or not the Gori municipality takes care of museums,

surroundings of museums , returns and also to study the opinions of tourists about Shida Kartli region .Visit satisfaction rate in Shida Kartli is unfortunately low. Thus, the development of the tourism industry is the most important priority and promising direction, which will increase the attraction of foreign capital in the country, also the development of tourism in the region will stop the migration process, it will accelerate economic development, make Georgia's economy more viable,and put into the proper place of world economies.

Musée-tourisme comme un facteur important dans la stratégie de développement et de Shida Kartli

Tamta Irémachvili-David Aghmashenebeli Université de Géorgie

Faculté: économie et des affaires; Spécialité: Tourisme;

Resume

Le développement du musée-tourisme dans de Shida Kartli est un facteur et une stratégie essentielle. Il ya 14 musées sur le territoire de Shida Kartli, ce qui augmente le potentiel pour le développement du tourisme culturel dans cette région. Les installations fonctionnent et l'efficacité économique dépend directement du nombre de participants et de visiteurs. Surtout dans les régions défavorisées, calculé correctement une affaire de commercialisation, les musées peuvent devenir une source importante de revenus. Les musées jouent un rôle important dans la définition des valeurs de la société et les perspectives esthétique. Selon le sujet activité, deux recherches ont été menées par nous (Gori; aéroport international de Tbilissi) L'objectif principal de la recherche: à savoir, si oui ou non la municipalité de Gori prend soin de musées, environs de musées, les retours et aussi pour étudier les opinions des touristes sur le taux de satisfaction de la région de Shida Kartli dans de Shida Kartli est malheureusement faible. Ainsi, le développement de l'industrie du tourisme est la priorité la plus importante et la direction prometteuse, ce qui augmentera l'attrait de capitaux étrangers dans le pays, aussi le développement du tourisme dans la région va arrêter le processus de migration, il va accélérer le développement économique, assurez- l'économie de la Géorgie plus viable, et de mettre dans le bon endroit des économies mondiales.

პირველადი ჯანდაცვის პერსონალის სამეცნიერო - ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში

თენგიზ ვერულავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.
ჯაბა ბეჭვაია, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და დევნილთა სამსახურის
ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

შესავალი

ჯანდაცვის სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლია პირველადი ჯანდაცვა. ამ ეტაპზე ხდება ადამიანის პირველადი კონტაქტი ჯანდაცვის სისტემასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველადი ჯანდაცვის პერსონალის (მენეჯერები, ექიმები, ექთნები და ა.შ.) კვალიფიკაციის დონეს. თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არამხოლოდ საკადრო, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, არამედ ჯანდაცვის სფეროში არსებულ საინფორმაციო რესურსებზეც. ჯანდაცვის დაწესებულების ხელმძღვანელებს მეცნიერული, ორგანიზაციული და ეკონომიური ხასიათის ინფორმაცია სჭირდებათ დაწესებულების მიმდინარე და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისათვის, პრაქტიკულ საქმიანობაში მედიცინის თანამედროვე მიღწევების და გამოცდილების დასანერგავად, დაწესებულების საქმიანობის ეფექტურად ორგანიზებისათვის.

სამედიცინო მეცნიერებები "თავბრუდამხვევი" სისწრაფით ვითარდება. ბოლო ათწლეულებში აღინიშნება სამედიცინო ინფორმაციის (საინფორმაციო წყაროების) მკვეთრი ზრდა. თითოეული ექიმს უწევს უამრავი ინფორმაციის ნაკადის მიღება, რომელიც გაფანტულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა მონოგრაფიებში, ჟურნალებში, წიგნებში (Brown C., 2002.). ექიმი ცდილობს მოახდინოს ინფორმაციის გაფილტვრა აქტუალურობის თვალსაზრისით, და შესაბამისად მიიღოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია. ასეთ ეპოქაში მენეჯერებისა და სპეციალისტების მუშაობა წარმოუდგენელია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ახალი სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში რეალურ ფასეულობას წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ის პერსონალი, რომელსაც ახალი ტექნოლოგიების და ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით შეუძლია განავითაროს პროფესიული კომპეტენცია. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლის დროს მიღებული სათანადო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები. თანამედროვე მედიცინის სწრფი ზრდისა და შესაბამისად სამედიცინო საქმიანობის სათანადო დონეზე წარმართვისათვის საჭიროა პროფესიული დონის ამაღლება და მუდმივი თვითგანვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში მონაწილეობა (Beyer M., et. al., 2003).

ექიმების პროფესიული დონის ამაღლებას ხელს უწყობს კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები, რომლის საშუალებით ხორციელდება აზრთა გაზიარება, ურთიერთანამშრომლობა, სამეცნიერო კვლევების შედეგად დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების დროული ჩართვა კლინიკურ პრაქტიკაში (Chen J. et. al., 2006). ძალიან მცირე დროში მედიცინის სხვადასხვა სფეროში მუდმივად ინერგება სრულიად ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები. კომუნიკაციების გაადვილება ხელს უწყობს სამედიცინო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენას. მისი მეშვეობით ექიმები ახდენენ თავიანთი საქმიანობის ხარისხის მაჩვენებლების შეფასებას, აგრეთვე მათ შედარებას კოლეგების მაჩვენებლებთან. სულ უფრო მე-

ტი აქცენტი კეთდება ჯგუფურ სწავლებაზე, სადაც ადამიანები იზიარებენ საერთო ღირებულებებს.

სამედიცინო დაწესებულებები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ სამედიცინო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებით, მათთვის საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, რადგან კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (Mason, J. 2001). ამგვარად, კვალიფიკაციის ამაღლება განიხილება როგორც უწყვეტი პროცესი. „უწყვეტი განათლება", ანუ სწავლება მთელი ცხოვრების განმავლობაში სამედიცინო პერსონალს სტიმულს აძლევს მიიღოს ყველა ის ცოდნა, ფასეულობები, უნარები და ჩვევები, რომლებიც მას სჭირდება მთელი ცხოვრების განმავლობაში. საჭირო ინფორმაციის მოძიება და გათავისება, ამ ინფორმაციის საკმაოდ დიდი მოცულობის გამო, აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს. ამიტომაც, მწვავედ დადგა ჯანდაცვის სისტემის მენეჯერებისა და სამედიცინო პერსონალის სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის საჭიროება, რომლებიც გაზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ხარისხს.

ინფორმაციული საჭიროება რთული, მრავალგანზომილებიანი და უნიკალური ფენომენია, რადგან დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, კერძოდ, მომხმარებლის პროფესიულ დონეზე, ასაკზე, მის წინაშე მდგარ ამოცანებზე და ა.შ. საინფორმაციო საჭიროებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურებიან ისინი. ინფორმაცია ადამიანს სჭირდება, ერთი მხრივ, გარკვეულ სფეროში არსებული ცოდნის გასაცნობად, მეორე მხრივ, კი გარკვეულ სფეროში კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

საქართველოში მედიცინის სფეროში მცირე რაოდენობის სამეცნიერო ჟურნალები გამოდის. ამ ჟურნალებიდან შეიძლება გამოვყოთ:

Georgian Medical News (GMN) - საქართველოს სამედიცინო სიახლენი ყოველთვიური სამეცნიერო სამედიცინო რეცენზირებადი, რეფერირებადი ჟურნალია, რომელიც 1994 წლიდან გამოიცემა. იგი სარედაქციო კოლეგიისა და აშშ-ის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიის, ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის ერთობლივი გამოცემაა და გამოდის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პატრონაჟით. მასში რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ქვეყნდება ექსპერიმენტული, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ორიგინალური სამეცნიერო სტატიები მედიცინის, ბიოლოგიისა და ფარმაციის სფეროში, მიმოხილვითი ხასიათის სტატიები, რეცენზიები. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში 12-ჯერ. 2005 წლიდან ჟურნალი ინდექსირებულია MEDLINE-ის საერთაშორისო სისტემაში, ასახულია SCOPUS-ის და ВИНИТИ РАН-ის მონაცემთა ბაზებში, ხელმისაწვდომია on-line რეჟიმში საიტზე www.geomednews.org; 2009 წელს ჟურნალის რეიტინგმა (SJR) შეადგინა 0,038, იმპაქტ - ფაქტორი კი 0,030-ია. 2002 წლიდან ჟურნალი გამოწერილია აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ და ინახება მის ფონდებში.

ქალთა ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები. ჟურნალი დაარსდა საქართველოს ექიმ ქალთა ასოციაციის მიერ 2012 წელს. 2013 წლიდან ჟურნალი გამოიცემა პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიასთან თანამშრომლობით. ჟურნალის მიზანია, მკითხველს გააცნოს ქალთა ჯანმრთელობის პრობლემები.

„თანამედროვე მედიცინა" სამედიცინო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალია ბეჭდური სახით გამოიცემოდა 2007-2010 წლებში ფარმაცევტული კომპანია ჯი–პი–სი–ს ხელშეწყობით. ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა" რეფერირდება სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის რეფერატულ გამოცემაში.

საქართველოს პედიატრი. ჟურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ. დაარსდა საქართველოს პედიატრთა ასოციაციის, ი. ფაღავას პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაციის მიერ.

"ოჯახის მკურნალი" 2001 წლიდან, ორ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გამოდის. ჟურნალs თან ახლავს ჩანართი "ოჯახის პედიატრი" და აგრეთვე "საოჯახო ენციკლოპედია", რომელიც ანბანური თანმიმდევრობით იძლევა ამომწურავ ინფორმაციას ნებისმიერ სამედიცინო საკითხზე. ჟურნალის მაღალრეიტინგული რუბრიკებია: მედიცინის სიახლენი, მთავარი თემა, სამკურნალო წერილები და სხვ.

"ავერსი – ჯანმრთელი სიცოცხლე" ჟურნალი 2004 წლის მაისიდან გამოდის. იგი ყოველთვიურად აცნობს მკითხველს უახლეს ინფორმაციას სამედიცინო სფეროს სიახლეების, მიღწევების, დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა, სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციის წყაროების და პირველადი ჯანდაცვის თემატიკაზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციების საინფორმაციო ნაკადის ანალიზის ჩატარება, პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფის მეცნიერული დასაბუთება.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა, სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციის წყაროების და პირველადი ჯანდაცვის თემატიკაზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციების საინფორმაციო ნაკადის ანალიზის ჩატარება, პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფის მეცნიერული დასაბუთება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ჯანდაცვის სისტემის სამეცნიერო-ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების სტატიები, ინტერნეტით მოძიებული მონაცემები. კვლევა მოიცავდა თვისებრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. ალბათური შერჩევის მეთოდით შეირჩა ქ. თბილისის 6 და ზუგდიდის რიონის (დასავლეთ საქართველო) 2 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ თბილისისა და ზუგდიდის სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერებთან და სამედიცინო პერსონალთან. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა პირისპირ ინტერვიუირება სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. შეირჩა 200 რესპოდენტი, რომელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა 167 რესპოდენტმა (83.5%). დამუშავების პროცესში ნაკლულად ჩაითვალა 3 ანკეტა (1.8%), შესაბამისად, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 164 პირმა: 36 მენეჯერი (22%) და 128 ექიმ-სპეციალისტი (78%). რესპოდენტთა 67.7% ქალია, ხოლო 32.3% კაცი. ქალები სჭარბობენ როგორც მენეჯერებს (69.4%) შორის, ასევე პრაქტიკოს ექიმ-სპეციალისტებს შორის (67.2%) (იხ. ცხრილი 1).

პირველადი ჯანდაცვის მენეჯერების უმეტესი ნაწილი 41-50 წლისაა (38.9%), იგივე შეინიშნება ექიმ-სპეციალისტებთანაც (33.6%) (იხ. დანართი 1). პჯდ-ს პრაქტიკოსი ექიმ-სპეცი-

ალისტებისათვის მუშაობის მაღალი საშუალო სტაჟი შეადგინა 15-20 წელი (20.3%), ხოლო პჯდ-ს მენეჯერებისათვის - 10-15 წელი (27.8%).

ცხრილი № 1
რესპოდენტების შემადგენლობა ჯგუფების და სქესის მიხედვით:

რესპოდენტთა ჯგუფები	**აბსოლუტური**	**%**	**ქალი**	**%**	**კაცი**	**%**
პჯდ-ს მენეჯერები	**36**	**22%**	**25**	**69.4%**	**11**	**30.6%**
პჯდ-ს პრაქტიკოსი ექიმ-სპეციალისტები	**128**	**78%**	**86**	**67.2%**	**42**	**32.8%**
სულ	**164**	**100%**	**111**	**67.7%**	**53**	**32.3%**

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მენეჯერები და პრაქტიკოსი ექიმები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, კანონების გაცნობას (მენეჯერები - 100%, ექიმები - 91%). მენეჯერები სამეცნიერო ხასიათის წიგნებიდან უპირატესობას ანიჭებენ ქართულ ენაზე გამოცემულ ლიტერატურას (67%). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა უცხოურ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას (36%), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (13.5%) და სადისერტაციო მასალებს (8%). მენეჯერთა აზრით, მათ საქმიანობაში ყველაზე სასარგებლოა მეთოდური და ნორმატიული ხასიათის ინფორმაცია (67%), დაწესებულების შიდა ბრძანება (26%) ხოლო სამეცნიერო წყაროები შეადარებით ნაკლებად სარბელიანია (10%). პრაქტიკოსი ექიმების დიდი ნაწილი იყენებს კლინიკურ გაიდლაინებს (87%), სამეცნიერო ხასიათის წიგნებიდან უპირატესობას ანიჭებენ ქართულ ენაზე გამოცემულ ლიტერატურას (72%). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა უცხოურ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას (58%), ადგილობრივი სამეცნიერო ჟურნალებს (53%) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (36%) და სადისერტაციო მასალებს (16%) (იხ. ცხრილი 2). საქართველოში არსებული პროფესიული ჟურნალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა დონის სპეციალისტები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობასთან ახლოს მდგომ ინფორმაციულ წყაროებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სამუშაო ადგილზე. პრაქტიკოსი ექიმები უპირატესობას ანიჭებენ ჟურნალს „ავერსის კლინიკის ჟურნალი“ (34%), „ოჯახის მკურნალი“ (29%), „თანამედროვე მედიცინა“, საქართველოს სამედიცინო სიახლეები“ ("Georgian medical news") (11%). პირველადი ჯანდაცვის მენეჯერები ყველაზე მეტად დაინტერესებულნი არიან ჟურნალის შემდეგი თემატური სექციებით: ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ჯანდაცვის ეკონომიკა, საკადრო საკითხები, ხოლო ექიმები: კლინიკური გაიდლაინები, გამოცდილების გაზიარება, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი № 2.

საინფორმაციო წყაროების გამოყენება

	პჯდ-ს მენეჯერები		პჯდ-ს პრაქტიკოსი ექიმ-სპეციალისტები	
	ინფორმა-ციის რო-მელ წყა-როებს იყ-ენებთ?	ყველა-ზე სა-სარგებ-ლოა	ინფორმა-ციის რო-მელ წყა-როებს იყ-ენებთ?	ყველაზე სასარგებ-ლოა
პარლამენტის მიერ დადგენილი კანო-ნები, სამინისტროს ბრძანებები	100%	67	91%	29
დაწესებულების ში-და ბრძანება	100%	23	100%	14
ადგილობრივი სა-მეცნიერო ჟურნა-ლები	26%	0	53%	18
სამეცნიერო წიგნე-ბი, მონოგრაფიები (ქართულ ენაზე)	67%	10	72%	16
სამეცნიერო წიგნე-ბი, მონოგრაფიები (უცხოურ ენაზე)	36%	0	58%	3
სადისერტაციო მა-სალა	8%	0	16%	0
კლინიკური „გაიდ-ლაინები“	27,3%	0	87%	24
მსოფლიო ჯანდაც-ვის ორგანიზაციის მასალები	13,5%	0	36%	0

ცხრილი 3:
ჟურნალის რომელი თემატური სექციით ხართ დაინტერესებული?

	თქვენი საჭიროების შესაბამისად (შეაფასეთ 10 ბალიანი სისტემით)		**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (შეაფასეთ 10 ბალიანი სისტემით)**	
	პჯდ-ს მენეჯერები	**პჯდ-ს პრაქტიკოსი ექიმ-სპეციალისტები**	**პჯდ-ს მენეჯერები**	**პჯდ-ს პრაქტიკოსი ექიმ-სპეციალისტები**
ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები	**10**	**5**	**8**	**7**
შრომითი უფლებების დაცვა	**7**	**5**	**5**	**5**
კომპენსაცია	**7**	**3**	**4**	**3**
ჯანდაცვის ეკონომიკა	**8**	**1**	**3**	**2**
საკადრო საკითხები	**8**	**1**	**5**	**1**
სამედიცინო დახმარების ორგანიზება	**6**	**3**	**6**	**2**
პრაქტიკოსი ექიმის დახმარება	**2**	**8**	**2**	**5**
პროფილაქტიკა	**2**	**7**	**2**	**6**
გამოცდილების გაზიარება	**5**	**9**	**4**	**9**
ლექცია/ლიტერატურის მიმოხილვა	**2**	**8**	**3**	**5**
კლინიკური რეკომენდაციები	**1**	**10**	**2**	**9**
კვლევები	**1**	**7**	**2**	**3**
საერთაშორისო გამოცდილება	**6**	**5**	**4**	**3**

თანამედროვე ტექნოლოგიებმა თავისი ადგილი დაიმკვიდრეს ჯანდაცვის სფეროშიც. რესპოდენტთა 42% აღნიშნავს, რომ ინტერნეტიდან უფრო ადვილი და მოსახერხებელია მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება და დამუშავება. 31% ინფორმაციას ღებულობს ჯანდაცვის სამინისტროდან, 16% - პროფესიულ გადამზადების კურსებზე დასწრებით, 6% - უშუალოდ დაწესებულების ხელმძღვანელისგან, 1% - გამოწერილი მასალიდან, 4% - ფარმაკოლოგიური კომპანიების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ახდენენ ახალი სამკურნალო საშუალებების რეკლამირებას. აღსანიშნავია, რომ ექიმები და მენეჯერები ბიბლიოთეკებში საერთოდ არ დადიან.

ინტერნეტმა გლობალურად გაზარდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საქართველოში ინტერნეტ ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება დაიწყო 1990-იანი წლებიდან. კვლევით ირკვევა, რომ რესპოდენტთა 87%-ს აქვს ინტერნეტ საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. მენეჯერები უმთავრესად დაინტერესებულნი არიან ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით (73%), ხოლო სამედიცინო პერსონალი - სამედიცინო-სამეც-

ნიერო სტატიებით (71%), კლინიკურ „გაიდლაინებით“ (69%). გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი, მენეჯერების 16% და ექიმების 31% იყენებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მასალებს.

ცხრილი 4:
რა სახის პროფესიულ ინფორმაციას ღებულობენ მენეჯერები და პრაქტიკოსი ექიმები ინტერნეტის საშუალებით.

ინფორმაციის სახე	პჯდ-ს მენეჯერები (%)	პჯდ-ს ექიმი/სპეციალისტები (%)
ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებები, ინსტრუქციები	73	48
სამედიცინო სტატიები ჟურნალებიდან	46	71
წიგნები, მონოგრაფიები	23	27
კვლევები, დისერტაციები	3	12
კლინიკური „გაიდლაინები“	17	69
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მასალები	16	31
უცხოური პუბლიკაციები	19	28

ინფორმაციის ინტერნეტით მოპოვებისას რესპოდენტები შემდეგ სირთულეებს გამოყოფენ: არასაკმარისი დრო ინფორმაციის მოსაძიებლად (მენეჯერთა 54% და ექიმთა 49%), ენობრივი ბარიერი (მენეჯერთა 17% და ექიმთა 21%), ფინანსური პრობლემა (მენეჯერთა 13% და ექიმთა 16%), სამსახურში ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის არქონა (მენეჯერთა 16% და ექიმთა 21%).
ცხრილი 5.
რა სიძნელეებს აწყდებიან მენეჯერები და პრაქტიკოსი ექიმები ინფორმაციის ინტერნეტიდან მოძიების პროცესში.

	პჯდ-ს მენეჯერები	პჯდ-ს ექიმი/სპეციალისტები
სირთულეები არ მაქვს	53	74
არ ვიცი სად მოვიძიო სასურველი ინფორმაცია	9	12
არ ვარ დარწმუნებული მის სანდოობაში/სისწორეში	13	12
არ ვიცი როგორ მოვიძიო ინფორმაციის სრული ტექსტი	2	2
სამსახურში არ არის ინფორმაციული უზრუნველყოფა	16	21
არ მაქვს ფინანსური შესაძლებლობა ინტერნეტიდან მივიღო საჭირო ინფორმაცია	13	16
ენობრივი ბარიერი (საჭირო ინფორმაცია არ არის ქართულ ენაზე)	17	21
არასაკმარისი დრო ინფორმაციის მოსაძიებლად	54	49

საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით რესპოდენტთა 66,9% თვლის რომ საჭიროა ინფორმაციის რეგულარული მიღება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, 32,7% გამოყოფს იურიდიული, ეკონომიკური და კლინიკური დოკუმენტაციისადმი ხელმისაწვდომობის ამაღლების საჭიროებას სამუშაო ადგილზე, 17,2% - ბიბლიოთეკებში შესაბამისი ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, 38,9% - შეხვედრებსა და სემინარებში რეგულარულად განახლებადი ინფორმაციის მიწოდებას.

კვლევა ეხებოდა სამეცნიერო ჟურნალებში ინფორმაციის სისრულეს, მის ხარისხს. რესპოდენტთა 40,7%-ის აზრით ჟურნალებიდან ღებულობენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას სასურველი სახით და მოცულობით. 35,18 % კმაყოფილია წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხით. 12,96 % ინფორმაციის ხარისხი არ აკმაყოფილებს. 1,85 % საერთოდ ვერ პოულობს მისთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას. შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს იმ გარემოებასთან, რომ სპეციალისტებმა არ იციან რომელ ჟურნალებში უფრო უკეთესადაა წარმოდგენილი ინფორმაცია ამა თუ იმ თემატიკაზე. რესპოდენტთა 9,25 % გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

ცხრილი № 5. სამეცნიერო ჟურნალებში ინფორმაციის წარმოდგენის სისრულე.

	კითხვა	%
1	ჟურნალებიდან ვღებულობ ყველაფერს რაც მე მაინტერესებს	40,74%
2	კმაყოფილი ვარ ინფორმაციის ხარისხით	35.18%
3	ჟურნალებში ჩემთვის საჭირო ინფორმაცია წარმოდგენილია არასაკმარისად და არ მაკმაყოფილებს ინფორმაციის ხარისხი	12,96 %
4	ჟურნალებში ვერ ვპოულობ ჩემთვის საჭირო ინფორმაციას	1,85 %
5	მიჭირს პასუხის გაცემა	9,25 %

ინტერპრეტაცია-დისკუსია

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ფონზე დღის წესრიგში დგება მენეჯერთა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიციური სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველყოფის საჭიროება. მეცნიერული ინფორმაცია ექიმს სჭირდება არა მარტო ინფორმაციული და პროფესიონალური დონის ასამაღლებლად, არამედ იგი აძლევს მას საინფორმაციო ნაკადებში დამოუკიდებლად ორიენტირების, საჭირო ინფორმაციის მოძიების, პროფესიული საქმიანობისათვის მონაცემთა ბაზის შექმნის საშუალებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციული უზრუნველყოფის სათანადო მექანიზმების შემუშავებას, რაც გაზრდის ინფორმაციის ხარისხს და მასზე ხელმისაწვდომობას. აღნიშნული, თავის მხრივ, დადებით გავლენას იქონიებს ჯანდაცვის სისტემის მთავარი მიზნის - მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევაში. კვლევის მიხედვით, სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციას ერთ-ერთი მთავარი როლი უკავია როგორც პრაქტიკულ მედიცინაში ასევე სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციასა და მართვაში. სხვადასხვა სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებენ ხელმისაწვდომ საინფორმაციო წყაროებს. რაც უფრო მაღალია სპეციალისტის კვალიფიკაცია, მით უფრო იზრდება სამეცნიერო წყაროების საჭიროება, მით უფრო მეტად აფასებს იგი სამეცნიერო ჟურნალებს, რომლებიც დაავადებათა დიაგნოსტირების, მკურნალობისა და პროფილაქტიკის თვალსაზრისით იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციებს. რესპოდენტთა საინფორმაციო მოთხოვნილება გამოსახავს მათ პროფესიონალურ ინტერესს. სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერები და-

ინტერესებულნი არიან შემდეგი თემატიკით: „სამედიცინო მომსახურების ორგანიზება“, „ნორმატიულ - სამართლებრივი აქტები“, „ჯანდაცვის ეკონომიკა“...

ინტერნეტის ტექნოლოგიების განვითარებამ დადებითი როლი ითამაშა ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში. თანამედროვე დონეზე ინტერნეტის არსებობა ამაღლებს ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას. დღეისათვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებს გააჩნით თავიანთი ინტერნეტ პორტალი, რომელთა მონაცემთა ბაზაში კონცენტრირებულია სხვადასხვა სახის სამედიცინო სამეცნიერო ინფორმაცია.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველადი ჯანდაცვის ხელმძღვანელები და პრაქტიკოსი ექიმები თავიანთ საქმიანობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამეცნიერო ხასიათის ინფორმაციას, რესპოდენტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს პროფესიულ საქმიანობის შესაბამის, ხელმისაწვდომ საინფორმაციო წყაროებს. საქართველოში ძალიან მცირეა პროფილური ჟურნალების რაოდენობა, ან ზოგიერთი განხრით საერთოდ არ არსებობს, ჯანდაცვის პირველადი რგოლის მენეჯერთა და სპეციალისტთა უმეტესობა სამეცნიერო ხასიათის ინფორმაციას ღებულობენ არასაკმარისი მოცულობით, ასევე სიძნელეს წარმოადგენს მათი მოძიება. უმეტესობამ არ იცის, თუ როგორ მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. ინფორმაციის მოძიებისას გარკვეულ როლს თამაშობს ენობრივი ბარიერი, დროის სიმწირე და ფინანსური სირთულეები. შესაბამისად, დაბალია საინფორმაციო სისტემის მიმართ კმაყოფილება. რესპოდენტთა უმეტესობა მათთვის საჭირო ინფორმაციას მოიპოვებს ინტერნეტის დახმარებით. თუმცა, დაბალია მოპოვებული ინფორმაციისადმი ნდობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა სათანადო წინადადებები. ჯანდაცვის სპეციალისტთა სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის წყაროს ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც ქმნიან ნორმატიულ-სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს, სტანდარტებს, საინფორმაციო და სტატისტიკურ მასალებს, მეცნიერულ პუბლიკაციებს და ათავსებენ მათ სათანადო ვებ გვერდებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია სამედიცინო დაწესებულებებში სამეცნიერო-საინფორმაციო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის გარკვეული ღონისძიებების გატარება, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერთა და ექიმების/სპეციალისტებისათვის ინფორმაციული საჭიროების რეგულარული შესწავლა, თანამედროვე სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რაც დადებითად იმოქმედებს დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვაზე, სპეციალური პროფილური საიტების შექმნის ხელშეწყობა, მათზე სხვადასხვა სახის ინფორმაციის (მათ შორის ნორმატიული ხასიათის) განსათავსებლად, სასწავლო ტრენინგების ჩატარება ინფორმაციულ წყაროებთან მუშაობის, საიტის მართვის და მასზე განთავსებული მასალების სარგებლობის გაუმჯობესების მიზნით; მსხვილი სამედიცინო დაწესებულებების დონეზე ბიბლიოთეკების ორგანიზება, რომელთა მეშვეობით განხორციელდება პროფილური ჟურნალების (მ.შ. ელექტრონული) გამოწერა; სამეცნიერო-საინფორმაციო მასალით უზრუნველყოფაში გარკვეული როლი მიუძღვის უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრებო ორგანიზაციებს. მათი მხრიდან მნიშვნელოვანია ან-

ალიტიკური მიმოხილვების მომზადება, სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოების გამოცემა, კლინიკური გაიდლაინების შემუშავება, ასევე სამედიცინო დაწესებულებებში, განსაკუთრებით რეგიონებში, წამყვან სპეციალისტთა მონაწილეობით სასწავლო ტრენინგების ჩატარება სამედიცინო დაწესებულების მართვის, ასევე დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის აქტუალურ საკითხებზე; ქვეყანაში არსებულ ბიბლიოთეკებთან მჭიდრო კავშირი, კვლევითი პუბლიკაციების, კვლევების შედეგების ფართო პროპაგანდა, სამეცნიერო ხასიათის ჟურნალების გავრცელების ხელშეწყობა; სხვადასხვა ორგანიზაციების, გამომცემლობების დაინტერესების გაზრდა სამეცნიერო ხასიათის ჟურნალების გამოცემით, საქართველოში გამომავალ სხვადასხვა ჟურნალებში ჯანდაცვის საკითხებზე სპეციალური სვეტის გათვალისწინება.

აღნიშნული ღონისძიებები შეუწყობენ როგორც მენეჯერების, ასევე ექიმ-სპეციალისტების თეორიული ცოდნის გამყარებას პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც დააჩქარებს როგორც დაავადებათა დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის და მკურნალობის ისე სამედიცინო დაწესებულების მართვის პროგრესიული ფორმების და მეთოდების დანერგვას.

ბიბლიოგრაფია

1.ვერულავა თენგიზ, 1999. სამედიცინო დახმარების ანაზღაურების მეთოდების კომპლექსური შეფასება. სადოქტორო, საკანდიდატო (PhD) დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

2.საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც, 2013). ჯანმრთელობის დაცვა. სტატისტიკური ცნობარი 2012. თბილისი 2013.

3.ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი 2013.

4.Beyer, M. et al. 2003. The development of quality circles/peer review groups as a method of quality improvement in Europe. Results of a survey in 26 Europian countries. Family Practice. P.443-451

5.Brown, C. Cost effectiveness of continuing professional development in health care: a critical review of evidence / C. Brown, C. Belfield, S. Field // British Medical Journal. -2002. - P.652-665.;

6.Chen, J. Physician board certification and the care and outcomes of elderly patients with acute myocardial infarction. Journal of General Internal Medicine. 2006. P.23 8-244

7.Mason, J. When is it cost-effective to change the behavior of health professionals? JAMA. 2001. P.2988-2992.

პირველადი ჯანდაცვის პერსონალის სამეცნიერო - ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში

თენგიზ ვერულავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.
ჯაბა ბეჭვაია, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და დევნილთა სამსახურის
ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

რეზიუმე

შესავალი: მედიცინა მეცნიერების ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სფეროა და მოითხოვს განათლების უწყვეტ თვითამაღლებას. საინფორმაციო უზრუნველყოფა წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების სათანადო მართვისა და ხარისხით უზრუნველყოფის ერთ-ერთ საჭირო პირობას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისა და სპეციალისტების საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა, სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციის წყაროების და პირველადი ჯანდაცვის თემატიკაზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციების საინფორმაციო ნაკადის ანალიზის ჩატარება. ***მეთოდოლოგია:*** თვისებრივი კვლევის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებთან და სამედიცინო პერსონალთან. ხოლო რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირ ინტერვიუირება სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერებთან და სამედიცინო პერსონალთან. კვლევის არეალს წარმოადგენდა ქ. თბილისისა და ზუგდიდის რაიონის (დასავლეთ საქართველო) პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებები. ***შედეგები:*** პირველადი ჯანდაცვის ხელმძღვანელების და სამედიცინო პერსონალის სამეცნიერო-ინფორმაციული უზრუნველყოფა მიმდინარეობს უსისტემოდ და სტიქიურად. ნაკლები ყურადღება ექცევა სამეცნიერო ხასიათის ინფორმაციას, უპირატესობა ენიჭება შესაბამისი პროფესიის ხელმისაწვდომ საინფორმაციო წყაროებს. საქართველოში ძალიან მცირეა პროფილური ჟურნალების რაოდენობა, ან ზოგიერთი განხრით საერთოდ არ არსებობს, მიღებული სამეცნიერო ინფორმაცია არასაკმარისი მოცულობისაა. სიძნელეს წარმოადგენს ინფორმაციის მოძიება, რადგან უმეტესობამ არ იცის, თუ როგორ მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, გარკვეულ როლს თამაშობს ენობრივი ბარიერი, დროის სიმწირე და ფინანსური სირთულეები. შესაბამისად, დაბალია საინფორმაციო სისტემის მიმართ კმაყოფილება. საჭირო ინფორმაციის მოპოვება უმთავრესად ხდება ინტერნეტის დახმარებით. თუმცა, დაბალია მოპოვებული ინფორმაციისადმი ნდობა. ***დისკუსია:*** დღეისთვის მწვავედ დადგა პირველადი ჯანდაცვის სისტემის საინფორმაციო-სამეცნიერო უზრუნველყოფის ობიექტური მოთხოვნილება, მისი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვის საჭიროება. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით პირველადი ჯანდაცვის მუშაკები შეძლებენ განავითარონ ცოდნა, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, გაეცნონ დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ინოვაციურ მეთოდებს. ამ მხრივ, საჭიროა ინფორმაციული უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება, რომელიც აამაღლებს სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და ხარისხს, რაც დადებით გავლენას იქონიებს ჯანდაცვის სისტემის მთავარი მიზნის - მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევაში.

Challenges in Scientific - Information Provision of Primary Health Care Personnel in Georgia

Tengiz Verulava, Doctor of Medical Science. Ilia State University
Jaba Bechvaia, Specialist of Public Health Department at Zugdidi City Hall.

Abstract

Background: Medicine is one of the rapidly developing field and it requires continuous education process. Information management and quality assurance is one of the necessary conditions for the provision of adequate medical services. The purpose of research was to study the information needs for primary health managers and specialists, to analyse the scientific and medical information sources and the modern scientific publications on the topic of primary health care. ***Methodology:*** Within the qualitative research component in-depth interviews was conducted among of primary health care management and medical staff. As for the quantitative research component face-to-face interviewing by using of special questionnaire has been conducted among managers of medical institutions and medical staff. The wide range of primary health care institutions presented those located in Tbilisi (capital town of Georgia) and Zugdidi region (Western Georgia). ***Results:*** Primary health care management and medical personnel are unsystematicly and spontaneously provided with scientific and medical information. Less attention is paid to scientific information, preference is given to the relevant sources of information available to the profession. Very few profiled journals are issued in Georgia, even do not exist in some of the fields, so the amount of scientific information is insufficient. Difficulty presents in finding appopriate sources, because many professionals do not know how to search the necessary information. A significaln role plays the language barrier, lack of time and financial difficulties. Accordingly, the satisfaction toward the information system is on low level. Information collection is mainly conducted by usage of Internet. However, information obtained in confidence is low. ***Discussion, conclusion:*** At present, objective demand in ensuring of the primary health care system with scientific information, the need for modern information technologies are critical issues. By applying of modern information technology the primary health care workers will be able to develop their knowladge and professional skills, to share experiences, learn about the diagnosis, treatment, innovative methods of prevention. In this regard, it is necessary to develop information security mechanisms, which will increase accessibility and quality of information, and this will have positive impact on the health care system's main goal - to achieve improvement for the population health.

Keywords: Georgia; Primary health care, Scientific - Information Provision

Défis dans la science - Information Prestation de soins de santé primaires du personnel en Géorgie

Tengiz Verulava, docteur en sciences médicales. Université d'Etat Ilia.
Jaba Bechvaia, spécialiste du Département de la santé publique à l'hôtel de ville de Zougdidi.

Résumé

Contexte: La médecine est l'un des domaine en développement rapide et il nécessite processus de formation continue. Gestion de l'information et de l'assurance de la qualité est une des conditions nécessaires pour la fourniture de services médicaux adéquats. Le but de la recherche était d'étudier

les besoins d'information pour les gestionnaires et spécialistes de soins de santé primaires, d'analyser les sources d'information scientifiques et médicaux et les publications scientifiques modernes sur le thème des soins de santé primaires. **Méthodologie:** Dans le volet de la recherche qualitative des entrevues en profondeur a été menée auprès de la gestion des soins de santé primaires et le personnel médical. Quant à la composante de la recherche quantitative en face-à-face en utilisant des entrevues questionnaire spécial a été menée auprès de gestionnaires d'établissements médicaux et le personnel médical. Le large éventail d'institutions de soins de santé primaires a présenté ceux situés à Tbilissi (capitale de la Géorgie) et la région de Zougdidi (Géorgie occidentale). **Résultats:** la gestion des soins de santé primaires et le personnel médical sont unsystematicly et spontanément fourni des informations scientifiques et médicales. Moins d'attention est accordée à l'information scientifique, la préférence est donnée aux sources d'information pertinentes disponibles à la profession. Très peu de revues profilées sont émis en Géorgie, même ne existent pas dans certains domaines, de sorte que la quantité d'informations scientifiques sont insuffisantes. Difficulté à trouver des sources présente appopriate, parce que beaucoup de professionnels ne savent pas comment rechercher les informations nécessaires. Un rôle de significaln joue la barrière de la langue, le manque de temps et les difficultés financières. En conséquence, la satisfaction envers le système d'information est en faible niveau. La collecte d'informations est principalement menée par l'utilisation d'Internet. Toutefois, les informations obtenues en toute confiance est faible. **Discussion, conclusion:** À l'heure actuelle, la demande pour assurer objectif du système de soins de santé primaires de l'information scientifique, la nécessité pour les technologies modernes de l'information sont des questions critiques. En appliquant des technologies de l'information moderne, les travailleurs des soins de santé primaires seront en mesure de développer leurs compétences professionnelles et knowladge, de partager des expériences, en apprendre davantage sur le diagnostic, le traitement, les méthodes novatrices de prévention. À cet égard, il est nécessaire de développer des mécanismes de sécurité de l'information, ce qui augmentera l'accessibilité et la qualité de l'information, et cela aura un impact positif sur objectif principal du système de soins de santé - pour obtenir une amélioration de la santé de la population.
Mots-clés: la Géorgie; Soins de santé primaires, Scientifique - Information Provision

ავტორთა საყურადღებოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას. რედაქცია პასუხს არ აგებს წარმოდგენილი მასალების სიზუსტეზე. იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით.

Notice to the authors:

The authors and the redaction may have different points of view.

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაძალადევის
რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registred at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi
Number of registration - 1/9-68

EAN 9771987830003

ტირაჟი 100